საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 45. მეორე სართული.
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—84
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 3-81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებანი
საქართველოს ფურცლებზე— ტექსტის უკან—30 კ. მონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ., განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ორჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეთანხმებით. ამ კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ [illegible] ეღირება 30%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- გაიხსნა პოლონეთ-საბჭოთა სარკინიგზო კონფერენცია.
- პალესტინის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირის შესახებ.
- ბუქარესტში დაიწყო ბორის სტეფანოვის პროცესი.
- თურქეთის მთავრობამ ბრუსაში დახურა ამერიკული სკოლა.
- გაიხსნა სატელეფონო კავშირი ჰოლანდიასა და ამერიკას შორის.
- მოსკოვში ჩავიდა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული კანტონში ამხ. პოხვალინსკი.
- მეფის ჯალათების გასამართლება კიევში.

ხუთშაბათი, 2 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 27 (2070)

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მნიშვნელობა

ახალ ფინანსიურ ღონისძიებების პირველი ეტაპები სასურველად მიმდინარეობს. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენმა სახელმწიფოებრივმა კრედიტმა სწორი გზა იპოვა სოფლად, ე. ი. იმ დარგში გავრცელებისათვის, რომელიც დღემდე თითქმის რჩებოდა ჩვენი სახელმწიფოებრივი კრედიტის ღონისძიებათა სფეროს გარედ. მართალია, არაერთხელ გაკეთებულა ცდები რომ სოფლის მოსახლეობას მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოებრივ კრედიტში (პურის ორი სესხი, სამი საგლეხო სესხი), მაგრამ ყველა ამ ცდებს ისეთი შედეგები ჰქონდა, რომლებიც სრულებით არ შეეფერებოდა გლეხურ მეურნეობის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში და იმ ეკონომიურ შესაძლებლობებს, რომლებიც მოიპოვება სოფლად. ამჟამად სხვადასხვა ფინანსიურ ღონისძიებათა საშუალებით (სესხები, შემნახველი სალაროები, კოოპერაცია და სხვა) სოფლიდან მოხერხდა სულ რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთის მიღება.

ახალი საგლეხო სესხი, რომელიც სოფლად უნდა გავრცელდეს, აგებულია ისე, რომ მხედველობაშია მიღებული ყველა ის არსებითი მომენტები, რომლებსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მას.

ორგანიზაციული მომენტი ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ ფაქტორებში, რომლებიც უზრუნველყოფს საერთოდ ფინანსიურ ღონისძიებათა წარმატებას. ეს საკმაოდ ნათლად დაამტკიცა ჩვენი უწინდელი სესხების გამოცდილებამ. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ თუ ინდუსტრიალიზაციის სესხი განაღდებულ იქნა ასეთი დიდი წარმატებით, ამაში დიდი როლი ითამაშა სესხის გავრცელების სწორად დაყენებულმა და მოფიქრებულმა ორგანიზაციამ მთელს ჩვენს ქვეყანაში, და გარკვეულმა შეუფერხებელმა მუშაობამ. აი რატომაა, რომ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩატარების დროს, საბჭოთა კავშირის ფინანსკომი ამდენ ყურადღებას უთმობს ორგანიზაციულ მომენტს. სესხის რეალიზაციას ეძლევა ცოცხალ ოპერატიულ მუშაობის ხასიათი. ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს სათემო და სარაიონო აღმასკომების საშუალებით და მასში ჩაბმულ უნდა იქნან მთელი რიგი კონტრაგენტები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოფელთან (საკრედიტო ამხანაგობები, გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტები, მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და სხვა).

საქმის ასეთი დაყენების დროს, სესხის რეალიზაციამ უნდა მიიღოს ნამდვილად მასიური ხასიათი, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ფინანსიურ შედეგის მიღწევას.

შემდეგ მნიშვნელოვან და არსებით მომენტს წარმოადგენს სწორი მიდგომა გლეხების ფსიქოლოგიისადმი [illegible] იმ საიმედოობისა, რომელიც მოაქვს სესხს, შეეფერება გლეხების შეგნებისათვის ახლობელ ინტერესებს. მხედველობაში მიღებულია ცალკე მეურნეობათა ინტერესები (მოგებული ფულის მაგიერ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნივთების მიღება), განსაზღვრული რაიონის, თუ თემის მოსახლეობის ინტერესებიც (განსაზღვრულ რაიონში განაღდებულ თანხის 10 პროცენტი მოხმარდება ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო და კულტურულ საჭიროებებს) და საერთოდ მთელი სოფლის მეურნეობის ინტერესებიც (სესხის მიზნობრივი დანიშნულება).

ასეთ პირობებში, პოპულარიზაციისა და ახსნა განმარტების კამპანია, რომელიც სწარმოებს სესხის რეალიზაციისათვის, თავისთავად ადვილდება და მისი რეალური შედეგები უზრუნველყოფილია.

დასასრულ, სესხის წარმატება უზრუნველყოფილია ჩვენი სოფლის ხელსაყრელი კონიუნქტურით და მისთვის სწორი ანგარიშის გაწევით. უკანასკნელ წლების მოსავლის შედეგებმა საშუალება მისცა გლეხობას აღედგინა თავისი მეურნეობა და ამას გარდა მიეღო ერთგვარი ზედმეტი ფულადი საშუალებებიც, რომლებიც ვერ პოულობენ ნაყოფიერ გამოყენებას. თუ გლეხები სწორად გაუწევენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ამ თავისუფალ საშუალებათა მოთავსება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხში ხელსაყრელია, ისინი საკმაო სტიმულს მიიღებენ თავის საშუალებათა ამ სესხში მოთავსებისათვის.

ასეთია საერთოდ ამ სესხის წარმატების უმთავრესი წინასწარი პირობები. ეს წარმატება სავსებით უზრუნველყოფილი იქნება, თუ ყოველივე ამას დაემატება ისეთივე ენერგია და სიმტკიცე, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა საზოგადოებრიობამ ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის დროს.

ახალი საგლეხო სესხის წარმატებით ჩატარებულ რეალიზაციის მნიშვნელობა ბევრად უფრო დიდია იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც განსაზღვრავს მისი ფინანსიური შედეგები. ასეული მილიონი მანეთი, გამოყვანილი უმოქმედო მდგომარეობიდან და შეტანილი სახელმწიფო მეურნეობის ნაყოფიერ ბალანსში, წარმოადგენს ისეთ თანხას, რომლის მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება სესხის მნიშვნელობა. სესხის წარმატება, ფინანსიურ შედეგებს გარდა, იქნება იმის მომასწავებელი, რომ ჩვენი სახელმწიფო კრედიტი დაიპყრობს სახალხო მეურნეობის იმ ნაწილს, რომელიც დღემდის რჩებოდა ჩვენი [illegible] ფინანსიურ ღონისძიებათა სფეროს გარედ.

ამ დაპყრობას ექნება უაღრესად დიდი მნიშვნელობა. სრულიად უეჭველია ის გარემოება, რომ ჩვენი ფულის სისტემის ჯანსაღი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის ნორმალურ მოქმედებას, შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ფულის ტრიალის ყველა სექტორი დამორჩილებული იქნება მომაწესრიგებელ გავლენას. ასეთი რეგულიატორის როლს ქალაქის ბაზარზე წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო კრედიტის ოპერაციები. სახელმწიფო კრედიტი აშორებს ბაზარს ზედმეტ თანხებს, რომლებიც ვერ პოულობს ნაყოფიერ გამოყენებას საქონლის ბრუნვაში. სხვა მდგომარეობაა ფულის ბაზარზე სოფლად. სოფელში დაბანდებული მნიშვნელოვანი თანხები, რომლების სწორი აღრიცხვა შეუძლებელია, წარმოადგენს იმ ძალას, რომელშიაც ჩამარხულია უაღრესად არასასურველ მოვლენათა ჩანასახი ფულის ტრიალის სფეროში იმ შემთხვევაში, თუ თავი იჩინა რაიმე მომენტმა, რომლებსაც შეუძლია სოფლის ფსიქოლოგიური ან ეკონომიური წონასწორობის დარღვევა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სოფლად დაბანდებულ ფულად რესურსებს მიეცეს ნაყოფიერი მიმართულება, რაც შეუძლებელს გახდის რაიმე გართულებებს ჩვენს ფულის სისტემაში.

ეს გარემოება იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი განხილულ იქნას, როგორც ჩვენი ფინანსიური და სავალუტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. ამას გარდა, ახალი სესხი სახავს ახალ რეალურ გზებს სახელმწიფო კრედიტის განვითარებისათვის სოფლად. თუ დამტკიცდა ამ გზებისა და მეთოდების სიცოცხლისუნარიანობა, მაშინ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფინანსიური ამოცანა—სოფლის ეკონომიურ შესაძლებლობათა გამოყენება სოციალისტურ აღმშენებლობის საქმისათვის.

ნ. ბრიუხანოვი.

„იზვესტია". 1 თებერვალი.

ახალი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონი

(ცაკის მესამე სესიის შედეგებისათვის)

საქართველოს ცაკის მესამე სესიამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი კანონი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო უფლების შესახებ. კანონი ეხება ქალაქის და სოფლის ყოველდღიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, ეხება იმ საუკუნოებით შექმნილ ფუძეს, რაზედაც დღემდე დამყარებულია ჩვენი მშრომელი ადამიანის ოჯახი. ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რატომ გამოიწვია ჩვენს რესპუბლიკაში ამ კოდექსმა ასეთი ღრმა ინტერესი.

ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილის 21-ს საქართველოს რევკომმა თავისი № 28 დეკრეტით ძირიან-ფესვიანი გადატრიალება მოახდინა საოჯახო და საქორწინო კანონმდებლობაში. ბურჟუაზიულმა კანონმა, თვით მოწინავე ქვეყნებშიაც კი, ბოროტად გამოიყენა ქალის უმწეო მდგომარეობა და გადააქცია იგი უუფლებო დამცირებულ არსებად. ბურჟუაზიული ქორწინება—ეს უთანასწორო და გაუწყვეტელი ჯაჭვით გადაბმული კავშირი, ყოველივე უპირატესობას ანიჭებს მამაკაცს. მამაკაცი ქონებრივი ურთიერთობის ხელმძღვანელია ოჯახში. მას აქვს უფლება მიუჩინოს ცოლს საცხოვრებელი ადგილი, თავს მოახვიოს მას თავისი ეროვნება, სჯული და გვარი. ყველა საოჯახო საკითხის გადაწყვეტის დროს, შვილების აღზრდის საკითხშიაც კი ქმარს ერთგვარი უპირატესობა აქვს მინიჭებული. დედაკაცის ასეთ უუფლებრივ მდგომარეობას, რომელიც ცოლს ქმრის მონად ხდის, მტკიცედ იცავს ბურჟუაზიული [illegible], ეკლესია და სარწმუნოება.

საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრით უარყო ძველი ქორწინების პრინციპები და მის მაგიერად საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის სფეროში დააკანონა თავისი ახალი პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბდა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1918 წელში, და საქართველოს რესპუბლიკაში კი 1921 წელში № 28 დეკრეტის სახით. ამ კანონს, გამოცემულს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე თვეებში, უაღრესად დიდი ისტორიული და რევოლიუციონური მნიშვნელობა აქვს. მან უპირველეს ყოვლისა ყოველივე იურიდიული ძალა მოუსპო საეკლესიო ქორწინებას და მის მაგიერ დააწესა სამოქალაქო ქორწინება. გარდა ამისა, სრული უფლებრივი თანასწორობა დაამყარა მეუღლეთა შორის. დააკანონა განქორწინების სრულიად მარტივი წესი, რომლის მიხედვითაც განქორწინება შეიძლება არა მარტო ორივე მეუღლის სურვილით, არამედ ერთი მათგანის სურვილითაც; აღიარა პრინციპი, რომლის თანახმად თვითეულ მეუღლეს შეუძლია იქონიოს თავისთვის (ცალკე) გვარი და ა. შ. ბოლოს, სრულიად გაათანასწორა ურეგისტრაციო (ფაქტიური) ქორწინებაში დაბადებული ბავშვი იურიდიულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან.

ამ პირველმა საბჭოთა კანონმა ღრმა ცვლილება შეიტანა ქორწინებაში და ოჯახში. თუმცა მან უკვე საკმარისად მოიკიდა ფეხი მშრომელთა თვალში [illegible], მაგრამ საჭირო გახდა მისი გადამუშავება დღევანდელ სოფლის და ქალაქის უფრო გართულებულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

რა არის ახალი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონში, რომელიც მიიღო ცაკის მესამე სესიამ?

ახალი კოდექსი იმით განსხვავდება ძველი № 28 დეკრეტისაგან, რომ იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევს მატერიალურ მხარეს, ე. ი. არკვევს იმ უფლება-მოვალეობას, რასაც ქმნის საქორწინო და საოჯახო ურთიერთობა, იმის და მიუხედავად, გატარებულია ქორწინება რეგისტრაციაში თუ არა. № 28 დეკრეტის პირველი რამოდენიმე მუხლი მთლიანად გამსჭვალულია უფრო ფორმალური მხარით, ე. ი. ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ქორწინება, რეგისტრაცია და სხვ. ძველი კანონის ამგვარი აგებულება შეიძლება აიხსნას იმით, რომ იგი სწორედ მაშინ იყო გამოცემული, როდესაც ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს და როდესაც, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ძველი, საეკლესიო ქორწინების და მისი წესების დანგრევა და სამოქალაქო ქორწინების სხვა წესით და საფუძვლით მოწყობა. ახალმა კანონმა რეგისტრაციაში გატარებული ქორწინება თავისი მატერიალური და უფლებრივი შედეგით გაათანასწორა ურეგისტრაციო ქორწინებასთან.

სტოვებს რა ახალი კანონი რეგისტრაციას, როგორც სახელმწიფოსათვის მეტად საჭირო მოთხოვნილებას, ის იმავე დროს აძლევს რეგისტრაციის ტეხნიკურ საშუალების ხასიათს ორ-პირთა შორის უკვე არსებულ საქორწინო ურთიერთობის დამტკიცების გასაადვილებლად. ასეთი გამაადვილებელი საშუალება ქორწინების დასამტკიცებლად განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს ან შვილებს უხდება თავისი უფლების დაცვა. მაგალითად, როდესაც ცოლი მოითხოვს ქმრისაგან სარჩოს ან როდესაც მას უხდება მემკვიდრეობის უფლების დამტკიცება. ამრიგად, ახალი კანონის ძალით იმ მეუღლეთ, რომელთა ქორწინებაც რეგისტ. არ ყოფილა გატარებული, ისეთივე უფლებები აქვთ როგორც რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებით შეუღლებულ პირთ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველთ თავისი ქორწინების დამტკიცება მოუხდებათ სასამართლოს მეშვეობით, მაშინ როდესაც რეგისტრაციაში გატარებული ქორწინება უკვე დადასტურებულია თვით რეგისტრაციის ფაქტით. ამ ორ სახის ქორწინების გათანასწორებით კანონს მხედველობაში აქვს სუსტი მხარის—ქალის და ბავშვის დაცვა. დეკრეტი № 28 კი სცნობდა მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას და უყურადღებოდ სტოვებდა სხვა სახის საქორწინო ურთიერთობას, ე. ი. მეუღლეთა უფლება-მოვალეობა, თანახმად ძველი დეკრეტისა წარმოიშობოდა მხოლოდ ისეთი ქორწინებით, რომელიც გატარებული იყო სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს რეგისტრაციაში. მხოლოდ ამგვარად დაქორწინებულ ცოლს შეეძლო სარჩოს (ალიმენტების) მოთხოვნა.

რატომ გახდა საჭირო ამ ორი ქორწინების უფლებრივი და ქონებრივი გათანასწორება? იმიტომ, რომ დღევანდელ სოციალურ და ეკონომიურ სინამდვილეში ჩვენ ხშირად ხვდებით ფაქტიურ ქორწინებებს. ფაქტიური ქორწინება მხოლოდ იმით განსხვავდება იურიდიულ ქორწინებისაგან, რომ ის რეგისტრაციაში არ არის გატარებული და ცოლი და ქმარი ფაქტიურად ახორციელებენ ცოლქმრულ ურთიერთობას. ასეთ ფაქტიურ ქორწინებებს ჩვენ ვხედავთ დღეს სოფლადაც და ქალაქადაც. განა იშვიათი შემთხვევაა, როდესაც მამაკაცი და დედაკაცი ცხოვრობენ ერთად რამოდენიმე წლის განმავლობაში, აქვთ საერთო ქონება, ყავთ ბავშვები, ერთად ზრუნავენ როგორც ურთიერთ მიმართ, ისე ბავშვებზეც, მეზობლები და ნაცნობები სცნობენ მათ კავშირს, როგორც ნამდვილ ცოლქმრულ კავშირს. ასეთ შემთხვევებს ჩვენს სინამდვილეში ხშირად შეხვდებით და, თუ ეს ასეა, განა დასაშვებია, რომ კანონმა არ დაიცვას ასეთ ცოლქმრობიდან განქორწინებული შრომისუნარმოკლებული ან უმუშევარი ქალი, განა დასაშვებია, რომ ამ უკანასკნელს არ ჰქონდეს უფლება მოსთხოვოს ქმარს ან ქმარმა შეძლებულ ცოლს ალიმენტი (სარჩო). რასაკვირველია, არ არის დასაშვები, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში დედაკაცის, როგორც უფრო სუსტი მხარის, ქონებრივი ინტერესი ილახება. აი, ამიტომ ახალი საოჯახო და საქორწინო კანონი ათანასწორებს ამ ფაქტიურ ქორწინებას რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებასთან თავისი იურიდიული და მატერიალური შედეგებით.

მაგრამ არავის ეგონოს, რომ პროექტი იცავდეს დედა-კაცთან მამა-კაცის ყოველგვარ სქესობრივ კავშირს. კოდექსი არ იცავს შემთხვევით სქესობრივ ურთიერთობას. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილნი არიან კანონით მხოლოდ ბავშვები, რადგან ბავშვზე ზრუნვა ყოველ შემთხვევაში შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების მოვალეობას და ის ავალებს მშობლებს მათდამი უზრუნველყოფას. [illegible] თუ რა ნიშნებით უნდა განირჩეოდეს ფაქტიური ქორწინება შემთხვევით სქესობრივ კავშირისაგან და თუ როგორ უნდა დაამტკიცოს სასამართლომ ფაქტიური ქორწინების არსებობა, ამაზედ პასუხს იძლევა ახალი კანონის მე-19 მუხლი.

ფაქტიური ქორწინების უფლებრივი და ქონებრივი შედეგებით აღჭურვა შეუწყობს თუ არა ხელს მრავალცოლიანობას? არა, იმიტომ, რომ ახალი კანონის ძალით მამაკაცი ვალდებულია უზრუნველყოს არა მარტო რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებიდან განშორებული ცოლი, არამედ ფაქტიურ ქორწინებაში მყოფი მეუღლეც. № 28 დეკრეტის ძალით, როგორც იყო წინეთ ნათქვამი, სარჩოს მოთხოვნის უფლება კი ჰქონდა, მხოლოდ რეგისტრაციაში გატარებულ მეუღლეს. ამრიგად, ჩვენ გვეძლევა ერთგვარი საშუალება მრავალცოლიანობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ახალი კანონით უფრო გამარტივებულია განქორწინების წესი. ამ კანონის თანახმად, განქორწინება ყოველ შემთხვევაში ხდება „მმაჩ-ში", მიუხედავად იმისა, არის ორივე მხარის სურვილი, თუ მხოლოდ ერთის. იმისათვის, რომ განქორწინების შემდეგ განქორწინებულთ არ დასჭირდეთ სასამართლოში მისვლა ქონების და შვილების შესახებ საკითხის გადასაწყვეტად, კანონი აძლევს „მმაჩ"-ის ორგანოს უფლებას, თუ მეუღლენი შეთანხმებით გადასწყვეტენ აღნიშნულ საკითხს, ეს შეთანხმებაც გაატაროს რეგისტრაციაში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლენი ვერ შეთანხმდნენ, ან თუ შეთანხმებამ შეავიწროვა რომელიმე მხარის, ან ბავშვების უფლება, ამ უკანასკნელთ შეუძლიანთ მიმართონ სახალხო სასამართლოს.

ახალი კანონით საქორწინო ჰასაკი დაწესებულია დედაკაცებისათვის — 16 წელი და მამაკაცებისათვის — 18 წელი. აკრძალულია ქორწინება ახლო შტოის ნათესავთა შორის. მაგალითად: ამავალ და შთამავალ ნათესავთა შორის და გვერდით კი და-ძმასა და ბიძა-შვილთა შორის, ესე იგი მე-4 თაობამდე.

რაც შეეხება მეუღლეთა ქონებას, ახალი კანონი იმით განსხვავდება № 28 დეკრეტისაგან, რომ ის ქონებას, შეძენილს მეუღლეთა მიერ საერთო შრომით მათი ერთად ცხოვრების განმავლობაში, სთვლის საერთო ქონებად და მასში ორივე მეუღლეს აქვს თანასწორი წილი. ამ შემთხვევაში კანონი ემყარება შრომითი პრინციპს, ჩვენი მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრების პირობებს და მის სამართლის შეგნებას, რაც, სხვათა შორის, გადმოცემულია მიწის კოდექსითაც იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ოჯახურ ქონებრივ გაყრის შესახებ. რაც შეეხება ისეთ ქონებას, რომელიც თვითეულ მეუღლეს ქორწინებამდე შეუძენია, კანონი სთვლის ასეთ ქონებას თვითეულ მხარის საკუთრებათ. მხოლოდ, თუ მეუღლეთ სურთ ქორწინებამდე შეძენილი ქონება ერთად გამოიყენონ, მათ შეუძლიათ ამის შესახებ დასდონ ერთმანეთთან ხელშეკრულება, ისე კი, რომ ამ ხელშეკრულებით არ შეიზღუდოს მათი უფლება.

ახალი კანონის ძალით გაჭირვებაში ჩავარდნილ ნათესავებს პირდაპირ, აღმავალი და შთამავალი ხაზით, აგრეთვე ძმებსა და დებს უფლება აქვთ მოსთხოვონ სარჩო ამავე ხარისხის უფრო შეძლებულ ნათესავებს.

არ შევეხებით რა მთელ რიგ ახალ დებულებებს, მიღებულს სესიის მიერ საქორწინო და საოჯახო კანონით, მაგალითად, შვილად აყვანის, მეურვეობის და სხვ. დარგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიღებულ კანონს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ის გამოხატავს ჩვენი სოფლის და ქალაქის დღევანდელ სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაზედ დამყარებულ ურთიერთობას და აზროვნებას. ეს კანონი დიდი პროგრესიული და კულტურული ნაბიჯია ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში. მისი სწორი და მიზანშეწონილი პრაქტიკული გატარება ცხოვრებაში მოგვცემს ჩვენ საშუალებას ხელი შევუწყოთ დღევანდელ კულტურულ აღმშენებლობის საქმეს და კერძოთ ჩვენი სოციალური ყოფა-ცხოვრების განვითარება მივმართოთ ნამდვილ სოციალისტურ გზაზე.

ი. ვარძიელი.

გენსაბჭოს ორჭოფული პოლიტიკა „სამრეწველო მშვიდობიანობის" საკითხში

მექსიკის წინადადების დამარცხება პან-ამერიკულ კონფერენციაზე

გაფიცვების ტალღა საფრანგეთში.—გრძელდება ბრძოლა საბჭოთა ნავთის გარშემო

ნორვეგიის „მუშათა" მთავრობის დეკლარაცია—ახალ მთავრობას უდღეურად სთვლიან

„სამრეწველო მშვიდობიანობის" წინააღმდეგ

კუკი ანგარიშს მოითხოვს 12 იანვრის კონფერენციისაგან

ლონდონი, 31 იანვარი. „დეილი ჰერალდ"-ში დაბეჭდილია კუკის წერილი რედაქციისადმი. კუკი კატეგორიული ტონით იმეორებს თავის წინანდელ მოთხოვნილებებს, რომ გამოქვეყნებულ იქნეს გენერალურ საბჭოსა და მრეწველთა ჯგუფს შორის 12 იანვარს გამართულ კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში.

„საჭიროა ანგარიშის გამოქვეყნება,—აცხადებს კუკი,—რათა მუშებს შეეძლოთ ღირსეულად დააფასონ ეგრეთ წოდებული ბელადები".

გენერალურ საბჭოს წევრი **ხუელსი** ერთ-ერთ მიტინგზე გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც 12 იანვრის კონფერენციის შესახებ განაცხადა:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ეხლანდელი მოლაპარაკება დამთავრდება „საბჭოთი", რომელსაც მრეწველები არავითარ ანგარიშს არ გაუწევენ და რომელიც მუშათა კლასს უკანასკნელ 8 წლის განმავლობაში საშინლად მობეზრდა".

ხუელსის გამოსვლა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ეს არის 12 იანვრის კონფერენციის წინააღმდეგ მიმართული პირველი კრიტიკა, რომელიც გამომდინარეობს არა კუკისაგან, არამედ გენერალურ საბჭოს უმრავლესობის წრიდან. ეს აბათილებს ბენ-ტერნერის და სხვების მტკიცებას. თითქოს კუკი მოქმედებდეს ყველას წინააღმდეგ". (ადს).

ლონდონის სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების რეზოლიუცია

ლონდონი, 31 იანვარი. სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირის კონფერენციამ **ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გმობს ტრედ-უნიონთა გენერალურ საბჭოსა და მწარმოებლებს შორის გამართულ მოლაპარაკებას „მრეწველობაში მშვიდობიანობის" დამყარების შესახებ. (ადს).**

„დამოუკიდებლების" სიტყვა და საქმე

ლონდონი, 31 იანვარი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ორგანო „ნიუ ლიდერ" უძღვნის წერილს ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალურ საბჭოსა და ე. წ. მონდის ჯგუფს შორის გამართულ მოლაპარაკებას მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ.

„სამრეწველო მშვიდობიანობა არსებულ პირობებში,—სწერს გაზეთი,—სრული ილიუზიაა. ტაქტიკა, რომელიც უნდა შეითვისოს გენერალურმა საბჭომ,—ეს არის სათანადო ფსიხოლოგიური მომენტის ამორჩევა მოლაპარაკების ჩასაშლელად, ხოლო შემდეგ საზოგადოებრივ აზრისთვის ახსნა-განმარტების მიცემა იმის შესახებ,—თუ რატომ არის შეუძლებელი ჰარმონიული ურთიერთობა მრეწველობაში მუშურ მთავრობის გარეშე".

პოლიტიკურ წრეებში სთვლიან, რომ წერილში გამოხატულია დამოუკიდებელ მუშათა პარტიის აზრი გამართულ მოლაპარაკების შესახებ. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ ამ თვალსაზრისს მხოლოდ „აკადემიური ხასიათი აქვს", ვინაიდან გენერალურ საბჭოს წევრები, რომლებიც ეკუთვნიან დამოუკიდებელ მუშათა პარტიას, პრესაში გამოსთქვამენ და პრაქტიკაში ანხორციელებენ შეხედულებებს, რომლებიც დიდათ განსხვავდება პარტიის ოფიციალურ შეხედულებებისაგან.

ამ მხრივ დამახასიათებელია დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრის ბენ-ტერნერის (ბენ-ტერნერი მონაწილეობს იმავე მოლაპარაკებაში „მრეწველობაში მშვიდობიანობის" დამყარების შესახებ) გამოსვლა ქალაქ ბრადფორდის მიერ მოწყობილ ბანკეტზე. ბენ-ტერნერმა განაცხადა, რომ მონდის იდეა მშვენიერია.

„მონდის ჯგუფთან გამართულ კონფერენციას მუშათა მოძრაობის მოღვაწეთაგან დაესწრო 60 კაცი,—განაცხადა ტერნერმა,—და მათ შორის 59 (ერთის გამოკლებით) ერთსულოვნად იწონებდა მონდის მშვენიერ ინიციატივას".

ნავთის მრეწველთა ბრძოლა



დეტერდინგი (შარჟი)

დეტერდინგის „ანგარიში"

ლონდონი, 31 იანვარი. ბრძოლა „სტანდარტ ოილ კომპანი"-სა და „როიალ დეტჩ შელ"-ს შორის, რომელიც დაიწყო ინდოეთში საბჭოთა ნავთის გაყიდვასთან დაკავშირებით, იწვევს შიშს ლონდონის ნავთის მრეწველთა წრეებში. აღნიშნავენ, რომ „სტანდარტ ოილ"-მა აღიარა 1 წლის განმავლობაში 4 მილიონი დოლარის დაკარგვის შესაძლებლობა ბრძოლის წყალობით, მაგრამ ამავე დროს განაცხადა, რომ მისი კონკურენტები სამჯერ მეტს იზარალებენ.

გაზეთ „ფაინენშილ ნიუზ"-ის კორესპონდენტი (ნავთის საკითხებში) კომენტარიებს უკეთებს აუცილებელ ბრძოლას ფასების დაკლებისათვის და აღნიშნავს, რომ ამისთვის შერჩეულია მეტად არა ხელსაყრელი მომენტი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ **უკანასკნელ წლის განმავლობაში ნავთის აქციების კურსი შეუჩერებლივ ეცემა,** რაც აიხსნება ნავთის ამოღების არაჩვეულებრივად გადიდებით შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში (ადს).

დეტერდინგის ციხე შიგნიდან ტყდება

ლონდონი, 31 იანვარი. გულის მუნიციპალურ საბჭოს წევრის და კონსერვატიული პარტიის გამოჩენილი წევრის— **გარი სმიტის** განცხადებამ, რომელშიაც ის მხარს უჭერდა საბჭოთა ნავთის შესყიდვას, სენსაცია გამოიწვია. ტრამვაის მოძრაობის მომწესრიგებელ კომიტეტის სხდომაზე გარი სმიტმა განაცხადა:

„მე წავიკითხე ყველაფერი, რასაც საბჭოთა ნავთის შესახებ სწერს „დეილი მეილ" და ამან ჩემზე არავითარი გავლენა არ მოახდინა. **თუ მე, როგორც საქმის კაცი, ვყიდულობ საბჭოთა ხე-ტყეს რამოდენიმე ასი ათასი ტონის რაოდენობით, მე ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება საბჭოთა ნავთის ყიდვაც".**

სმიტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ნავთი ჯდება 25—30 პროცენტით უფრო იაფად, ვინემ სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ნავთი.

კომიტეტმა დაადგინა განიხილოს ეს საკითხი, როგორც კი საჭირო გახდება ნავთის ახალი პარტიის შესყიდვა (ადს).

პან-ამერიკული კონფერენცია

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. ჰავანიდან მიღებული ცნობებით პან-ამერიკულმა კონფერენციამ საბოლოოდ უარყო მექსიკის წინადადება პან-ამერიკულ კავშირის ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ. შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრს მომავალშიაც ეკუთვნება კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა. საერთოდ კონფერენცია თავის მუშაობაში მორჩილად ასრულებს იუზის (შეერთებულ შტატების დელეგაციის თავმჯდომარე) ბრძანებებს. (ადს).

გაფიცვების ტალღა საფრანგეთში

პარიზი, 31 იანვარი. **იანვრის მეორე ნახევარში საფრანგეთის მთელ რიგ სამრეწველო პუნქტებში დაიწყო მუშათა გაფიცვები ცალკე წარმოებებში.** ასე, მაგალითად, გაიფიცნენ პაკალის ფირმის საალმშენებლო წარმოების მუშები, ნანსიში გრძელდება ხუთი სტამბის ასოთ-ამწყობთა გაფიცვა. აგრეთვე გაიფიცნენ და მოითხოვენ ხელფასის მომატებას დოკერები, რომლებიც მუშაობენ ტულონის ნავთსადგურში, მარსელის ფირმა ტეტის საქონლის გადმოტვირთვაზე, და სხვ. **მთელი რიგი გაფიცვები დამთავრდა მუშათა გამარჯვებით** (ადს).

მუნიციპალური არჩევნების წინ

ბერლინი, 31 იანვარი. ჰამბურგის მუნიციპალიტეტის არჩევნებში, რომელიც დანიშნულია 19 თებერვლისთვის, მონაწილეობას მიიღებს 20 ორგანიზაციის სიები. კომპარტიის და სოციალ-დემოკრატების სიების გარდა არის აგრეთვე დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და კოროშის ჯგუფის სიები. ურბანსის ჯგუფმა თავისი სია უკან წაიღო, ვინაიდან მისი საქმიანობა აღშფოთებას იწვევს მუშებში. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა ერთ-ერთ საარჩევნო კრებაზე (ადს).

ნორვეგიის „მუშათა" მთავრობის დეკლარაცია

ოსლო, 31 იანვარი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„მუშათა პარტიის ახალი მთავრობა თავის დეკლარაციაში აცხადებს, რომ იგი წინადადებას შეიტანს პარლამენტში, რათა შემსუბუქებულ იქნას საგადასახადო ტვირთი გადასახადის გადამხდელთათვის, ნაწილობრივ განთავისუფლებულ იქნან გადასახადებისა ნარჩენებისაგან წვრილი ფერმერები და მეთევზეები და გაუქმდეს კანონი შტრეიკბრეხერების შესახებ; მუშათა პარტიის მთავრობა შემოიღებს აგრეთვე პურის სახელმწიფო მონოპოლიას და ჩაატარებს აგრეთვე [illegible] ჩაატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს უმუშევრობასთან ბრძოლისათვის. [illegible] მთავრობის გეგმით არ უნდა [illegible]. სამხედრო [illegible], ვინაიდან განზრახულია ნიადაგის მომზადება სრული განიარაღებისათვის ნორვეგიაში.

ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობა ძალიან ცოტა ხანს იარსებებს". (ადს).

არც სიხარული, არც პანიკა

სტოკჰოლმი, 31 იანვარი. ოსლოდან მიღებული ცნობებით, ნორვეგიის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ პირველ საპარლამენტო მთავრობის შექმნის შემდეგ ნორვეგიაში არც ერთ მთავრობას არ გამოუწვევია მთელი სახელმწიფოს ისეთი ყურადღება, როგორიც გამოიწვია მუშათა პარტიის მთავრობამ. კონსერვატიულ წრეებში მუშათა პარტიის შექმნას მტრულად შეხვდნენ. ეკონომიური წრეები სკეპტიკურად არიან განწყობილი. მაგრამ პანიკას ადგილი არა აქვს. მუშათა მთავრობის შექმნამ იმდენადვე მცირე პანიკა გამოიწვია ბურჟუაზიულ წრეებში, რამდენადაც მცირე სიხარული მუშათა შორის. მუშათა პარტიის პრესა თავდაჭერილად გამოსთქვამს თავის აზრს მუშათა პარტიის მთავრობის შექმნის შესახებ, ვინაიდან იცის, რომ მთავრობა ვერ შესძლებს მუშათა პარტიის პროგრამის ვერც ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნილების განხორციელებას (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ახალი მსხვერპლი ხანკოუში

შანხაი, 31 იანვარი. ხანკოუდან მიღებული ცნობებით, იქ 30 იანვარს სიკვდილით დასაჯეს 9 კაცი, რომლებსაც ბრალდებოდა „კომუნისტური მუშაობა". იმავე დღეს, იმავე ბრალდების მიხედვით, სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა 14 კაცს (ადს).

სტუდენტთა კავშირის გარეკა

შანხაი, 31 იანვარი. „შუნ-ბაო"-ს ცნობით, კანტონის ხელისუფლების ორგანოებმა გასცეს განკარგულება ჩინელ სტუდენტობის კავშირის დაშლის შესახებ გონკონგში (ადს).

„რადიკალური რეფორმა"

შანხაი, 31 იანვარი. გაზეთი „შანხაი მერკური" იუწყება, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ შანხაიში, პროტესტის ნიშნად ჩინეთში უცხოელთა კონცესიების არსებობის წინააღმდეგ, დაადგინა: „გააუქმოს სახელწოდებები — საერთაშორისო უბანი და საფრანგეთის კონცესია". ამ დადგენილების თანახმად, საერთაშორისო უბანს მომავალში ეწოდება „ჩრდილო-დასავლეთ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული რაიონი", საფრანგეთის კონცესიას კი —„სამხრეთის განსაკუთრებული რაიონი". (ადს).

დუნკანი გაემგზავრა ინგლისში

შანხაი, 31 იანვარი. ინგლისის „თავდაცვის კორპუსის" სარდალი შანხაიში, გენერალ-მაიორი დუნკანი შანხაიდან გაემგზავრა ინგლისში (ადს).

გერმანია ემხრობა საბჭ. კავშირთან დაახლოებას

ბერლინი, 1 თებერვალი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარშემო კამათის დროს რეიხსტაგში, ცენტრის პარტიის დეპუტატი ულიტცკა შეეხო რა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას, სთქვა: **„არავინ ჩვენთაგანი არ ფიქრობს საბჭოთა ქვეყანასთან კავშირის შეწყვეტას.** ეკონომიური შესაძლებლობანი, რომელიც ორივე ქვეყნისთვის იქნება მშვიდობიანი და მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობით, **აუცილებლად მოითხოვენ არსებული ურთიერთობის შენარჩუნებას და განმტკიცებას.** რომ ჩვენ გადამჭრელ ზომებს ვიღებთ ამ მიმართულებით, ამას მოწმობს რაპალოს და ბერლინის ხელშეკრულობა. ჩვენი სურვილი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირმა უფრო ხშირად მიიღოს მონაწილეობა იმ სახელმწიფოთა საერთო მოქმედებაში, რომელნიც ერთა ლიგის წევრნი არიან. ამიტომ ჩვენ ვესალმებით იმას, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი იღებენ მონაწილეობას განიარაღების კონფერენციაში და ვესალმებით აგრეთვე შემდგომ ნაბიჯებს ამ მიმართულებით".

შემდეგ გამოსულმა სახალხო პარტიის დეპუტატმა და შტრეზემანის უახლოესმა თანამშრომელმა რეინბაბენმა სთქვა: „პუანკარეს მთავრობა ყოველთვის ისახავდა აშკარა მიზანს: რეინის ოლქის ოკუპაციაზე დასთანხმდეს მხოლოდ განსაზღვრული ფინანსიური სარგებლობის მიღების შემდეგ. ეგრედწოდებული ლოკარნოს პოლიტიკის ბალანსი დღემდე მხოლოდ იმედების დიდ გაცრუებას იძლევა. ერთა ლიგა ამ ეგრედწოდებული ეკონომიური ინტერესების შეგნება ან ეგრედწოდებული მსოფლიო სინდისი არ დაგვიბრუნებს თავისუფლებას და ძლიერებას. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამისათვის. სახალხო პარტია ემზადება მძაფრი ბრძოლისათვის. მომავალი გერმანია წარმოგვიდგენია შემდეგი სახით: დასავლეთში—თავისუფლება რეინზე და საარის [illegible], აღმოსავლეთში — საზღვრების შეცვლა, მშვიდობიანი ურთიერთობა პოლონეთსა და ჩვენს შორის, შემდეგში ავსტრიის შეერთება. ამას უნდა დაემატოთ გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო თანასწოროუფლებიანობა" (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომკავშირის ყრილობა

პრაღა, 31 იანვარი. 28—29 იანვარს პრაღაში ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირის მე-6 ყრილობაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად ჰგმობს ოპოზიციის მუშაობას. კერძოდ, **რეზოლიუცია ესალმება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილებას იმის შესახებ, რომ ოპოზიციის რიგებში ყოფნა შეუთავსებელია პარტიაში დარჩენასთან, და აცხადებს, რომ სწორედ ასეთივე პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული ჩეხო-სლოვაკიის კომკავშირშიაც.** ამასთან დაკავშირებით, ყრილობამ მიანდო ცეკას გამორიცხოს კომკავშირიდან ყველა ისინი, ვინც უშენიშვნოდ არ უარყოფს ოპოზიციის შეხედულებებს. (ადს).

იაპონია არჩევნების წინ

ახალი ჯგუფი

ტოკიო, 31 იანვარი. ზედა პალატაში შეიქმნა ახალი ჯგუფი, სახელწოდებით დობაკაი, რომელსაც მეთაურობენ ვაკაცუკი (ყოფილი პრემიერი) და სიდეხარა (ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი). გაზეთების ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ დადასტურებულა, ახალ ჯგუფს შეიძლება შეუერთდეს გოტოც (ადს).

მუშურ-გლეხური ბლოკი ჩაიშალა

ტოკიო, 31 იანვარი. შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარულ პარტიების საარჩევნო შეთანხმება აღარ შესდგა კონფლიქტის გამო მემარცხენე და ცენტრისტულ მუშურ-გლეხურ პარტიებს შორის (ადს).

ინდოეთი ემზადება სამგლოვიარო დღისათვის

ავარის სიმშილობა

ლონდონი, 31 იანვარი. განდის ცნობილმა მიმდევარმა ავარიმ, რომელიც სამი თვის წინედ იყო დაპატიმრებული [illegible] შენახვისათვის, სიმშილობა გამოაცხადა.

გავრცელებულია ხმები, თითქოს ავარი გარდაიცვალა, მაგრამ ინდოეთიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები უარჰყოფენ ამ ხმებს (ადს).

ლონდონი, 31 იანვარი. კალკუტიდან მიღებული ცნობით, სვარაჯისტებმა უკვე დაიწყეს მზადება ინდოეთში საიმონის კომისიის ჩამოსვლის გამო სამგლოვიარო დღის ჩასატარებლად. განზრახულია მიტინგების მოწყობა ღია ცის ქვეშ (ადს).

ბორის სტეფანოვის პროცესი



ვენა, 31 იანვარი. ბუქარესტის სამხედრო სასამართლოში დაიწყო ბორის სტეფანოვის პროცესი, რომელიც ათჯერ იყო გადადებული.

სასამართლოს მიერ გამოძახებულ 54 მოწმიდან პროცესზე გამოცხადდა მხოლოდ 45 კაცი. მიუხედავად ამისა, დამცველები დაბეჯითებით მოითხოვენ საქმის გარჩევას. სასამართლომ მიიღო დამცველების მოთხოვნილება და დაადგინა იძულებით მოიყვანოს სასამართლოში ის მოწმეები, რომლებიც არ გამოცხადდნენ პროცესზე. ამის შემდეგ სამხედრო პროკურორმა გამოაქვეყნა საბრალმდებლო აქტი, რომელიც შეიცავდა 10 დაბეჭდილ ფურცელს. ამით გათავდა პროცესის პირველი დღე.

28 იანვარს ბუქარესტში ჩამოვიდნენ პარიზელი ვექილები **იუნკერი და დელბერტი,** რომლებმაც რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს წარუდგინეს საპროტესტო მემორანდუმი ბორის სტეფანოვის პროცესის გაჭიანურების გამო. მემორანდუმს ხელს აწერს საფრანგეთის ადვოკატურის 60 წარმომადგენელი. ამის გამო **რუმინეთის ოხრანკამ ორივე ვექილს წინადადება მისცა ორი საათის განმავლობაში დაეტოვებიათ ბუქარესტი.** ვექილები გაემგზავრენ ბუქარესტიდან (ადს).

ამერიკული სკოლის დახურვა ბრუსაში

ანგორა, 31 იანვ. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ბრუსაში ამერიკული კოლეჯის პროფესორებმა დაითანხმეს ოთხი მოსწავლე ქალიშვილი, რომლების მიმართ ადგილი ჰქონდა ყოვლად დაუშვებელ რელიგიურ ზეგავლენას, მიეღოთ პროტესტანტული სარწმუნოება. ამასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, **რომ სამინისტრომ დაუყოვნებლივ დახურა ამერიკული კოლეჯი, რომელიც არღვევდა ყველა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.** სკოლა ბოროტად იყენებდა მთავრობის და საზოგადოების ნდობას, ამახინჯებდა მოსწავლე ქალთა ნაციონალურ კულტურას და სხვ. სამინისტრომ გადასწყვიტა პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი. (ადს)

უოლის მეორე წერილი

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე და ნაციონალურ სამოქალაქო ფედერაციის თავმჯდომარე უოლი, რომელმაც ამახწინად მიმართა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატას წერილით საბჭოთა მთავრობის მიერ ამერიკაში წარმოებულ პროპაგანდისათვის ხელის შეშლის შესახებ, აქვეყნებს მეორე წერილს პალატისადმი. უოლი უაღრესად აღშფოთებულია იმით, რომ პალატამ უარი სთქვა ანგარიში გაეწია მის მოწოდებისათვის. როგორც სჩანს, უოლი განსაკუთრებით აღაშფოთა პალატის მშვიდმა და კატეგორიულმა უარმა.

უოლი თავის წერილში ბრალს სდებს ფარკუარს და პალატის სხვა ხელმძღვანელებს იმაში, რომ ისინი მფარველობას უწევენ საბჭოთა პროპაგანდას ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამის დამამტკიცებელ საბუთს უოლი ხედავს იმაში, რომ პალატის მოღვაწენი დაკავშირებული არიან საბჭოთა კავშირთან კულტურულ კავშირის ამერიკის საზოგადოებასთან, რომელმაც ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატასთან ერთად მოაწყო ნიუ-იორკში უცხოეთთან კულტურულ კავშირის საზოგადოების გამოფენა.

იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა მთავრობა აწარმოებს საზღვარგარეთ რევოლიუციონურ პროპაგანდას, უოლს მოჰყავს ციტატები სტალინის მიერ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვიდან.

უოლის გამოსვლა წარმოადგენს რეაქციონურ მოძრაობის ერთ-ერთ ნაბიჯს. ამ მოძრაობას, რომელიც მიდის ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების წინააღმდეგ, ხელმძღვანელობენ უკიდურესი რეაქციონერები. განსაკუთრებულ აქტივობას ეს მოძრაობა იჩენს ამერიკა-საბჭოთა კავშირის დაახლოების უკანასკნელ წარმატების, ნიუ-იორკში საბჭოთა გამოფენის მოწყობის და ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის მიერ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარებისათვის აღდგმულ ენერგიულ ნაბიჯების გამო (ადს).

საბჭოთა გამოფენის აკრძალვა ბრიუსელში

მოსკოვი, 1 თებერ. დასავლეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ მიიღო ცნობები, რომლებიც ადასტურებენ „მატენის" ცნობებს იმის შესახებ, რომ ბრიუსელის ბურგომისტრთა კოლეგიამ აკრძალა საბჭოთა გამოფენის ხელახლა მოწყობა. სან-ჟოსის რაიონის ბურგომისტრმა, სადაც მოწყობილი იყო საბჭოთა გამოფენა, აკრძალა საბჭოთა კინო-სურათის ჩვენება. კინო-ფილმი შესდგებოდა საბჭოთა კინო-მრეწველობის პროდუქციის საუკეთესო ნიმუშებიდან.

რეაქციონური პრესის და ფაშისტების კამპანიამ საბჭოთა კავშირთან დაახლოების წინააღმდეგ ბელგიის ფართე დემოკრატიულ წრეებში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. დასავლეთთან კულტურული კავშირის საზოგადოება იღებს მრავალ წერილებს და პროტესტებს გამოფენის დარბევის გამო (ადს).

სავალდებულო არბიტრაჟი

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. უოლი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის იურიდიულ ასოციაციასთან, რომელიც ამუშავებს რეაქციონურ კანონპროექტს სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ სამრეწველო კონფლიქტებში. როგორც სჩანს ასოციაციის კომიტეტის ამახწინად გამოქვეყნებულ განცხადებიდან, უოლმა აღუთქვა კომიტეტს, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია ხელს შეუწყობს კანონს იმ პირობით, თუ ის ისე იქნება შედგენილი, რომ არბიტრაჟის სავალდებულოდ აღიარება მეტისმეტად თვალსაჩინო არ იქნება. ასოციაციის თავმჯდომარე სტროუნტმა თავის განცხადებაში მადლობით აღნიშნა ის დახმარება, რომელსაც ამერიკის შრომის ფედერაცია უწევს ასოციაციას. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

მღელვარება ციხეში

ლონდონი, 1 თებერვალი. ინდოეთიდან მიღებული ცნობით, ალახაბადის ციხის პატიმართა და ციხის მცველებს შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. მცველებმა ასტეხეს სროლა. სამი პატიმარი მოკლულ იქნა და 16 დაიჭრა. ხელისუფლებამ მღელვარების გაფართოება შეაჩერა იმით, რომ მაშინვე დაკეტა ციხის დანარჩენი შენობები (ადს).

დაპატიმრებანი ბესარაბიაში

ვენა, 1 თებერვალი. რუმინეთის სააგენტო იუწყება, რომ ვითომც ბესარაბიაში აღმოჩენილია ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის ცენტრი იმყოფება ხოროკაში. დაპატიმრებულია ორგანიზაციის ორი ხელმძღვანელი, რომელნიც ვითომც ჩამოვიდნენ დნესტრიდან. სააგენტო ამტკიცებს, რომ ვითომც ჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნა ხელის ყუმბარები და სასროლი იარაღი, რითაც თავდასხმა სურდათ მოეწყოთ. ამის გამო ჩხრეკა სწარმოებს რუმინეთის სხვა ნაწილებშიაც (ადს).

შეტაკება შტრაიკბრეხერებთან

ვენა, 1 თებერვალი. ზაგრებიდან მიღებული ცნობებით, ზაგოების ფაბრიკის გაფიცულ მუშებსა და ფაბრიკაში მომუშავე შტრეიკბრეხერებს შორის მოხდა შეტაკება. შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა რამოდენიმე კაცი. დაპატიმრებულია ხუთი მუშა (ადს)).

წითელფრონტელთა დაშლა

ბერლინი, 1 თებერვალი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა სოც.-დემოკრატმა გრჟესინსკიმ გერმანიის მთავრობის თანხმობით დაშალა წითელფრონტელთა ორგანიზაციის ადგილობრივი კავშირი და ფრონტელების ახალგაზრდათა ორგანიზაცია ფოლკენბერგში. ორგანიზაციის დაშლის საბაბი გახდა ის, რომ ვითომც წითელფრონტელთა ორგანიზაციის არსებობა ეწინააღმდეგებოდეს სამშვიდობო ხელშეკრულების დადგენილებას.

ბრძოლა ვაჰაბიტებსა და იბნ-საუდს შორის

ანგორა, 31 იანვარი. ირაკიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ბრძოლა ვაჰაბიტებსა და იბნ-საუდის (ნეჯდის და ჰეჯასის მეფე) ჯარებ შორის თანდათან ვრცელდება ირაკის მთელს სანაპირო ოლქზე.

ვაჰაბიტებს შეუერთდნენ ნეჯდის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ზოგიერთი ტომები (ადს).

„სოციალისტების" დახმარებით

ბერლინი, 1 თებერვალი. ტიურინგიის ლანდტაგმა ყველა პარტიების ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ კომუნისტებისა დაამტკიცა კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ გოტის საჰერცოგოს გვარეულობას ჩამორთმეული ქონების ანაზღაურებლად მიეცეს 200 მილიონი მარკა. სოციალ-დემოკრატებს რომ მხარი დაეჭირათ კომუნისტებისათვის, კანონპროექტი არ გავიდოდა (ადს).

ჟანდარმერია „უბედურ შემთხვევისათვის".

ბერლინი, 1 თებერვალი. შვეიცარიიდან მიღებული ცნობებით ჟენევის კანტონის საბჭომ მოიწონა კანონპროექტი საგანგებო პოლიციის რაზმის შექმნის შესახებ, რომელიც შეიძლება სასწრაფოდ იქნეს გამოწვეული მღელვარების დროს.

საბჭოთა ვაჭრობა ახლო აღმოსავლეთში აშინებს სამხრეთ-სლოვაკიას

ვენა, 1 თებერვალი. სერბიის გლეხთა კავშირის ნახევრად ოფიციოზში „ნოვოსტი" წერილს უძღვნის საბჭოთა ვაჭრობას ახლო აღმოსავლეთში; გაზეთს შესაძლებლად მიაჩნია საბჭოთა ვაჭრობის გაფართოება ახლო აღმოსავლეთში, ხე-ტყის ექსპორტის გადიდება საბჭოთა კავშირიდან ფრაკიაში და ეგვიპტეში, რაც სამხრეთ-სლავიას არ ემუქრება ძლიერი საშიშო კონკურენციით. „ჩვენი ოფიციალური და პასუხისმგებელი წარმომადგენლები ფრთხილად უნდა იყვნენ და თავი უნდა დაანებონ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ ვითომც სამხრეთ-სლავია არ იყოს დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით და დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაში"-ო ნათქვამია წერილში (ადს).

პროფმოძრაობა პალესტინელ არაბებს შორის

ანგორა, 31 იანვარი. მისწრაფება შეკავშირებისაკენ არაბ მუშებს შორის პალესტინაში განუწყვეტლივ იზრდება. იაფაში ეწყობა არაბთა კავშირები. ტიკვაში, სადაც ამას წინედ ადგილი ჰქონდა სისხლისმღვრელ შეტაკებას მუშებსა და პოლიციას შორის, 800 არაბმა მუშამ შუამდგომლობა აღძრა, რათა ისინი მიღებულ იქნან ევროპიელთა პროფკავშირში

დელეგაციის დაბრუნება

ანგორა, 31 იანვარი. პალესტინაში დაბრუნდა მუშათა დელეგაცია, რომელმაც საბჭოთა კავშირში იმოგზაურა. დელეგაციის მონაწილენი აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებებით. დელეგაციის თავმჯდომარე, რომელიც 20 წლის განმავლობაში იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად, გამორიცხულ იქნა პარტიიდან „პარტიული დისციპლინის დარღვევისათვის" (ადს).

განთავისუფლებულ „ელზას ლორენში".

პარიზი, 31 იანვარი. რემედასის ფრანგულმა სექციამ პრესაში გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ელზას ლორენში პრესის, კრებების და კავშირების თავისუფლების მოსპობის წინააღმდეგ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ 1927 წლის 24 დეკემბრიდან დაწყებული, საფრანგეთის პოლიციამ ელზას-ლორენში მოახდინა 70 ჩხრეკა, გამოსცა 25 ბრძანება დაპატიმრების შესახებ და დააპატიმრა 21 ავტონომისტი (ადს).

პოლონეთ-საბჭ. კავშ. სარკინიგზო კონფერენცია

ვარშავა, 31 იანვარი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ვილნოში გაიხსნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინიგზო კონფერენცია. კონფერენცია უმთავრესად განიხილავს საკითხს მოსაზღვრე პუნქტებზე პირდაპირი მიმოსვლის შესახებ არსებულ შეთანხმებათა გაფართოების შესახებ (ადს).

გოლუვკო ჩავიდა ვარშავაში

ვარშავა, 1 თებერვალი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „გაზეთ „ექსპრეს პორანი"-ს 1 თებერვლის ნომერში მოთავსებულია ცნობა, რომ საშაბათს მოსკოვიდან დაბრუნდნენ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსი სოკოლოვსკი და გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი გოლუვკო. მოსკოვში გოლუვკო და სოკოლოვსკი პოლონეთის ელჩ პატეკთან ერთად არჩევდნენ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც წამოჭრილია მოლაპარაკების მოსალოდნელ განახლების გამო პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, ამ საკითხების გამორკვევის მიზნით. ცნობები, რომლებიც გამოირკვა აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებით, მოხსენდება შესაფერ სამინისტროებს" (ადს).

სიგელების ჩაბარება

ტოკიო. 31 იანვარი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში ტროიანოვსკიმ ჩააბარა იმპერატორს რწმუნების სიგელები (ადს).

სანგოტარდის ინციდენტის გარშემო

ვენა, 31 იანვარი. როგორც რუმინეთის ნაციონალისტური ორგანო „ლუპტა" იტყობინება, მცირე ანტანტის სახელმწიფოები შეთანხმდნენ იმის შესახებ, თუ რა ფორმებში უნდა მოხდეს კოლექტიური გამოსვლა ერთა ლიგაში სან-გოტარდის ინციდენტთან დაკავშირებით.

მცირე ანტანტის სახელმწიფოებს განზრახული აქვთ მოითხოვონ ერთა ლიგისაგან, რომ მან გამოიძიოს უნგრეთის ფარული შეიარაღების საქმე. გაზეთის სიტყვით კოლექტიური განცხადება ერთა ლიგას გადაეცემა 31 იანვარს

კანდიდატი ნობელის პრემიისათვის

სტოკჰოლმი, 31 იანვარი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ესტონეთისა და პოლონეთის პარლამენტებმა ერთხმად დაადგინეს სტოკჰოლმის ქალაქის თავი ლინდჰაგენი წამოაყენონ კანდიდატად ნობელის მშვიდობიანობის პრემიის მისაღებად" (ადს).

კომუნისტების დასჯა

იტალიაში

რომი, 31 იანვარი. განსაკუთრებულ ტრიბუნალში დამთავრდა 20 პირის პროცესი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ტოსკანის პროვინციის კომუნისტურ ორგანიზაციის წევრობა. ბრალდებულთაგან 9 გამართლებულია. სხვები კი ცნობილ იქნენ დამნაშავედ „შეთქმულობაში". მათ შორის, პარლამენტის კომუნისტ დეპუტატ დამენს მიესაჯა 12 წლით საპყრობილეში დაპატიმრება სხვებს კი სხვადასხვა ვადით (ადს).

მინისტრ-სპეკულიანტი

ლონდონი, 1 თებერვალი. საქმე საბანკო სახლ „აირონ მონგერ და კომპანიის" საჩივრის გამო მის ბრედლი დაინის მიმართ, რომელშიაც ჩარეულია გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი გრეგორი, გრძელდება. დღევანდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრედლი დაინი. ბრედლი დაინი უარყოფდა, რომ ის აწარმოებდა ბირჟაზე თამაშ გრეგორისთან ან სხვა ვინმესთან ერთად. მაგრამ შეკითხვებით სასამართლომ შესძლო იმის გამორკვევა, რომ გრეგორი ურევია ამ საქმეში. გაზეთები პროცესს ჯერ კიდევ არ უკეთებენ კომენტარიებს. ვინაიდან ინგლისის კანონებით განაჩენის გამოტანამდე აკრძალულია რაიმეს წერა საქმის შესახებ (ადს).

გერმანიის კონსული ამხილებს შტაბელტს

ნოვოსიბირსკი, 1 თებერვალი. სამხედრო ტყვე შტაბელტის განცხადების გამო 150 გერმანელ სამხედრო ტყვეს შესახებ, რომლებიც ვითომ იმყოფებიან ციმბირში, გერმანიის კონსულმა ციმბირში გროსკოფმა განაცხადა: „კატეგორიულად ვაცხადებ, რომ შტაბელტის ცნობა სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს". დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გერმანიის საკონსულომ საოლქო ადმინისტრატიულ განყოფილების დახმარებით ჩაატარა ციმბირში მყოფ ყოფილ გერმანელ სამხედრო ტყვეების სწორი აღრიცხვა. სულ 1923 — 28 წლის განმავლობაში აღრიცხულია 280 ყოფილი სამხედრო ტყვე. აქედან 1924 წლიდან 1928 წლამდე) დაბრუნებულია სამშობლოში 65 კაცი. თვითეულ სამხედრო ტყვეს წინადადება მიეცა სახელმწიფო ხარჯზე დაბრუნებულიყო გერმანიაში ახლად შექმნილ ოჯახიანად. უმრავლესობამ კატეგორიული უარი განაცხადა გერმანიაში დაბრუნებაზე. ბევრმა მათგანმა ციმბირში გაიჩინა მეურნეობა და ახალი ოჯახები და აღარ სურთ სამშობლოში დაბრუნება.

ამას გარდა გერმანიის საკონსულო სრულებით ვერ იცნობს ყოფილ სამხედრო ტყვე შტაბელტს, რომელიც თითქოს ციმბირიდან დაბრუნდა გერმანიაში. დასასრულ გერმანიის კონსულმა განაცხადა, რომ ის დაუყოვნებლივ გაუგზავნის დეპეშას მოსკოვში გერმანიის საელჩოს და ბერლინში გარეშე საქმეთა სამინისტროს, იმის შესახებ, რომ შტაბელტის განცხადება — მთლიანად სიცრუეს წარმოადგენს.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

მოსკოვი, 1 თებერვალი. „გლაველექტრო"-ში შემდგარმა საუწყებათაშორისო თათბირმა აუცილებლად სცნო სახელმწ. ელექტრო-ტექნიკურ ტრესტს დაევალოს სურამის უღელტეხილზე გაყვანილი რკინის გზის ელექტროფიკაციის პროექტის დეტალურად დამუშავება. სახელმწ. ელექტრო-ტექნიკურმა ტრესტმა პროექტის შედგენის დროს უნდა გამოიყენოს უცხოეთის ფირმების ტექნიკური დახმარება. (ადს)

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ფონდი

მოსკოვი, 1 თებერვალი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით ამიერ-კავკასიის კოოპერატიული ფონდი 1927-28 წ. უდრის 695 000 მან. სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი ამასთანავე აღნიშნავს, რომ კოოპერატიული ფონდი, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც ხმარდება სამომხმარებლო კოოპერაციისათვის ფინანსების მიწოდებას, უნდა დახარჯოს სასოფლო-სამეურნეო სარეწაო კოოპერაციის ხაზით. მშენებლობის ფონდით ამიერ-კავკასიისათვის გადადებულია 600.000 მან. (ადს)

ბანდიტ-ხულიგნების დახვრეტა

ბაქო, 1 თებერვალი. აზერბეიჯანის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს კოლეგიამ თავის სხდომაზე 1 თებერვალს განიხილა ვალენტი ალექსისძე ლიუბიმოვის და ალექსანდრე ვლადიმერისძე მიხაილოვის საქმე, რომელთაც სრულიად უმიზეზოდ მოჰკლეს მოქალაქე მნაცაკანოვის ქალი, რომელნიც რეგისტრაციაში იყვნენ გატარებული, როგორც ხულიგან-ბანდიტები და რეციდივისტები და არა ერთხელ იყვნენ დაპატიმრებული შეიარაღებული თავდასხმისათვის, და აგრეთვე ივანე ქრისტეფორესძე გალუსტოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა მოქალაქეთა ცემა და დაჭრა, ხულიგნური გამოსვლები და შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა მილიციის წარმომადგენელთათვის, კოლეგიამ დაადგინა: ლიუბიმოვს, მიხაილოვს და გალუსტოვს, როგორც გაუსწორებელთ და სოციალურად საშიშარ ელემენტებს მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ივანე პეტრესძე ტრენევს, სერგეი ეფიმესძე ივანოვს და ვლადიმერ ილიასძე გრიშინს, რომელნიც არა ერთხელ იყვნენ დაპატიმრებული ხულიგნობისათვის ბრალად ედებოდათ მოქალაქეთა ცემა და დაჭრა და აგრეთვე თავდასხმა საფაბრიკო-საქარხნო რაიონის მუშათა კლუბებზე, მიესაჯა ათი წლით დაპატიმრება, სასტიკი იზოლიაციით.

განაჩენი ლიუბიმოვის, მიხაილოვის და გალუსტოვის მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი. (ადს)



საქ. ცაკის ცირკულიარული წერილი

(აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ცაკებს, ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომებს)

საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახ. კომისართა საბჭომ 1927 წლის დეკემბრის 30 დაადგინეს, რომ გამოშვებულ იქნას 100 მილიონი მანეთის სესხი შემდეგი სახელწოდებით: „გლეხურ მეურნეობის განმტკიცების სახელმწიფო შინაური მომგებიანი სესხი".

ამ სესხის მნიშვნელობა სრულებითაც არ ამოიწურება მისი ფინანსიური შედეგებით. სესხის წარმატებით გავრცელება საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი გეზის განხორციელებისათვის და მას დიდი მნიშვნელობა ექნება სოფლის იმ სამეურნეო დაბრკოლებებთან საბრძოლველად, რომლებიც აუცილებელია ახლა დავძლიოთ.

ზემოთ დასახელებულ მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირობებში. ამიტომ საქართველოს ცაკის პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ ავტონომიური ერთეულების ცაკებმა, ხელისუფლების სამაზრო და ადგილობრივმა ორგანოებმა მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ იმ ამოცანათა მიმართ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ხსენებული სესხის რეალიზაციასთან. გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხი მხოლოდ მაშინ მოიპოვებს საჭირო წარმატებას, თუ საბჭოთა მთელი საზოგადოებრიობა ენერგიულად იმუშავებს და თუ ჩატარებულ იქნება ფართო კამპანია, რომელშიაც უნდა ჩაბას გლეხობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ზემოთნათქვამის გამო საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს მოკავშირე აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკებს. აგრეთვე ყველა მაზრისა და ქალაქის აღმასკომებს, რომ სასწრაფოდ მიიღონ შემდეგი ზომები:

1. მოწვეულ იქნას თემაღმასკომების თავმჯდომარეთა სამაზრო თათბირი და წაკითხულ იქნას მოხსენება სესხის შესახებ, განემარტოს მათ სესხის მნიშვნელობა და სარგებლობა; ამასთანავე ერთად, თათბირს [illegible] და სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს მომავალი მუშაობის, კერძოდ თემის საბჭოსთან იმ სამეულის ორგანიზაციის გეგმისა და წესის შესახებ, რომელიც უნდა დაარსდეს თანახმად საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა 1927 წ. დეკემბრის 30.

2. დაკისრებოდეს თემსაბჭოებს სესხის რეალიზაციისათვის საჭირო აპარატის შექმნა; მისი მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა თემაღმასკომების ხელში მოექცეს.

3. ეცნობოს გლეხთა მთელ მოსახლეობას ცნობები სესხის შესახებ, ჩატარებულ იქნას ფართო სააგიტაციო კამპანია, რათა გლეხებმა შეიძინონ ობლიგაციები.

4. გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციისათვის საჭირო მუშაობის ხელმძღვანელობა თემში ეწყობა „სამეული", რომელსაც შეადგენენ თემაღმასკომის თავმჯდომარე, პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელი და თემის ყველა კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ამორჩეული წარმომადგენელი. სამეულს უფლება აქვს გააფართოოს თავისი შემადგენლობა და თავის მუშაობაში ჩააბას სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელი ან ცალკე პირები, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ მას მუშაობაში.

5. ამ დიდ ზოგად სახელმწიფოებრივ საქმეში საჭიროა ჩაებას სოფლის მთელი საზოგადოებრიობა: კოოპერაცია, გლეხკომები, მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და სხვ.

6. მოკავშირე აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკების პრეზიდიუმებთან, აგრეთვე მაზრებისა და ქალაქების აღმასკომებთან სათანადო აღმასკომის თავმჯდომარისა ან მოადგილის თავმჯდომარეობით მოეწყოს სესხის რეალიზაციის ხელშემწყობი ცენტრალური ან სამაზრო კომისია, რომელშიაც შევლენ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების, კოოპერაციის და გლეხკომების წარმომადგენელნი. ხსენებულმა კომისიებმა თავისი საქმიანობა არ უნდა განსაზღვრონ ზოგადი დირექტივებით და უშუალო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ სესხის რეალიზაციის კამპანიას მთელ ტერიტორიაზე; ამ მიზნით კომისიებმა თავისი რწმუნებულნი უნდა მიავლინონ ადგილობრივ, გამოიწვიონ მოხსენების გასაკეთებლად ადგილობრივი სამეულების წარმომადგენელნი და მიიღონ სხვა საჭირო ზომები.

7. ხელისუფლების ადგილობრივ ქვედა ორგანოებს წინადადება ეძლევათ მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებს კამპანიის ჩატარების საქმეში.

8. კამპანიის დროს—დაწყებიდან დასრულებამდე—საჭიროა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია მოხდეს სესხის საკითხის გარშემო. სამისო საშუალება: სათანადო საკითხების დასმა საბჭოების პლენუმებზე თათბირებზე, კრებებზე და სხვ., აგრეთვე ამ საკითხების სისტემატიურად გაშუქება როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური პრესის ფურცლებზე.

9. მოკავშირე და ავტონომიური ერთეულების ცაკებთან არსებულმა ცენტრალურმა კომისიებმა და სამაზრო-საქალაქო კომისიებმა თავისი მუშაობის ანგარიში პერიოდულად უნდა წარუდგინონ [illegible] საქართველოს ცაკის ცენტრალურ კომისიას.

10. სესხის რეალიზაციისათვის საჭირო მუშაობა მთლიანად უნდა ეთანხმებოდეს ყველა ცირკულიარსა და ინსტრუქციებს, რომლებიც თქვენ გამოგეგზავნებათ საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხაზით.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს ცაკის მდივანი
შ. მათიკაშვილი.

როგორ მოეწყობა მოგებათა ტირაჟი

სესხის მოგებათა განაწილება იმ ანგარიშით სწარმოებს, რომ სესხის თითეული სერია განაღდებულ იქნეს განსაზღვრულ რაიონში.

ამავე რაიონში იქნება გათამაშებული ის მოგებები, რომლებიც განაღდებულ სერიაზე მოდის.

ამრიგად სესხის თითეული სერიისათვის დანიშნული მოგებები ხვდება სესხის იმ მეპატრონეებს, რომლებიც ამ რაიონში ცხოვრობენ.

სატირაჟო კომისიაში შეყვანილი იქნებიან ადგილობრივი გლეხები, რომლებსაც ექნება იმ სერიის ობლიგაციები, რომლებსაც გებათა გათამაშება იწარმოებს.

მოგებათა გათამაშების ასეთ წესი იმ მიზნით არის შემუშავებული, რომ თვით გლეხებს მიეცეს შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოგებათა გათამაშებაში.

თითეული გათამაშების დროს ერთი სერიის ობლიგაციებს ხვდება შემდეგი მოგებანი: ერთი ათას მანეთიანი, ხუთი—ხუთას მანეთიანი, 300—ას მანეთიანი და 1.080—ორმოცდაათმანეთიანი მოგება.

სულ სესხში არის ორმოცი სერია. ყველა სერიების მიხედვით თითეული ტირაჟის დროს გათამაშებული იქნება 3.500.000 მანეთის 55.440 მოგება.

ექვსივე ტირაჟის დროს კი გათამაშებული იქნება 21 მილიონ მანეთის 332.640 მოგება.

10 მილ. მანეთი ადგილობრივ საჭიროებისათვის

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი გამოშვებულია 100 მილიონი მანეთის რაოდენობით.

დეკრეტის თანახმად, სესხის საერთო თანხიდან 10 მილიონი მანეთი გადარიცხული იქნება ადგილობრივ ბიუჯეტში—კულტურულ და სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ეს თანხა სამაზრო (ან სათემო) აღმასრულებელ კომიტეტებს შორის განაწილებული იქნება იმის და მიხედვით, თუ რა თანხის სესხი იქნება განაღდებული ამა თუ იმ მაზრაში (ან თემში). წარმოიდგინოთ, რომ ერთ რომელიმე რაიონში გასაღდა 1.000 მანეთის ობლიგაცია, მეორეში კი—3.000 მანეთის. ასეთ პირობებში პირველ რაიონში ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად დატოვებული იქნება 100 მანეთი, მეორეში კი—300 მანეთი. რამდენადაც მეტი ობლიგაცია გასაღდება რაიონში, იმდენათ მეტი ანარიცხები იქნება დატოვებული ადგილობრივ საჭიროებისათვის.

რაზე შეუძლია ადგილობრივ აღმასკომს სესხიდან მიღებულ ანარიცხების დახარჯვა? ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მაგ.: სასკოლო და საავადმყოფოების აღშენებლობაზე, სახანძრო ინვენტარის შეძენაზე გზების შეკეთებაზე, მიწათმოწყობაზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენაზე და სხვ.

თითეული რაიონის მოსახლეობა, რასაკვირველია, დაინტერესებულია, რომ ობლიგაციების გასაღებიდან შემოსული ანარიცხები რაც შეიძლება მეტის სარგებლიანობით იქნას დახარჯული. ამიტომ, ზედმეტი არ იქნება, თუ კრებებზე, რომლებზედაც მოსმენილი იქნება მოხსენება სესხის შესახებ, გლეხები განიხილავენ აგრეთვე საკითხს, თუ რა მიზნებისათვის იქნეს გამოყენებული სესხის ანარიცხები.

საგლეხო სესხი და საბჭოები

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. დ. აფციაურმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა, რომ საგლეხო სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩასატარებლად საქ. ცაკი თავის დროზე შეუდგა შესაფერი ღონისძიებების მიღებას.

ვინაიდან საგლეხო სესხი პირდაპირ მოხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გაძლიერების საქმეს, ჩვენ გადავწყვიტეთ —განაცხადა ამხ. აფციაურმა, ყოველ მხრივ ხელი შევუწყოთ მის ფართოთ გავრცელებას და გლეხობას შევაგნებინოთ მისი მნიშვნელობა. ამ მიზნით მაზრებში ჩატარებული იქნება შესაფერი აგიტაცია—პროპაგანდა, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საბჭოების წევრები, საბჭოთა ძირითადი უჯრედები და სოფლის საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოიმუშავა ცირკულიარი რომლის მიხედვით ადგილობრივი სამაზრო, სათემო და სასოფლო საბჭოები მიიღებენ ზომებს სესხის გასავრცელებლად.

სამაზრო აღმასკომებთან დაარსებულ იქნება სესხის გასაღების ხელის შემწყობი სამაზრო კომისიები, ხოლო თემებში სამეულები. კომისიების და სამეულების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ საბჭოს წევრები, გლეხთა კომიტეტები. კოოპერატიული ორგანიზაციები, სახ. სამ. საკრედიტო ამხანაგობები. სოფლის ინტელიგენცია. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. სამაზრო კომისიების და სათემო სამეულების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საქ. ცაკთან არსდება სესხის გავრცელების ხელის შემწყობი ცენტრალური რესპუბლიკური კომისია.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს გლეხობა არ ჩამორჩება მოძმე რესპუბლიკების გლეხობას და ფართოთ გაავრცელებენ თავიანთ შორის საგლეხო სესხის ობლიგაციებს და ამით საშუალებას მისცემენ საბჭოთა ხელისუფლებას კიდევ უფრო წინ წასწიოს სოფლის მეურნეობა და გააუმჯობესოს სოფლად ეკონომიური და კულტურული ცხოვრების პირობები.

სესხი და პოლიტგანათლების ორგანოები

პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ დაავალა ყველა მაზრპოლიტგანებს, ქოხ-სამკითხველოებს, და წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო და პოლიტცოდნის სკოლებს მიმართვა, სადაც ავალებს მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის საქმეში.

ქოხ-სამკითხველოებს ევალება, შერჩეული ლიტერატურის და ჟურნალ-გაზეთების გავრცელება და მათი ხმამაღალი კითხვა. კედლის გაზეთებში გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური განყოფილებები სესხის გაშუქების მიზნით, საცნობარო ბიუროს წევრები ვალდებული არიან მოაწყონ მორიგეობა და მიაწოდონ გლეხობას საჭირო ცნობები სესხის შესახებ. ქ.-სამ-ან არსებული წრეები იწვევენ საგანგებო კრებებს და დეტალურად ეცნობიან სესხის მნიშვნელობას და დანიშნულებას.

რადიო სადგურები მოაწყობენ მასიურ მოსმენას; ხელმძღვანელებს მიეცა დირექტივა, თუ როგორ უნდა მოაწყონ მოსმენილ მოხსენებების ახსნა-განმარტება გლეხებს შორის.

პ. გ. მ. მართველობის მოძრავ კინოს ლექტორს დაევალა სეანსების დაწყების წინ მოაწყოს საუბრები სესხის დანიშნულების შესახებ. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და მცირე მცოდნეთა სკოლებში [illegible] საათები უნდა დაუთმონ სესხის მიზნების გაშუქებას.

სახალხო სახლებში წარმოდგენების დაწყების წინ ჩატარებული იქნება მოხსენებები სესხის მნიშვნელობის შესახებ.

იმ გლეხის სახელი და გვარი, რომელიც შეიძენს ობლიგაციას, გამოკრული იქნება ქოხ-სამ-ში.

სესხის ქრონიკა

შეღავათები წითელარმიელებს

წითელარმიელებისათვის სესხის ობლიგაციების შეძენის დროს შეღავათების მინიჭების მიზნით, საქართველოს ფინსახკომმა ნება დართო თავის მთავარ კონტრაგენტს (სახელმწიფო ბანკი) წითელარმიელებისაგან მიიღოს ხელის მოწერა სესხზე. ობლიგაციის საფასურის ნაწილ-ნაწილად გადახდით—სამი თვის განმავლობაში. 1 თებერვლიდან—30 აპრილამდე.

თათბირი

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის საკითხების განსახილველად. დღეს თბილისის აღმასკომთან შესდგა თბილისის მაზრის სათემო აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

სად შეიძლება ობლიგაციების შეძენა

სესხის ობლიგაციების შეძენა თბილისში შეიძლება: საკავშირო სახელმწიფო ბანკის ა.-კ კანტორაში, ა.-კ. და საქ. სასოფ.-სამ ბანკში, გლეხთა სასახლეში, სამრეწველო ბანკში, კოოპერატიულ ბანკში. ა.-კ. და საქ. შრომის შემნახველ სალაროებში. მიწათმოქმედების კომისარიატის ყველა საწყობებში, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და „ზაკსელქამში".

პარტიული ცხოვრება

მოსკოვის კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი. 1 თებერვალი, გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმზე ამხ. **უგლანოვმა** გააკეთა დიდი მოხსენება მოსკოვის კომიტეტის მუშაობის გეგმის შესახებ. მოხსენებას მოუნდა მთელი დილის სხდომა. საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. უგლანოვის მოხსენების გარშემო (ადს).

ოქტომბრის გაწვევა წითელ არმიაში

მოსკოვი, 1 თებერვალი. მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოს ცნობით, საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავთან დაკავშირებით მიღებულ იქნა რამოდენიმე ათასი კაცი. მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველომ წინადადება მისცა წითელი არმიის ყველა პოლიტიკურ ორგანოებს გააძლიერონ პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა ოქტომბრის გაწვეულთა შორის და ჯარის ნაწილებში მოაწყონ პირველი საფეხურის პარტიული სკოლების დამატებითი ქსელი. (ადს)

მეტი მოჯამაგირენი კომპარტიის რიგებში

ჩვენ არ გვინდა განვსაზღვროთ სიტყვა მოჯამაგირეს იმ ვიწრო გაგებით, რომელსაც ის საზოგადოთ ესმით ბევრს. მოჯამაგირეთა კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ არა მარტო შინამოსამსახურე, არამედ მწყემსი საზოგადოების მიერ დაქირავებული ესა თუ ის მუშაკი, რომელსაც გარდა ხელფასისა სხვა საარსებო წყარო არ გააჩნია, ტყის მუშაკები, ჩაის და თამბაქოს პლანტაციაზე მომუშავენი და სხვა. ერთი სიტყვით ყველა ის, ვინც დაქირავებული შრომით ირჩენს თავს სოფლად სხვანაირად ჩვენ მას სოფლის პროლეტარიატს ვეძახით.

პარტია თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევს მოჯამაგირეთა თავის რიგებში ჩაბმას. ამ მიზნით მთელი რიგი კონკრეტული დადგენილებები და მითითებანიც კი არის გამოტანილი სათანადო პარტიულ ორგანოების მიერ, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე წინ დიდათ არ მიდის. თუ ჩვენ შევადარებთ კომუნისტ მოჯამაგირეთა რაოდენობას მოჯამაგირეთა საერთო რიცხვს, დავინახავთ, რომ მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შესული პარტიაში.

რატომ ხდება ეს? მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, იმაში მდგომარეობს, რომ მოჯამაგირეთა შორის ჯერ კიდევ სუსტია კლასიური თვითშეგნება. მოჯამაგირეს ზოგჯერ, კიდეც რომ სურდეს პარტიაში შესვლა, ასეთი ნაბიჯი ვერ გადაუდგამს, რადგან ამის წინაღმდეგია დამქირავებელი. კერძო დამქირავებელს არ სურს კომუნისტი მოჯამაგირე, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ დამქირავებელმა უფრო პირნათლად და სისწორით უნდა შეასრულოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებანი. მიწა-ტყის კავშირის ფრაქციები და ადგილობრივი პარტორგანიზაციები კი ვერ იჩენენ ყოველთვის სათანადო ფხიანობას მოჯამაგირეთა შესაკავშირებლად და მათი პარტიაში დასარაზმავად. მართალია, აქ დიდ დამაბრკოლებელ გარემოებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოჯამაგირენი უმეტეს ნაწილად დაქსაქსული და ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან, მაგრამ თუ ჩვენ ამ მიზეზს გავყვებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელი უნდა ავიღოთ მოჯამაგირეთა პარტიაში დარაზმვის საქმისაგან. ამოცანის მთელი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ პროფკავშირის ფრაქციები და პარტორგანიზაცია უნდა შეეგუოს თავისი აპარატით მოჯამაგირეთა მუშაობის პირობებს და უნდა შეეძლოს, მიუხედავათ უქველი სიძნელისა, პარტიის უმაღლეს ორგანოთა დადგენილებების ცხოვრებაში გატარება. საჭიროა ამ მიმართულებით უფრო ენერგიული ნაბიჯების გადადგმა, საჭიროა მეტი ინიციატივა და თვითმოქმედება და ამ მუშაობიდან მიღებულ შედეგების ერთმანეთისათვის გაზიარება პრესისა თუ პარტიულ ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

ბ. ძ—ა.

თბ. მაზრის ორგანიზაციები მე-15 ყრილობის შესახებ

მცხეთის, აღბულაღის, ავჭალის, საგარეჯოს, სართიჭალის და ნორიოს სათემო ორგანიზაციების პარტიის წევრთა და კომკავშირელთა გაერთიანებულ კრებებზე ჩატარებული იქნა მოხსენებები საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის შედეგების შესახებ. კრებებს ესწრებოდა პარტიის წევრთა და კომკავშირელთა 80—100 %, რომელნიც დიდის ყურადღებით ისმენდენ მოხსენებებს ლენინური პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებების შესახებ.

თემის ყველა კრებებს გამოჰქონდა დადგენილებები მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა დეტალურად დამუშავების აუცილებლობის შესახებ უჯრედთა კრებებზე და პოლიტ-წრეებში.

რეზოლიუციებში, რომლებიც ერთხმათ იქნენ მიღებულნი, ნათქვამია, რომ თემის პარტიული და კომკავშირული კრებები ერთხმად და სავსებით უერთდებიან ყრილობის ლენინურ გადაწყვეტილებებს.

პარტიული კრებები მოუწოდებენ პარტიის ყველა წევრებს და კომკავშირელებს მჭიდროთ შემოკრბენ მე-15 პარტიული ყრილობის დირექტივების განსახორციელებლათ.

შ. პატარაია.

კომკავშირში

მუშაობა მოისუსტებს

(ნოქალაქევი, სენაკის მაზრა)

აქ კომკავშირის უჯრედი დაარსდა 1922 წელს. უჯრედის მუშაობა პირველ ხანებში კარგად მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელ დროს კი უჯრედის მუშაობა ძლიერ მოისუსტებს. დეფექტთა შორის შესანიშნავია შემდეგი: უჯრედში არსებობს პიონერთა კოლექტივი, არ ვრცელდება არც ერთი ჟურნალ-გაზეთები, კრებები თავის დროზე არ ეწყობა, პარტხელმძღვანელობა სუსტია. კომკავშირს გლეხობაში ავტორიტეტი არა აქვს. საბჭოთა წარსული არჩევნებში კომკავშირის არც ერთი წევრი არ გასულა დეპუტატად საბჭოში.

საჭიროა მომავალში ამ დეფექტების გამოსწორება ვისგან ჯერ არს.

ა. მოხაშვილი.

დავაარსოთ პიონერთა კოლექტივი

ორი წელია, რაც თბილისის საამშენებლო სასწავლებელში დაარსდა კომკავშირის უჯრედი. დაარსების დღიდან ეს უჯრედი თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო უჯრედათ ითვლება. მიუხედავათ ამისა უჯრედთან ჩამოყალიბებული არ არის პიონერთა კოლექტივი. სასწავლებელში 100 ბავში სწავლობს, რომელთაგან 70 კი—10-17 წლის ჰასაკისაა. საჭიროა ბავშების პიონერთა ორგანიზაციაში გაერთიანება. უჯრედის ბიურომ უნდა ითაოს ეს.

ნ. შ.

ვემზადოთ ქალთა დღისათვის

ცირკულიარი

ყველა ც. კ.-ს, დედაქალაქებისა და ოლქების კომიტეტებს.

ყველა ც. კ.-ს, დედაქალაქებისა და ოლქების [illegible]

ქალთა საერთაშორისო კომუნისტურმა დღემ ამა წლის მარტის 8 ამიერ-კავკასიაში უნდა ჩაიაროს შემდეგი ლოზუნგებით:

მშრომელთა ფართო მასებში იმ ძირითადი ამოცანების პოპულიარიზაცია, რომლებიც დასახული აქვთ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას კულტურული რევოლიუციისა, ქალთა განთავისუფლებისა, მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა, წარმოებების რაციონალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, ბრძოლის დარგში და აგრეთვე იმ მუშაობაში, რომლის მიზანია ქალაქისა და სოფლის კავშირის გაღრმავება, პარტიის გარშემო მუშა და გლეხ-ქალების, მშრომელი ქალების ფართო მასათა შემჭიდროება, მათი აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობასა და ქვეყნის თავდაცვაში, აგრეთვე კავშირის გამაგრება საზღვარგარეთის მშრომელებთან.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებაზე, რომ 8 მარტისათვის ყველა პროფესიონალურმა, კოოპერატიულმა, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებმა ჯამი უნდა გაუკეთონ მუშა და გლეხ-ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებს, აგრეთვე უნდა შემოწმებულ იქნას, თუ რამდენად შეასრულეს ამ ორგანიზაციებმა შარშან 8 მარტს გამოტანილი დადგენილებანი.

საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტს სასურველად მიაჩნია, რომ პარტიული ორგანიზაციების, საბჭოების, აღმასკომების, პროფორგანიზაციების გამგეობათა სხდომებზე მოსმენილ იქნას შემდეგი ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საკითხების გარშემო (პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობა, დაწინაურება, უზრუნველყოფა იმ დაწესებულებების მიერ, რომლებიც ემსახურებიან ყოფა ცხოვრებას); ამასთანავე ა.-კ. საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს და ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციების ფრაქციებს, არ დასჯერდნენ მხოლოდ მოხსენებათა მოსმენას, ამ მოხსენებათა მიხედვით აღნუსხონ კონკრეტიული ღონისძიებანი ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და იხელმძღვანელონ შემდეგი აუცილებლობით:

ა) ქალთა მუშა-ხელის სიმკვიდრე წარმოებაში. ქალთა კვალიფიკაციური მუშა-ხელის მომზადება;

ბ) მუშა და გლეხ-ქალების დაწინაურების გაძლიერება ხელმძღვანელ ორგანიულ სამუშაოზე;

გ) მუშაობის გაძლიერება გლეხ-ქალების კოოპერაციაში შეკავშირებისათვის (მეტადრე შინამრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხრით);

დ) იმ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება (და არსებულთა გამაგრება), რომლებიც გაუადვილებენ ქალს საწარმოო დაწესებულებაში და საზოგადოებრივ სამუშაოზე ყოფნას;

ე) ქალაქისა და სოფლის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების გაძლიერება ქალთა განათლების საკითხებისადმი, აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებისადმი და კერძოდ გლეხ ქალთა მასაში გლეხთა მეურნეობის კოლექტივიზაციის იდეის ფართო აგიტაციისა და პროპაგანდის საჭიროებისადმი;

ვ) ბრძოლის გაძლიერება ყოფა-ცხოვრების იმ ნაშთებთან, რომელნიც აფერხებენ ქალთა განთავისუფლებას;

ზ) კომპარტიის და კომკავშირის რიგებში იმ მოწინავე მუშა-ქალების, გლეხ-ქალების, უპირველეს ყოვლისა, მოჯამაგირე და ღარიბ ქალების დაწინაურების ტემპის გაძლიერება, რომლებიც შემოწმებულნი არიან საზოგადოებრივ მუშაობაში.

8 მარტის ჩასატარებლად საჭირო მოსამზადებელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების უშუალო მონაწილეობით.

საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტი გამომცემლობათა და მთელი პერიოდული პრესის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებაზე, რომ საჭიროა აქტიური მონაწილეობის მიღება 8 მარტის ჩასატარებელ კამპანიაში აგრეთვე საჭიროა მშრომელ ქალთა ფართო მასებისათვის პოპულიარული ლიტერატურის გამოცემა ეროვნულ ენებზე.

მუშაობის ხელმძღვანელობისათვის პარტკომებთან უნდა მოეწყოს კომისიები, სადაც შევლენ წარმომადგენელნი: პარტკომის განყოფილებათ (ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე(ც). პროფკავშირის, კოოპერაციის, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის, ავიაქიმიის ხელშემწყობი საზოგადოების, ქალაქისა და სოფლის დაახლოების საზოგადოების; იმავე კომისიას დაევალოს. გაუკეთოს ჯამი 8 მარტის ჩატარებას, ისე. რომ კომპარტიების ც. კ.-ბმა ამ ჯამის გამომხატველი ცნობები გამოუგზავნონ ა.-კ. საოლქო კომიტეტს არა უგვიანეს ამა წლის 1 მაისისა.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგე
შავერდოვა.

როგორ უნდა ჩატარდეს ქალთა დღე

საქართველოს კომპარტიის (ბ) ყველა საოლქო კომიტეტებს, სამაზრო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტებს

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ამ წერილის მიღებისთანავე შეუდგნენ მზადებას ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის ჩატარებისათვის.

ეს დღე უნდა ჩატარდეს, როგორც მასიური საერთო-პოლიტიკური კამპანია, რომელშიაც ჩაბმულ უნდა იქნან არა მარტო ქალთა მასები, არამედ ყველა მშრომელთა ფართო მასები საერთოდ.

ამ კამპანიის ძირითად შინაარსს შეადგენს:

1. განემარტოს მშრომელ ქალთა მასებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და კერძოდ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა მდგომარეობა საზღვარ-გარეთის ქვეყნებში.

2. საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების გარკვევა (მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით) და გარკვევა აგრეთვე იმისა, თუ როგორ მონაწილეობას იღებენ სოციალისტურ მშენებლობაში მუშა-ქალები და გლეხ-ქალები.

3. მშრომელთა მთელი მასის და აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების მიქცევა ქალთა ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი.

4. შემოწმებულ იქნას, თუ რამდენადაა შესრულებული საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედების გეგმები ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების დარგში.

5. განხორციელებულ იქნას მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ქალთა განთავისუფლებისათვის (სათანადო დაწესებულებათა გახსნა 8 მარტისათვის).

მოსამზადებელი მუშაობის კონკრეტული გეგმა ასეთია:

1) ყველა პარტკომიტეტებთან (ცეკადან რაიკომამდე) მოეწყობა ხელმძღვანელი სამეული კომისიები 8 მარტის დღის კამპანიის ჩასატარებლად, კომისიის შემადგენლობაში შედიან: მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგე, სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე და საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

2) ხელმძღვანელი კომისია იწვევს სპეციალურ ფართო თათბირებს, რომლებზედაც იწვევს ახ. ლენ. კომკავშირის, ნორჩ პიონერთა ბიუროს, განათლების განყოფილების, პოლიტგანის, პროფსაბჭოს, ჯანმრთელობის განყოფილების, კოოპერატიულ ორგანოების, „წითელი ჯვარი"-ს, ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის (იქ, სადაც ასეთები არსებობს), და ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებს. ამ თათბირებზე აუცილებელია შემოწმებულ იქნას—პირველი: თუ რამდენად შეასრულეს წარსული წლის მოქმედების გეგმები სხვადასხვა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების დარგში და განხილულ იქნას 1928 წლის 8 მარტის დღისათვის დანიშნული პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელების კონკრეტული გეგმა; მეორე: შედგენილ იქნას ამ დაწესებულებათა ორგანიზაციების სათანადო მოქმედების გეგმები მომავალი წლისათვის (1929 წლის 8 მარტამდე) ეს თათბირები მოწვეულ უნდა იქნას ორჯერ: ერთი—კამპანიის დასაწყისში (თებერვლის დასაწყისი) და მეორე—კამპანიის დასასრულს (8 მარტის წინ).

3) მოეწყოს ადგილობრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის მასიური შემოწმება ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების დარგში. ამ მიზნით სათანადო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან (საქალაქო და სამაზრო) აუცილებელია შეიქნას განსაკუთრებული კომისიები, რომელთა შემადგენლობაშიაც ჩაბმულ უნდა იქნან რწმუნებულები დელეგატ-ქალებისა, საბჭოთა ქალიშვილებისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავე ქალთაგან. კომისიის ამოცანას შეადგენს შეამოწმოს პრაქტიკულად ის, რაც გაკეთებულია და როგორ არის გაკეთებული, რა არის გაკეთებული და რატომ, რა შეიძლება იქნას გაკეთებული 8 მარტისათვის; კომისიამ უნდა დასახოს აგრეთვე მოქმედების გეგმა მომავალი წლისათვის რწმუნებულებს დელეგატ-ქალებისაგან ირჩევენ სადელეგატო კრებებზე; კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ რწმუნებულები ანგარიშს უდგენენ ამ კრებებს. მუშაობა მასიური შემოწმებისათვის დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს; მასალები ამ შემოწმების შედეგების შესახებ (და აგრეთვე ანგარიშების განხილვა რწმუნებულთა მიერ სადელეგატო კრებებზე) რაც შეიძლება ჩქარა (სასურველია 8 მარტამდე) გადაიგზავნოს ცეკას მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებაში.

4) მოეწყოს შემოწმება იმისა, თუ რა მონაწილეობას იღებენ ქალები სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში) და წარმოებაში. აუცილებელია გამოირკვეს აქტივისტ-ქალთა რაოდენობა და მათი მუშაობის ხასიათი, მოხდეს მათი დაწინაურება უფრო მაღალ საპასუხისმგებლო სამუშაოზე და გადაყვანა უფრო მაღალ თანრიგზე, ამ მიზნით შერჩეულ იქნან შესაფერი კანდიდატები. დასახელებულ იქნან კანდიდატები ქალთა შორის შრომის გმირებათ, მოეწყოს პარტიაში და კომკავშირში მიღება, და პარტიის წევრებად პირველ რიგში გადაყვანილ იქნან დელეგატი-ქალები და საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავენი.

5) 8 მარტისათვის გაიხსნას მთელი რიგი დაწესებულებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ქალთა განთავისუფლებას და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, როგორც მაგალითად ბაგები, კონსულტაციები (ბავშვთა და ქალთა), საბავშვო ბაღები, მოედნები, პროფსკოლები, ჭრა-კერვის სკოლები. შრომის არტელები და კოლექტივები, სამრეცხაოები. სასადილოები, წითელი კუთხეები და სხვა, და რამდენადაც შესაძლებელია გაუმჯობესებულ იქნას ამ ტიპის უკვე არსებულ დაწესებულებათა მდგომარეობა.

6) დელეგატ ქალებისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავე ქალთა ძალებით ჩატარებულ იქნას მასიური გამოკვლევა ადგილებზე მყოფ ბავშვთა დაწესებულებათა. როგორც მაგალითად ნორჩ პიონერთა კოლექტივები, სასადილოები, საავადმყოფოები, ამბულატორიები და სხვა დაწესებულებანი. სასურველია გამოყოფილ იქნას სპეციალური კვირა ამ გამოკვლევისათვის. გამოკვლევის მასალები გამოყენებულ იქნას სადელეგატო კრებების მუშაობაში, ხოლო ამ მასალების ჯამები გადაიგზავნოს ცეკას მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებაში.

7) ჩატარდეს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია ქალთა საერთაშორისო დღის ამოცანებისა და მნიშვნელობის შესახებ, სათანადო მოხსენებები გაიმართოს წარმოებებსა და დაწესებულებებში. ეს კამპანია აუცილებელია განსაკუთრებით ფართოდ ჩატარდეს უკანასკნელ კვირაში 8 მარტის წინ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კამპანიის სათანადოთ გაშუქებას ადგილობრივ პრესაში და კედლის გაზეთებში.

8) 8 მარტისათვის მოხდეს ცალკე მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა გაგზავნა (სადაც შესაძლოა ჯგუფებად) ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში, მაზრიდან ქალაქში და უკან. ამასთანავე გამოყენებულ უნდა იქნეს ქალაქის და სოფლის კავშირის (საშეფო) საზოგადოებანი, და აგრეთვე მუშა-ქალები და გლეხ-ქალები გადაყვანილი უნდა იქნან ახალ წარმოებებში და ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ დაწესებულებებში.

ქალთა საერთაშორისო დღის ჩატარება უნდა გამოიხატოს:

1) 8 მარტის წინ უნდა ჩატარდეს პარტიულ-კომკავშირთა საუჯრედო ღია კრებები. ამ კრებებზე აუცილებლივ მოსმენილ და განხილულ იქნას ქალთა კომისიების და ქალთა ორგანიზატორების მოხსენებანი და უნდა მოხდეს ქალთა მიღება პარტიაში და კომკავშირში

2) 8 მარტის წინ უნდა მოეწყოს საზეიმო კრებები (როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში), რომელნიც მიძღვნილი იქნება ამ დღისათვის; კრებებზე მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა ცოლებმა. ამ კრებებზე უნდა მოხდეს შრომის ახალ გმირ-ქალთა დამსახურების აღნიშვნა და სხვა.

3) 8 მარტის დღეს უნდა მოეწყოს ქალთა დღესასწაული, კლუბებში ამ დღეს უნდა გაიმართოს სპეციალური საოჯახო საღამოები ზედმიწევნით დამუშავებული პროგრამით და ქალთა და მათი ოჯახების მასიურ მონაწილეობის მიღებით. თეატრებსა და კინოებში აუცილებელია უნდა გაიმართოს განსაკუთრებული უფასო საღამოები, აგრეთვე ზედმიწევნით შერჩეული პროგრამით.

ცეკა მიაქცევს ადგილობრივი პარტორგანიზაციების ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ აუცილებელია ზედმიწევნით იქნას მომზადებული და საუკეთესოდ იქნას ჩატარებული 8 მარტის დღის კამპანია, რომელმაც დიდი როლი უნდა ითამაშოს მშრომელ ქალთა მასების გამოფხიზლებისა და აქტივობის გაძლიერების საქმეში აგრეთვე და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი—**მ. კახიანი.**

ცეკას მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილების გამგე—**შ. ჟაფარიძე.**

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

III

გლეხთა კოლექტივიზაცია

ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ, რომელმაც მოგვცა ჩვენი სასოფლო მეურნეობის დღევანდელი სურათი და დასახა მისი შემდგომი განვითარების გზები, აღნიშნა ის მიზეზებიც, რომლითაც აიხსნება სოფლის მეურნეობის კოლექტიურ და კოოპერატიულ ფორმათა არა საკმაო განვითარება.

ასეთ მიზეზებათ ამხ. სტალინმა დაასახელა შემდეგი: **„საქმისადმი არა სწორი მიდგომა, არა საკმაო ყურადღება ამ საქმისადმი ჩვენი მუშაკების მხრით, გლეხობის კონსერვატიზმი და ჩამორჩენილობა, ნაკლებობა სახსართა, რომელნიც საჭიროა გლეხების გადაყვანისათვის მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე და სხვ.".**

მაგრამ, საბჭოთა წესწყობილების ათი წლის არსებობა რუსეთში და შვიდი წლის არსებობა აქ, ჩვენში, საქართველოში, იძლევა ყველა წინასწარ პირობებს ზევით დასახელებულ მიზეზების დასაძლევად.

ათი წლის მუშაობამ და გამოცდილებამ საკმაოთ შეასწავლა ჩვენს პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ მუშაკებს თუ როგორ უნდა მიდგომა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კოოპერატიულად გაერთიანების საკითხებისადმი, რომ ეს საკითხები გასაგები და მისაღები იქნეს გლეხებისათვის.

აქ რაიმე განსაკუთრებული შიში გამოთქმა ამ მხრივ, იქნებოდა უსაფუძვლო.

ათი წელი საბჭოთა წესწყობილების არსებობისა, ათი წელი პრაქტიკული მუშაობისა სოციალისტური რევოლიუციის და სოციალისტური მშენებლობის ქვეყანაში საკმაო დროა იმისათვის, რომ ჩვენს მუშაკებს მკვეთრად გაეგოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და კოოპერატიულად გაერთიანებას სოციალიზმის გამარჯვებისათვის, მრეწველობისათვის დასახმარებლად. ხელის შესაწყობად და თვით სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად, ძალზევად უფრო მაღალ საფეხურზე.

შიში, ჩვენი მუშაკების მხრივ არა საკმაო ყურადღების შესახებ აქ დასმულ და ჩვენი პარტიის პოლიტიკის და პრაქტიკის ძირითად საკითხებისადმი, დღეს სწორედ უსაფუძვლო იქნებოდა.

კ. მარქსის თქმით: **„რევოლიუცია არის ისტორიის ორთქლმავალი, რომელიც ელვის სისწრაფით სცვლის მასების შეგნებას".**

ათი წლის რევოლიუციამ, ათი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვამ სწავლა-განათლებაზე, რომელიც დიდმა ოქტომბერმა მემამულეების და თავად-აზნაურების საკუთრებიდან გადაასცა მუშების და გლეხების საკუთრებად, ათი წლის განმავლობაში კომუნისტური პარტიის თავდადებულმა და დაუღალავმა მუშაობამ გლეხობაში მისი მშრომელი ნაწილის დასარაზმავად, ამ ნაწილის პოლიტიკური და სამეურნეო ინტერესების შეგნების განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად, საკმაოთ შეარყია სოფლის ძველი, კონსერვატიზმის საფუძვლები, საკმაოთ შეცვალეს გლეხობის შეგნება.

გარდა ამისა, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში გლეხობა თავისი საკუთარი თვალით ხედავდა და თვითონ პრაქტიკულად რწმუნდებოდა იმაში, თუ რა სარგებლობა მოაქვს მისთვის კოოპერაციას, კოოპერატიულად გაერთიანებას და სხვ. მეტ ნაწილად ამ გარემოებით აიხსნება ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი კოოპერაციის ზრდა ჩქარი ნაბიჯებით და მისკენ გლეხობის მასიური ლტოლვა.

გლეხობა, განსაკუთრებით, მისი ღარიბი და საშუალო შეძლების ნაწილი, მიილტვის კომუნა-ამხანაგობები-კოლექტივებისაკენ, იზრდება კოლექტივების რიცხვი და ისინი იკიდებენ ფეხს სულ ახალ და ახალ რაიონებში.

რაც შეეხება უმთავრეს მიზეზს სახსართა ნაკლებობას,—რომელიც აბრკოლებდა დღემდი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, მაშინიზაციას და მის გადაყვანას კოოპერატიულ და კოლექტიურ ლიანდაგზე, დღეს ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო განვითარება და ზრდა იძლევა საშუალებებს ამ ნაკლის დასაძლევად.

ამის შესახებ ამხ. სტალინმა, როდესაც ის ლაპარაკობდა „გლეხების გადაყვანის შესახებ მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე", მე-15 ყრილობის წინაშე გააცხადა შემდეგი:

„აქ კი საჭიროა დიდი სახსრები ლენინი მე-10 ყრილობაზე ამბობდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ფონდები, რომლებიც საჭიროა სოფლის მეურნეობის დასაქვემდებარებლად სახელმწიფო, ან კოლექტიური ხელმძღვანელობისათვის. მე ვფიქრობ, რომ ეს ფონდები ახლა გვექნება და ისინი თანდათან უნდა გავადიდოთ".

თუ ამასთან გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობასაც, რომ **„დაქსაქსული გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების გარეშე, მათი გადაყვანის გარეშე მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე შეუძლებელია, როგორც სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, ისე მაშინიზაციის წარმატებით ჩატარება; შეუძლებელია საქმის ისე დაყენება, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა თავის განვითარების ტემპით დაეწიოს კაპიტალისტურ ქვეყნებს, მაგ., კანადას",**—ჩვენ მტკიცეთ უნდა გავაცხადოთ, რომ სახსართა ნაკლებობა, როგორც მიზეზი ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობისა, დაქსაქსულობისა და უგეგმოთ წარმოებისა, ამიერიდან კარგავს თავის სიმწვავეს.

ეს სახსარი უნდა გაიღოს თვით პროლეტარულმა სახელმწიფომ და თვითონ გლეხობამ.

ჩვენი მეურნეობის, განსაკუთრებით, მრეწველობის ზრდა, პროლეტარიატის დარაზმულობა, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი კავშირის განმტკიცება გლეხობასთან და სხვა, პროლეტარულ სახელმწიფოს აძლევს დღეს ამის საშუალებას.

გლეხობის საერთო კეთილდღეობის ზრდა, რომელიც შედეგია ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების და ჩვენი პარტიის თავდადებული მუშაობის, აძლევს დღეს სოფელს იმ საშუალებას, რომ ის პროლეტარულ სახელმწიფოს და პარტიას დაეხმაროს მატერიალურად მისივე სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. მისივე, პირველად ყოვლისა. ეკონომიური და კულტურულ-სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სწორედ მდგომარეობის ასეთი დაფასებიდან გამოდიოდა ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობა. როდესაც მან ამხ. მოლოტოვის პირით მთელი ქვეყანას გასაგონათ მასიურ გადასძახა:

„სოფელო, წინ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობისაკენ"!.

ს. მამულია.

საბჭოთა საქართველო

საბჭოს წევრ ქალთა თათბირი

(წერილი ხაშურიდან)

ამ დღეებში სარაიონო ორგანიზატორის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ხაშურის და მისი რაიონის საბჭოს წევრ ქალთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) საბჭო და ქალის მონაწილეობა მასში; 2) საბჭოს წევრ ქალთა ანგარიში; 3) ქალთა მონაწილეობა სანიტარო გაჯანსაღებისა და ჯანმრთელობის დარგში.

საბჭოს წევრ ქალთა თათბირის მონაწილენი

ყველა მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი. მოკამათენი, უმთავრესად სოფლებიდან, აღნიშნავდნენ, რომ ქალთა მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში მამაკაცების უმრავლესობა გულგრილად უცქერიან და არის შემთხვევები, როდესაც ქალებს არ აძლევენ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ საერთო საქმიანობაში. ქალებს არ იწვევენ კრებებზე და სხვა. მიუხედავად ამისა, ამ მოვლენამ გული არ უნდა აგვიცრუოს მუშაობაზე. ჩვენ უფრო აქტიურად უნდა ვიმუშაოთ საერთო საქმიანობისათვის და საქმით დავამტკიცოთ, რომ ქალებსაც შეგვიძლია თავისუფალი აზრის გამოთქმა და მამაკაცებთან ერთად მონაწილეობის მიღება სოციალისტური აღმშენებლობაში.

საერთოდ თათბირის მონაწილე საბჭოს წევრი ქალები მოითხოვდნენ, რომ ასეთი თათბირები ხშირად უნდა იქნეს მოწვეული, ვინაიდან თათბირზე მათ შესძლეს გაცნობოდნენ სხვადასხვა სოფლების საბჭოს წევრ ქალთა საქმიანობას.

ზემოხსენებული თათბირის მიზანი იყო იმის გამორკვევა, თუ რა მონაწილეობას იღებენ საბჭოს წევრი ქალები სოფლად წარმოებულ კულტურულ და აღმშენებლობითი მუშაობაში. ამ მხრივ თათბირმა უსათუოდ შესაფერისი ნაყოფი გამოიღო.

აუცილებლად საჭიროა ასეთი თათბირები უფრო ხშირად მოეწყოს, რათა ქალების საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობას მიეცეს უფრო მტკიცე და გარკვეული სახე.

ნ. ბაბუციძე.

როდის გველირსება?

კახათის თემი, ზუგდ. მაზრა

სამ წელზე მეტია კახათის თემის გლეხობამ შეუდგა შვიდწლედისათვის ქვის შენობის აგებას. შენობა უნდა ყოფილიყო 18 ოთახიანი. საამშენებლო კომისიამ მისი აგება იჯარით გასცა ვინმე დარასელიაზე 7.000 მანეთად. ეს თანხა გლეხობამ გადაიხადა. სამაზრო ხელისუფლებამ მოიჯარადრეს უფასოდ დაუთმო 50 საჟენი შეშა აგურის გამოსაწვავად. გლეხობამ კიდევ დაუმატა 500 მანეთი აგურის გაძვირების გამო, მაგრამ შენობის აგებას ვერ ვეღირსეთ. ნახევრად მოუთავებელი კედლები ფუჭდება ყინვებისაგან აგერ მეოთხე წელიწადია.

საინტერესოა ვიცოდეთ, რატომ არ აქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას საამშენებლო კომისია და თემაღმასკომის თავმჯდომარე?

საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ მოახდინოს გამოკვლევა, თუ რაზე დაიხარჯა გლეხების მიერ გადახდილი 7.500 მანეთი.

კოტე მეგრელი

წერილებიდან

ღირსეული მასწავლებელი

ს. კუმისი, თბილ. მაზრა

ადგილობრივ ოთხწლედის მასწავლებელი ამხ. ჯ. მახარაძის ქალი ენერგიულ საქმიანობას აწარმოებს როგორც სასწავლებლის კეთილდღეობისათვის, ისე გლეხობის კულტურული დონის ასამაღლებლად. გლეხობა მადლიერია მისი მუშაობით.

მიხ. ძამ—ლი.

დროზე შეაკეთეთ

ყაზბეგი, დუშეთის მაზრა

ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოში მოწყობილია რადიო-მიმღები აპარატი, რომელსაც ამუშავებდა სამკითხველოს გამგე. ამ რამდენიმე თვის წინედ რადიო გაფუჭდა. სამკითხველოს გამგეც გამოიცვალა და ახალმა გამგემ არ იცის რადიოს მოწყობა.

თემაღმასკომმა დაჩქარებით უნდა შეაკეთოს რადიო-აპარატი, რასაც გლეხობა მოუთმენლად მოელის.

ელგუჯა.

გლეხკომი კარგად მუშაობს

ს. განძა, სენაკის მაზრა

გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. ს. რურუას ინიციატივით განძაში გაიხსნა კრამიტის ქარხანა, სადაც ყოველდღე მუშაობს 7-8 კაცი. ამით გლეხკომს საშუალება მიეცა იაფ ფასებში შეიძინოს სახურავი მასალა. გლეხობა მადლიერია გლეხკომის მუშაობით.

გლეხი პ. მინდილაია

ერთსულოვანი დადგენილება

ს. კავთისხევი, გორის მაზრა

კავთისხევის გლეხობის საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო მაზრის წარმომადგენელი ამხ. გოგოლაშვილი, ერთხმად გამოიტანა დადგენილება მდინარე მტკვარზე ხიდის აგების შესახებ, რაც აუცილებლობას წარმოადგენს ხსენებული თემისათვის. კრებამ საგანგებოდ არჩეულ პირებს დაავალა სათანადო შუამდგომლობის აღძვრა ხელისუფლების წინაშე ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მ. ქებელაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— სკოლა. ხემოთლულში (რაჭის მაზრა) სკოლის ასაგებათ გლეხებმა გადასდეს 1.200 მანეთი.

— ღარიბ მოწაფეებისათვის სასწავლო ნივთების შესაძენად მარტყოფის გლეხკომმა გადადო 250 მანეთი.

— ვაზის სანერგე. სოფ. ტიბაანის (სიღნაღ. მაზ.) გლეხთა ახალგაზრდობის სკოლასთან მოეწყო ამერიკული ვაზის სანერგე.

— საექიმო პუნქტი. სოფ. კინწველთში (ქუთ. მაზ.) გაიხსნა საექიმო პუნქტი.

— 7 წლედი. ლეილ-ქვიტირში (ქუთ. მაზ.) გლეხებმა 7 წლედისათვის ააგეს ახალი შენობა.

— წყალსადენი. სოფ. დიდ გომარეთში (ბორჩ. მაზ.) გლეხები შეუდგნენ წყალსადენის გამოყვანას.

— მხარეთმცოდნეობა. თელავში მხარეთმცოდნეობის საზ-ბა შეუდგა მუზეუმის მოწყობას.

— აბრეშუმის ქარხანა. ხონის აბრეშუმის ქარხნის მოწყობა დამთავრდება 1 მაისისათვის.

მემინდვრეობა შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრის მოსახლეობის მთავარ და ისეთ წყაროს შეადგენს მემინდვრეობა. მარცვლის კულტურათა შორის პირველი ადგილი უჭირავს სიმინდის თესვას და მის მიერ დაკავებული მიწები უდრის 36.503 დესეტინას. მეორე ადგილი უჭირავს: ხორბალს 4.021 დეს.—ქერს 850 დეს., ფეტვს 420 დეს.

ომისა და რევოლუციის დროს ტყეების გაჩეხვის ხარჯზე გადიდდა სიმინდის, ქერის და ფეტვის ნათესების ფართობები.

მიწის დასვენება, მწვანე სასუქი, ან ხელოვნური სასუქების ნიადაგში შეტანა მაზრაში არ სწარმოებს იმდენად, რამდენადაც თვით მოსავლიანობა უზრუნველყოფილია თავისი საკუთარი ნაკელით.

მინდვრის კულტურის წარმოებას მაზრაში პრიმიტიული ხასიათი აქვს. არ არის შემოღებული ახალი გაუმჯობესებული თესლები, მიწის დამუშავება და დაფარცხვა სწარმოებს კავით და წყნელიდან მოწყვეტილი ხელიტით. მიწების შესვენებას, რომელიც უნდა სწარმოებდეს შემოდგომის, ზამთრის ან ადრე გაზაფხულის პერიოდში, ადგილი არა აქვს.

სოფლის მეურნეობაში საჭირო გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების რიცხვი (მევენახეობის გამოკლებით) ძალზე მცირეა.

აგრო-დახმარების ორგანიზაცია გლეხობას სანახევროდ წყდის გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს, სათესლე და საწამლ მასალას.

მაზრაში საშუალო მოსავალი ერთ დესეტინაზე უდრის 92 ფუთ სიმინდს და 47 ფუთ ხორბალს.

მ. გამყრელიძე.

სენაკის მაზრის ექიმთა კონფერენცია

ამას წინედ ჩატარდა სენაკის მაზრის ექიმთა 3—4 კონფერენცია. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ არჩეულ იქნა საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმი.

კონფერენციის 1-ლი სხდომა გახსნა მაზრაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ქურულიამ. ამის შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ექიმ ჩხეტიას, რომელიც ფართოდ შეეხო ჯანმრთელობის და რაიონების საექიმო პუნქტების მუშაობას და აღნიშნა ყველა ის დეფექტები, რომლის გამოსწორებას ამ მოკლე ხანში შესძლებს ჯანგანყოფილება და სამაზრო აღმასკომი.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები პოლიკლინიკის, სამაზრო საავადმყოფოს, სამალარიო სადგურის და ზოგიერთი რაიონის საექიმო პუნქტების წარმომადგენლების.

მეორე სხდომაზე მოხსენება გააკეთა ექიმ შამათავამ, რომელიც დაწვრილებით შეეხო მაზრაში გავრცელებულ სხვადასხვა ავადმყოფობასთან ბრძოლის საშუალებებს. კამათისა და შეკითხვებზე სათანადო პასუხის გაცემის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ჯანსახკომის და მაზრაღმასკომის თავმჯდომარის მოხსენებები და მიეცა ჯანმრთელობის განყოფილებას სათანადო დირექტივები მომავალ მუშაობისათვის, ხოლო წარსული მუშაობა ცნობილ იქნა სწორად და დამაკმაყოფილებლად.

გ. წულაია.

საქ. ცაკში

თათბირის გადადება

გუშინ, საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ მოსკოვიდან მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ ინვალიდთა კოოპერატიული ნაწილების წარმომადგენლების თათბირი, რომელიც უნდა შემდგარიყო მოსკოვში 4 თებერვალს კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკების ინვალიდთა კოოპერატიული ნაწილების (არტელების) ერთ ცენტრში გასაერთიანებლად, გადაიდო მარტისათვის.

დელეგატების გამგზავრება

გუშინ, უსინათლოების მესამე ყრილობაზე დასასწრებლად, საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თავის ხარჯზე მოსკოვში გაგზავნა თბილისის უსინათლოების საზოგადოების წარმომადგენელი უსინათლო ციხიშვილი და უსინათლოების სკოლის მასწავლებელი ქალი ერისთავი. უსინათლოების ყრილობა გაიხსნება მოსკოვში 5 თებერვალს.

გლეხის სახლის საჭიროებისათვის

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გუშინ სიღნაღის სამაზრო გლეხკომს გაუგზავნა ხუთასი მანეთი გლეხის სახლის საჭიროებისათვის მოსახმარით.

ა. კ. სახკომსაბჭოში

უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია

ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი დებულებისა ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიის შესახებ. პროექტი დასამტკიცებლად გადაეცა ამიერ-კავკ. ცაკს.

შეღავათები სახ. დაწესებულებების და წარმოებების მუშაკებს

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაავალა ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერ-კავკ. ფინსახკომს, ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიის და ამიერ-კავკ. პროფსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად დამატებით განიხილოს საკითხი ამა თუ იმ შეღავათების გავრცელების შესახებ ამიერ-კავკ. შორეულ ადგილების სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებების მუშაკებზე, და აგრეთვე ამ შეღავათების ფარგლების შესახებ და გამოარკვიოს რაიონები, სადაც მუშაობა მძიმე პირობებში მიმდინარეობს.

ამიერ-კავკ. ეკონომსაბჭოს შემადგენლობის გაფართოება

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაადგინა: ამიერ-კავკ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობაში მიღებული იქნენ: ამხ. ა. მ. ნაზარეტიანი, მ. ნ. სმირნოვი და ვ. ი. ფეხიუკი.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლელად

(საუბარი ა. კ. შრომის სახ. კომისართან ამხ. ს. იაშვილთან)

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარმა ამხ. ს. იაშვილმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— საკავშირო ცაკის უკანასკნელი სესიის მანიფესტით 7 საათის სამუშაო დროზე გადასვლა გათვალისწინებულია უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. შემცირებულმა სამუშაო დრომ არ უნდა მოახდინოს გავლენა შრომის პროდუქციის რაოდენობაზე და სამუშაო ხელფასზე. ეს საკითხი კი დაკავშირებულია ფრიად რთულ და ძნელად მოსაგვარებელ ამოცანებთან. ჩვენი მიზანია, რომ შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლა მოხდეს სრულიად უმტკივნეულოდ ჩვენი მრეწველობისათვის და ამავე დროს ამან გამოიწვიოს უმუშევართა რიცხვის შემცირება, სამუშაო ხელფასის სტაბილიზაცია და შრომის პროდუქციის რაოდენობის გადიდება.

ამ მხრივ ძირითად საკითხად მიჩნეული გვაქვს შემდეგი: უნდა მოხდეს აღრიცხვა სამუშაო დროის გაცდენის, წარმოებაში ჩაბმულ მუშა ხელის რიცხვის, წარმოებებისათვის საჭირო ნედლეული მასალის და შრომის ხელფასის.

ამჟამად ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში მიმდინარეობს წინასწარი სამზადისი 7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად. თვითეულ რესპუბლიკაში დაარსებულია მეთვალყურეობის რესპუბლიკანური კომისიები, ხოლო ცალკე წარმოებებთან და პროფკავშირებთან მოწყობილია ადგილობრივი კომისიები. ეს უკანასკნელები მოვალე არიან წინასწარ დამუშავებული მასალები გადასცენ რესპუბლიკანურ კომისიას, რომელიც თავის მხრივ გამოიტანს დასკვნას, თუ სად ან რომელ წარმოებაში არის შესაძლებელი 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა. რესპუბლიკანური კომისიები თავის დასკვნებს უგზავნიან ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატთან არსებულ კომისიას, რომელიც ამ დასკვნებს გადასცემს სრულიად საკავშირო კომისიას.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რომელი წარმოებები იქნებიან გადაყვანილი პირველ რიგში 7 საათის სამუშაო დღეზე, ამხ. იაშვილმა განაცხადა: ამ საკითხის საბოლოო შესწავლა ჯერ-ჯერობით არ არის დამთავრებული; ამის გამორკვევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ ადგილებიდან მიღებული წინასწარი ცნობების განხილვის შემდეგ. ზოგიერთი წარმოება უკვე გადავიდა 7 საათის სამუშაო დროზე. ეს ხდება ცენტრალური ორგანოების ნებადაურთველად და ამას უარყოფითი შედეგები მოაქვს. ასე იყო, მაგალითად, სომხეთში, სადაც მარილის დამამუშავებელმა წარმოებამ გადასწყვიტა გადასულიყო 7 საათის სამუშაო დღეზე, მაგრამ ვერ გაითვალისწინა ყველა ის შედეგები, რომელიც ამას მოჰყვებოდა.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის მომამზადებელ ამიერ-კავკასიის კომისიაში შედიან: თავმჯდომარედ ა. კ. შრომის კომისარი ამხ. იაშვილი, საგეგმო კომისიის წარმომადგენელი ამხ. სმირნოვი და ა. კ. პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. იაკობოვი.

ანალოგიური კომისიები დაარსებული იქნება ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში ს. მ. უ. ს. წარმომადგენლების მონაწილეობით.

ამიერ-კავკასიის მონაწილეობა

საერთაშორისო გამოფენა—ბაზრობაზე

მიმდინარე წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე ეწყობა საერთაშორისო ბაზრობა—გამოფენები ლეიპციგში (გერმანია), მილანში—(იტალია), ბრიუსელში (ბელგია) და პარიზში (საფრანგეთი). თვითეული ამ გამოფენათაგანი თავს უყრის, როგორც მწარმოებლებს, ისე გამსაღებლებს დედამიწის ყველა კუთხიდან. გამოფენის მომწყობ კომიტეტმა ყველა ქვეყნებს დაუგზავნა მოწვევის ბარათები. მოწვეული აგრეთვე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიც. თბილისში მიღებული ცნობებით სრ. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა სცნო საბჭოთა რესპუბლიკებმა მონაწილეობა მიიღონ ზემოხსენებულ გამოფენებზე და სათანადო განკარგულება დაუგზავნა რესპუბლიკების ვაჭრობის სახ. კომისარიატებს. გამოფენებზე მონაწილეობის პრაქტიკული გატარება შეადგენს რესპუბლიკ. სავაჭრო ორგანოების საქმეს. ამ ორგანიზაციებმა გამოფენაზე უნდა გაგზავნონ ყველა საექსპორტო საქონლის ექსპონატები სათანადო ცხრილებით და სტატისტიკური ცნობებით. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მონაწილეობა ასეთ გამოფენაზე პირველია.

ამ გამოფენას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამიერ-კავკასიის მეორე ხარისხოვანი საექსპორტო საქონლის გამოტანისათვის საერთაშორისო ბაზარზე, რადგან იმის მიხედვით, თუ რა გასავალი ექნება გაგზავნილ საქონელს ზემოხსენებულ ბაზრობაზე, შედგენილ იქნება მუშაობის საპერსპექტივო გეგმა ამ დარგში.

საზოგადოებრივი კვების გამოკვლევა

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ამიერ-კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების საზოგადოებრივ კვების განყოფილების გამოკვლევა; გამოირკვა, რომ საზოგადოების გამგეობა სათანადო ხელმძღვანელობას და კონტროლს არ უწევდა საზოგადოებრივ კვების განყოფილებას. იყო ისეთი პერიოდები, როდესაც განყოფილებას არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევდნენ.

ფაქტიურად სასადილოების ექსპლოატაცია მთლიანად მინდობილი ჰქონდათ გამგეებს, რომლებიც ვალდებული იყვნენ ყოველდღე წარედგინათ ანგარიშები სასადილოების შემოსავლის და გასავლის შესახებ. ამ ანგარიშებს აგროვებდნენ და შემდეგ ერთად ხილავდნენ, რაც ხელს უშლიდა სასადილოების მდგომარეობაზე ნათელი წარმოდგენის შემუშავებას.

აღნიშნულია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი გამგეები სასადილოსათვის საჭირო პროდუქტებს ყიდულობდნენ კერძო ვაჭრებისაგან აწეულ ფასებში. ამ დაუდევრობის წყალობით საზოგადოებრივი კვების ხარჯებმა 1926-27 წელში წინ გაუსწრო შემოსავლებს 40-ზე მეტი პროცენტით.

საზოგადოებრივ კვების განყოფილების მუშაობის სათანადო ნიადაგზე დასაყენებლად სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის მიერ შემუშავებული იყო მთელი რიგი საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიებები, ასე, მაგალითად: შედგენილია განყოფილების მუშაობის გეგმა 1927-28 წლისათვის, რომელიც ითვალისწინებს მინიმალურ ზარალს. დანიშნულია სპეციალური თანამდებობის პირი სასადილოების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და სხვა.

გამოკვლევის მასალების მიხედვით ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობას დაავალა გააძლიეროს ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა საზოგადოებრივი კვების განყოფილების მუშაობაზე; გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ანგარიშიანობის სწორად დაყენებას. პროდუქტების შეძენა კერძო ვაჭრებისაგან დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში; პროდუქტების შეძენის დროს უპირატესობა უნდა მიეცეს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

ამასთანავე მიღებული უნდა იქნას ზომები ზედნადები ხარჯების შესამცირებლად საზოგადოებრივი კვების დარგში.

ნაოსნობა ამიერ-კავკასიის მდინარეებზე

გზათა კომისარიატის კომისია, კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. პოლუიანის თავმჯდომარეობით, ამიერ-კავკ. ნავთსადგურების დათვალიერებასთან ერთად გაეცნო ამიერ-კავკ. მდინარეებზე ნაოსნობის მოწყობის საკითხს.

კომისიამ წინადადება მისცა ამიერ-კავკ. ნავთსადგურების სამმართველოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამიერ-კავკ. ზღვა-წყლებზე მიმოსვლის განვითარებას.

ამ საკითხის შესახებ ამიერ-კავკ. ნავთსადგურების სამმართველოს უფროსმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

ნაოსნობის გახსნა პირველ რიგში განზრახულია სევანის ტბაზე და შემდეგ მტკვარზე—ქალაქის ქვევით.

ამჟამად ჩვენი სამმართველოს გამოკვლევ სამუშაოების ბიუროს მიცემული აქვს დავალება სასწრაფო წესით ჩაატაროს ამიერ-კავკ. ყველა მდინარეების გამოკვლევა მათზე ნაოსნობის მოწყობის თვალსაზრისით. მტკვარი გამოკვლეული იქნება ბაქოდან—თბილისამდე.

ამასთან ერთად ჩატარებული იქნება ამავე მდინარეების ეკონომიური გამოკვლევაც.

ამიერ-კავკასიაში არის ისეთი მდინარეები, რომლებზედაც ნაოსნობის მოწყობა შეიძლება 30, 40, 50 კილომეტრის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ ნაოსნობის მოწყობა აქ უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს, ვინემ დიდ მდინარეზე, რადგან ამ მოკლე მანძილებზე მოიპოვება მდიდარი ტყეები, საიდანაც ხე-ტყის გამოტანა აქამდი უგზოობის გამო ძნელი იყო.

რიონზე (სამტრედიიდან—ფოთამდე) ნაოსნობის გახსნის შემდეგ გამოირკვა, რომ ამ მიდამოებში მოიპოვება მდიდარი საშენებელი ქვის მასივები, რომელიც აქამდე გამოუყენებელია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ფოთის და ბათუმის რაიონებში დიდი მოთხოვნილებაა საშენებელ ქვაზე, ცხადი გახდება, რომ ამ ქვის მასივების გამოყენება ძალიან გაადვილდება და დონ-ყუბანის სანაოსნო საზოგადოება მუდამ უზრუნველყოფილი იქნება გადასაზიდი ტვირთებით.

ჩვენებური სამკურნალო ბალახები უცხოეთის ბაზრებზე

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მიღებულია ცნობები საქართველოდან უცხო ქვეყნებში გატანილ სამკურნალო ბალახების გასაღების შესახებ.

ჩრდილოეთ ამერიკაში გატანილი ფერა-ფერას დიდი პარტია გასაღდა ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში. ცნობაში აღნიშნულია, რომ საქართველოდან გატანილი ფერა-ფერა აღმოჩნდა საუკეთესო ხარისხის და იგი ბევრად სჯობია იაპონურ ფერა-ფერას.

ამჟამად ჩრდილოეთ ამერიკაში ძალიან დიდი მოთხოვნილებაა საქართველოს სამკურნალო მცენარეულობაზე. მთელ რიგ ლაბორატორიებში მოახდინეს ცდები, რომლებითაც დამტკიცდა, რომ საქართველოდან გატანილი ფერა-ფერა იძლევა დიდი რაოდენობისა და საუკეთესო ხარისხის ატროპინს. ამის გამო ბაზარზე დაეცა მოთხოვნილება იაპონურ ფერა-ფერაზე და მისმა ექსპორტმა ჩრდილოეთ ამერიკაში იკლო.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება ჩვენებურ სამკურნალო ბალახებზე და განსაკუთრებით კი ე. წ. „ბელადონაზე" (ძაღლყურძენაზე).

ჯანსახკომის ქიმიურმა ლაბორატორიამ შეისწავლა ეს სამკურნალო ბალახი. გამოირკვა, რომ ჩვენებური გიცანა იძლევა ე. წ. ალკალოიდებს. გიცანა ძალიან გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში.

თათბირი მებამბეობის შესახებ

გუშინ ა.-კ. მებამბეობის კომიტეტში გაიხსნა ა.-კ. პირველი მებამბეობის თათბირი. თათბირზე მონაწილეობას ღებულობენ მებამბეობის კომიტეტის რესპუბლიკანურ განყოფილებათა და სას. სამ. კოოპერაციის წარმომადგენლები.

დილის სხდომაზე მებამბეობის კომიტეტის გასული წლის მუშაობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს საქართველოდან ამხ. თ. გიგინეიშვილმა, აზერბეიჯანიდან — ამხ. უხუბეკოვმა და სომხეთიდან ამხ. ვართანიანმა.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ განსაკუთრებით ხელსაყრელ ამინდების გამო ბამბის მოსავალი გასულ წელს ძალიან კარგი იყო და ბამბის დამზადების გეგმა 1-ლ იანვრისათვის საქართველოში შესრულებულია 120 პროც., სომხეთში—115 პროც. და აზერბეიჯანში—81 პროც.

ქარხნების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. საბამბო კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგემ ამხ. კრიშტალმა.

მეორე სხდომა

მებამბეობის რაიონის ხორბლით და მანუფაქტურით მომარაგების შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. საბამბო კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ჭანიშვილმა. მიმდინარე წლის გეგმით ა.-კ. მებამბეობის რაიონებისათვის შემოზიდული იქნება 1.210.000 ფუთი ხორბალი და გარდა ამისა სარეზერვო ფონდი 500.000 ფ. რაოდენობით. გეგმის გათვალისწინებული რაოდენობიდან აზერბეიჯანში შემოზიდულია 70 პროც., სომხეთში—50 პროც., ხოლო საქართველოში გეგმით გათვალისწინებული მთელი რაოდენობა.

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამირაჯიბმა, მუხამედოვმა, დურგელიანმა, შერეცმა, გეხკელმა, რუსტამბეკოვმა, ვართდანიანმა, კრიტილმა, მამედოვმა და სხ.

შრომის სახკომისარიატში

სვანეთის ტყეებში მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესება

სას.-სამ. შრომის ინსპექციამ გამოიკვლია სვანეთის სატყეო რაიონში მომუშავეთა შრომის პირობები. შრომის პირობების დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ მოწვეული იქნა პარიტეტული კომისია პრ. კავშირის და სატყეო ტრესტის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

აღნიშნულმა კომისიამ განიხილა კოლხელშეკრულების გატარებასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა კომისიამ წინადადება მისცა სატყეო მრეწველობის ტრესტს: 1) სოფ. ჯვარში არაუგვიანეს ა.-წ. 1 მარტისა მოწყობილი იქნეს მუშების საცხოვრებელი ბინა 50 კაცისათვის; 2) მოწყობილი იქნეს აგრეთვე ბინა სოფ. ახალაბასთუმანის სტეპებზე 40 კაცისათვის არა უგვიანეს 1 აპრილისა. ბინებთან უნდა მოეწყოს საკუჭნაო სამუშაო იარაღის შესანახავად; 3) დაიყოფის ადგილებისათვის შეძენილი იქნეს ორი ბრეზენტის კარავი, თითო 30 კაცისათვის, არსებული მოძრავი კარავები შეკეთებული იქნეს და გარდა ამისა შეძენილი იქნეს კიდევ 6 კარავი, როგორც [illegible] აგრეთვე ხის ჭრის ადგილებისათვის; 4) პირველი საექიმო დახმარებისათვის შეძენილი იქნეს ერთი თვის განმავლობაში 8 ცალი მოძრავი სამედიცინო ჩანთა. ტრესტის ხარჯზე მოწყობილი იქნეს [illegible]; 5) [illegible] წყლის და სამუშაო [illegible] გადაიხადოს [illegible]; 6) [illegible] სწარმოებდეს პრ. კავშირთან შეთანხმებით.

ბალანსების წარდგენა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება იმ წარმოებების 1926—27 წლის ანგარიშების და ბალანსების თავის დროზე წარდგენის, განხილვის და დამტკიცების შესახებ, რომლებიც ვალდებული არიან გამოაქვეყნონ ასეთები.

ანგარიშების და ბალანსების დამტკიცების საბოლოო ვადათ დაწესებულია 1928 წლის 1-ლი მაისი.

ყველა წარმოებებმა, რომლებიც ვალდებული არიან გამოაქვეყნონ თავისი ანგარიშები, უნდა წარადგინონ ა.-კ. ფინსახკომში და რესპუბლიკების ფინსახკომებში კუთვნილებისამებრ წლიური ანგარიშები, ბალანსები და მათი დამატებები დაწესებულ ვადებში.

პასუხისმგებლობა ანგარიშების და დამატებების თავის დროზე წარდგენისათვის ეკისრება წარმოების ადმინისტრაციას და მთავარ ბუღალტერებს. თვალყურის დევნება ამ მასალების თავის დროზე წარდგენისათვის დაკისრებული აქვს სათანადო უწყებებს—ამიერ-კავკასიის ფინსახკომს და რესპუბლიკანურ ფინსახკომებს. ანგარიშების და ბალანსების თავის დროზე არ წარდგენისათვის პასუხისგებაში მიცემა დავალებული აქვს ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას და რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციებს.

ტრაქტორების მუშაობა კახეთში

კახეთში ამჟამად მუშაობს 91 ტრაქტორი; აქედან სიღნაღის მაზრაში—67 და თელავის მაზრაში—24. ტრაქტორების დიდი ნაწილი „ფორდზონის" სისტემისაა, ნაწილი კი „ხოლტის" სისტემის. აღნიშნული ტრაქტორები ამჟამად გლეხთა ამხანაგობების ხელშია. პირველ ხანებში სამანქანო ამხანაგობებში თავი წამოჰყვეს კულაკურმა ელემენტებმა, მაგრამ შემდეგში კი ისინი თანდათანობით გამოიდევნენ ამხანაგობებიდან.

ქვიანი და მაგარი ნიადაგის გამო, „ფორდზონის" სისტემის ტრაქტორები უვარგისი აღმოჩნდა ალაზნის გაღმა რაიონში სამუშაოდ. როგორც შრომის ნაყოფიერება ტრაქტორისა, ისე მის მიერ მიწის დამუშავების ხარისხი ამ რაიონში არაა დამაკმაყოფილებელი.

ალაზნის რაიონში ტრაქტორები უფრო წარმატებით მუშაობენ. სეზონის განმავლობაში თვითეული ტრაქტორი საშუალოდ ამუშავებს 150 დესეტინა მიწას. გარდა ამისა, ტრაქტორებს გლეხები იყენებენ პურეულის მოსამკელად და გასალეწად. გლეხთა ამხანაგობები ტრაქტორებს იყენებენ აგრეთვე ხე-ტყის საზიდ ქარხნებში.

ალაზნის რაიონში თვითეულ კომლზე მოდის 6 დესეტინა სახნავი მიწა. მათი ერთმანეთთან სიახლოვის გამო თვითეული დესეტინის დამუშავება ჯდება 10—11 მანეთამდე. მუშა-საქონლის უქონლობის შემთხვევაში კი ერთი დესეტინის დამუშავება გლეხს უჯდება 30 მანეთზე მეტი.

ტრაქტორების წარმატებით მუშაობას ზოგიერთ რაიონებში ხელს უშლის კვალიფიციურ ტრაქტორისტთა უყოლობა, ალაგ-ალაგ სახნავი ადგილების სიშორე, სათბობი მასალის არა შეღავათიან ფასებში შეძენა და ტრაქტორების სარემონტო სახელოსნოების უქონლობა ადგილებზე.

აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად სამაზრო აგრონომიული ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ მუშაობას. ახლო ხანში შემუშავებული ქნება კახეთის ტრაქტორიზაციის გეგმა, რომლის განხორციელებით ტრაქტორების ექსპლოატაციის საკითხი დადებითად მოგვარდება.

ღვინის ვაჭრობა

საქართველოს სახალხო მამულების ტრესტი შეუდგა ღვინის დამზადების საქმის გაფართოებას. ღვინის ბაზრის დაპყრობის მიზნით სახალხო მამულების ტრესტი საკუთარ მამულებში ღვინის დამზადების გარდა, გლეხობისაგან ყიდულობს ღვინოებს და ამზადებს ბაზარზე გასატანად.

გასულ საოპერაციო წელში ტრესტმა გლეხებისაგან შეიძინა და გადაამუშავა 246.000 ვედრო ღვინო, მიმდინარე წელს ტრესტს განზრახული აქვს გლეხებისაგან შეიძინოს 400 000 ვედრო ღვინო.

სახალხო მამულის ტრესტი თავის სარდაფებში ამზადებს ათამდე ხარისხის საუკეთესო ღვინოებს, რომლებსაც არც ერთი მეტოქე არ ჰყავს საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

ღვინის გასაღების ფართო ნიადაგზე დაყენების მიზნით, ტრესტმა მოსკოვში, ხარკოვში და ბაქოში გახსნა თავის სარდაფები და საწყობები. ახლო მომავალში ასეთივე საწყობი გაიხსნება ვლადივოსტოკში, ვინაიდან, როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, სახალხო მამულების ტრესტების მიერ შორეულ აღმოსავლეთში სანიმუშოთ გატანილ ღვინოებმა ფართო ბაზარი მოიპოვეს.

ტრესტს განზრახული აქვს წელს შინაურ ბაზარზე გაასაღოს 500 000 მანეთის ღვინო. ტრესტი აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სპირტისა და კონიაკის დამზადების საქმეს. ტრესტი წელს დაამზადებს 10 მილიონ გრადუს სპირტს, კონიაკს, არაყს და ლიკიორს.

ახალი წყალსადენი

ქალაქის მცხოვრებლებისათვის სალი წყლის მიწოდების მიზნით თბ. აღმასკომმა ჯერ კიდევ 2—3 წლის წინად გადასწყვიტა თბილისში ახალი წყალსადენის მოწყობა და სათანადო გამოკვლევის შემდეგ დაიწყო მუშაობა წყალსადენის გამოსაყვანად ნატახტარის წყაროებიდან. ნატახტარის წყაროები თბილისიდან დაშორებულია 32 კილომეტრით. ნატახტარის წყაროები საუკეთესო თვისებისაა და ამავე დროს, წინასწარი გამოკვლევით, მათი მარაგი სავსებით დააკმაყოფილებს მთელ ქალაქს მცხოვრებლების ზრდასთან ერთად 35 წლის განმავლობაში.

ამჟამად ინჟინერ დიასამიძის ხელმძღვანელობით გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ნატახტარში. უკვე ამოყვანილია ორი ჭაბურღილი. ამასთან ერთად სწარმოებს საჭირო გვირაბებისა და აუზების გაყვანა. ნატახტარის წყაროების სამუშაოებზე სულ მუშაობს 180 მუშა.

თბილისში ახალი წყალსადენის სადგურის მოწყობას შეუდგებიან მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ახალი წყალსადენის მოწყობის საქმეზე თბილისის აღმასკომი 1927—28 წ. ბიუჯეტით სულ დახარჯავს 350.000 მანეთს.

ახალი წყალსადენის მოწყობის სამუშაოებთან ერთად იწარმოებს წყალსადენის ახალი მაგისტრალების გაყვანა გარე-უბნებში, გაყვანილ მილის შეკეთება, სახანძრო ონკანების მოწყობა და სხვ., რაზედაც დაიხარჯება 103.095 მანეთი.

მიმდინარე წელსვე შეძენილი იქნება 88.245 მანეთის ახალი წყალსაზომები და 71 958 მანეთი მოხმარდება სახლებში წყალსადენის მილების გაყვანის საქმეს.

აგრეთვე წელსვე მოხდება არსებულ წყალსადენის ელექტროფიკაცია, რაზედაც თბ. აღმასკომი დახარჯავს 63.223 მანეთს.

წელსვე გაყვანილი იქნება ახალი საკანალიზაციო ქსელი გარე უბნებში და იწარმოებს ძველი ქსელის საფუძვლიანი შეკეთება. ახალი საკანალიზაციო ქსელის გასაყვანად გადადებულია 80 ათასი მანეთი.

ზახურიეზული შვნთით

„უძლეველი" მახარაშვილი

წითელ წყაროს (სიღ. მაზ.) თემის პასუხისმგებელ მუშაკს ვანო მახარაშვილს ცოლი ავად გაუხდა. უბედურება დაატყდა თავის ოჯახს, მაგრამ უფრო მეტი განსაცდელი დააგდო ექიმ კოჩინევს. თუ თემში ვანო მახარაშვილი პირველი კაცია, მისი მეუღლე მეორედ მაინც ჩაითვლება. შეიძლება სხვა არ სთვლიდეს მას ასეთად, მაგრამ ერთი თვით ვანო მახარაშვილსაც ჰკითხეთ. ამიტომ კეთილინებეთ და დღე და ღამე ავადმყოფის სასთუმალთან ისხედით, საითაც ვანომ თითი გაიქნიოს იქით გაცუნცულდით, რაც ვანომ ამირანივით გულში გაივლოს მიუხვდით და თვალის დახამხამებაში შეასრულე. აბა რა გგონიათ თქვენ პასუხისმგებელ მუშაკის ოჯახობის უხასიათოთ ყოფნა? მაგრამ ყველა ასეთი გულთმისანი არ აღმოჩნდა.

ექიმი კოჩინევი ჩვეულებრივათ მიუდგა ვანო მახარაშვილის მეუღლის ავადმყოფობას. არავითარი განსხვავება არ დაუშვა ვანოს ოჯახის წევრსა და ჩვეულებრივ გლეხის ოჯახის წევრს შორის. ვანო სამაგიეროთ ექიმ კოჩინევს არაჩვეულებრივად მოექცა. იქ, სადაც „ფენები" არ სჭრის—მუშტი გასჭრის—ასეთია ვანოს დევიზი. ერთ დღეს მან აფთიაქში შეიტყო ექიმი კოჩინევი და გული იჯერა მასზე ცემითა და ლანძღვით. შემდეგ ვანომ თავისი უძვირფასესი ყურადღება თემში მყოფ მედიცინის მეორე წარმომადგენელს მიაპყრო. ამ მიზანში ამოიღო ბებია-ქალი. ჯერ სიტყვით მიმართა, რომ ის დასდგომოდა მის ცოლს თავზე სრულ მორჩენამდე. როცა სიტყვა ფუჭი გამოდგა, მილიციელის საშუალებით მოიყვანა სახლში და დაუჯინა თავის ავადმყოფ მეუღლეს გვერდით.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ვანო მახარაშვილის ეს ოჯახისადმი მეტი ერთგულებით მოსდის. ეს რომ ასე იყვეს, კიდევ ჰო, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ წითელ წყაროში იშვიათად ნახავთ ისეთ პროსტიტუტკას, რომელთანაც ვანო მახარაშვილს ღამეები არ გაუთენებია. პროსტიტუტკები კი ჩვენს თემში საკმაოზე მეტია.

როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაში, ვანოს ცხენი ხშირად მეორეც თან სდევს. ვანო არც ღვინით ვაჭრობაზეა უკაცრავად. მან მთიდან ჩამოსულ უცნობ პირებს მიჰყიდა გერმანული კარაბინი. კარგი ბიჭია და ვინმე სიტყვას ცუდათ შეჰკადრებს ვანო მახარაშვილს. თუ ვანო გუნებაზე არ გახლავთ, „ღვთის" წყრომას, „ღვთის" რისხვად მიიჩნევს. ზოგიერთი ასე ფიქრობს წითელ წყაროში, რომ მახარაშვილის ხელის ხლება უფრო ძნელია, ვიდრე ალაზნის აღმა წასვლა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალაზანი ისევ დაღმა ივლის, ხოლო მახარაშვილი მას წინ გაუსწრებს „დაღმა სირბილში", ამისათვის იზრუნებენ სათანადო ორგანოები.

მინჭარი.

მუქერიების ბირჟაში

ბირჟა არის სხვადასხვანაირი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვსურს ვილაპარაკოთ შრომის ბირჟის შესახებ. და თუ წერილის სათაური რამდენადმე უცნაურია, ამას თავისი გასამართლებელი მიზეზები აქვს.

შრომის ბირჟა არსებობს სამტრედიაშიც. რას აკეთებს ის? აწარმოებს უმუშევართა რეგისტრაციას, კავშირი აქვს დაწესებულება-წარმოებებთან უმუშევართა საქმეზე მოწყობის მიზნით, ზრუნავს უმუშევართა მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ებრძვის პროტექციონიზმს და სხ. შრომის ბირჟის ყველა ამოცანებს ამ პატარა წერილში, აბა როგორ ჩამოვთვლი? ამისათვის არსებობს შრომის ბირჟის მუშაობის დებულება, გეგმა და სხვა. ის ყოველივე არსებობს სამტრედიის შრომის ბირჟაშიც, თუ ქაღალდზე არა, ამ ბირჟის მუშაკთა წარმოდგენაში მაინც. მაგრამ სინამდვილე სასტიკ წინააღმდეგობაშია იმ ფაქტიურ მდგომარეობასთან, რომელსაც აქ ადგილი აქვს.

ბირჟის გამგე გახლავთ დათიკო მუქერია, გამგის თანაშემწედ დათიკოს ქალიშვილი შურა მუქერია, გადამწერად მუშაობს დათიკოს ძმისწული—მუქერია. გამგისათვის სამწუხაროდ სამტრედიის შრომის ბირჟა პატარა დაწესებულებაა, თორემ ვინ იცის, მამალი ინდაურის კუდივით გადიფურჩქნებოდა დათიკო მუქერიას „მამიდაშვილური" ნიჭი! რას იზამ, როცა კაცს ასპარეზი არა გაქვს, ბედს უნდა შეურიგდე. აბა სად დათიკო მუქერია და სად სამტრედიის შრომის ბირჟა.

კაცი ისე გრძნობს თავს ამ დაწესებულების ვიწრო კედლებში, როგორც ზედრედნოუტი ჩხერიმელას სათავეში.

ამ უბედურებას კიდევ შევურიგდებოდით, რომ დათიკოს პატივცემულ ქალიშვილს ადამიანური მოპყრობა ქონდეს მუშებისადმი. კაი ბიჭია ვინმე და ქუდმოუხდელი მივა მის მაგიდასთან, „მუტრუკი", „ვირი", „ჯიბგირი" და სხვა ამგვარი ეპიტეტებით მზადაა შურა მუქერიას მუშებთან სალაპარაკო ლექსიკონი. ამას წინად შრომის ბირჟაში შესული ერთ-ერთი მოქალაქე შურა მუქერიამ „კეთილმოსამებრ" შეამკო ამგვარი „ხოტბით", ჯერ ვირათ გახადა, შემდეგ მუტრუკათ, შემდეგ ჯიბგირათ, შემდეგ ისევ ვირს დაუბრუნდა, ისევ მუტრუკს და ასე დაუსრულებლივ. ვერაფერმა გასჭრა. მოქალაქე მაინც იდგა ქუდის ხურვით და ქუდს თავიდან არ იხდიდა. მოთმინებადაკარგული შურა მუქერია საკუთარი ხელით სწვდა ქუდს და აგლიჯა ის მის პატრონს თავიდან. თან ნადავლათ ერთი ბლუჯა ბალანიც გაიტაცა. ამისათვის შურა მუქერიას მილიციაში უჩივლეს. მაგრამ—არაფერი. ყოველივე შერჩა შურას, როგორც დედის კვერი.

ასეთი ხალხი მოუვლის სამტრედიის უმუშევრებს? ასეთი ბირჟა შეებრძოლება პროტექციონიზმს? მეტი არ ადგა თქვენი მტერი.

ჰიკო.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

ღონისძიებები მოძრაობის მოსაწესრიგებლად

თათბირი ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

ქალაქში გახშირებულ უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად შესდგა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის გამგეობის საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების გამგე, ქალაქის კომენდანტი და სხვ. დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში მიმოსვლის წესების დასაცავად და მეთვალყურეობის გასაწევად დაარსებულია განსაკუთრებული კომისია 18 კაცის შემადგენლობით, მაინც ხდება მიმოსვლის სავალდებულო დადგენილების დარღვევა და გახშირდა უბედური შემთხვევები.

ამხ. ხ. ხმალაძემ მოიყვანა სტატისტიკური ცნობები გასულ წელს მომხდარ კატასტროფების შესახებ. ამხ. ხმალაძის ცნობით, გასულ წელს ადგილი ქონდა ავტომობილის კატასტროფის 26 შემთხვევას, რომლის დროს მოკვდა 8 მოქალაქე, დაშავდა 26.

ამავე ხნის განმავლობაში ადგილი ქონდა ტრამვაის კატასტროფის 12 შემთხვევას, რომლის დროს მოკვდა — 2, დაშავდა—10; ამას გარდა ტვირთმზიდავ საშუალებათა კატასტროფის 10 შემთხვევის დროს მძიმედ დაშავდა 10 კაცი.

ამხ. ხმალაძემ აღნიშნა, რომ უბედურ შემთხვევებში დამნაშავენი არიან, როგორც საავტომობილო და სხვა ტრანსპორტის მუშაკები, ისე ფეხით მოსიარულე მოქალაქენიც, რომლებიც თავიანთი დაუდევრობის გამო ხშირად ხდებიან კატასტროფის მსხვერპლი.

სხდომამ დაადგინა აღმასკომის დადგენილება მოძრაობის მოწესრიგების შესახებ მტკიცედ იქნეს გატარებული და ჩატარებული იქნეს ფართო განმარტებითი კამპანია მიმოსვლის წესების დაცვის შესახებ ავტო-მუშაკებს, ტრამვაის, ტვირთმზიდავ მუშებს და მილიციის თანამშრომელთა შორის; სხდომამ აგრეთვე დაადგინა მუშათა კლუბებში და სკოლებში მოეწყოს სპეციალური ლექცია-საუბრები მოძრაობის მოწესრიგების შესახებ.

თბილისის აღმასკომის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის მოსაწესრიგებლად სავალდებულო დადგენილების გამოცემის შესახებ.

ამხ. ხმალაძის ბრძანება

უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისა და ქუჩებში მოძრაობის სავალდებულო წესების დაცვის მიზნით, აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსმა ამხ. ხმალაძემ გუშინ გამოსცა ბრძანება ყველა სამილიციო რაიონის უფროსებისადმი.

თვითეულ რაიონში—რაიონის უფროსის თანაშემწემ და უფროსმა თანამშრომელმა მორიგეობით თვალყური უნდა ადევნონ ეტლების მოძრაობას მთავარ ქუჩებში.

ყველა ეტლების მმართველთ, რომელნიც შემჩნეული იქნებიან მიმოსვლის წესების დარღვევაში, ჩამოერთმევათ ადმინისტრატიულ განყოფილების მიერ გაცემული საარიცხვო წიგნაკები და დაენიშნებათ დრო რაიონში გამოცხადებისა. იმ მიზნით, რომ მოძრაობა არ იქნეს შეჩერებული, უნდა შესდგეს ოქმი და საარიცხვო წიგნაკები კი უნდა დაუბრუნდეს ეტლების მმართველთ.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ ტრამვაის წესიერ მიმოსვლას არ ექცევა სათანადო ყურადღება. ტრამვაის ვაგონებს შორის არასდროს არ არის დაცული საჭირო დისტანცია. ტრამვაიზე ასვლა-ჩამოსვლა ხდება არა არსებულ წესების მიხედვით, არამედ ვისაც როგორ მოესურვება. რაიონის უფროსს ევალება თვალყური ადევნოს ამ გარემოებას და მიიღოს სათანადო ზომები ამ წესის დამრღვევთა წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში, თუ მოძრაობის საერთო წესები დარღვეული იქნება ტრამვაის კონდუქტორების ან ვატმანების მიერ, მაშინ უნდა აღინიშნოს მოძრაობის დარღვევის დრო, ნომერი ვაგონისა, მარშრუტი და ასეთი ცნობა დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსს.

შემჩნეულია, რომ თვით მილიციის თანამშრომლები ვერ იჩენენ საჭირო აქტივობას ტრამვაის ვაგონებში სავალდებულო წესების დაცვის საქმეში. არის მრავალი მაგალითები იმისა, რომ თვით მილიციელები ტრამვაის გაჩერებამდე შეხტებიან და ჩამოხტებიან ვაგონიდან. რაიონის უფროსებმა უნდა გააფრთხილონ თანამშრომლები, რომ ამგვარი მოქმედებისათვის ისინი სასტიკად დაისჯებიან.

სასტიკად აკრძალულია მთავარ ქუჩებზე საბარგო ეტლების მიმოსვლა. ასეთივე განკარგულება უნდა გავრცელდეს საბჭოს ქუჩაზეც.

სასამართლო

ალიმენტი

— აი, როგორ დავიტანჯე, მოქალაქე მოსამართლენო! აი, როგორ მოვსტყუვდი.—ქვითინ-მოსკვნით სჩივის ახალგაზრდა შავგვრემანი ქალი.

— წარმოიდგინეთ, ასეთი უხეში ადამიანი ჩემი კანონიერი ქმარი იყო...

გთხოვთ მომისაჯოთ ალიმენტი.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ანტანინა კ—ა ამ სამი თვის წინად გაეყარა ქმარს ალექსანდრე კუპცოვს, რომელმაც პირობა მისცა მას, რომ მისცემდა სამშობიაროდ ფულს (ქალი მძიმედ იყო). კუპცოვმა არ შეასრულა დაპირება.

პირველი უბნის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ანტანინა კ—ას საჩივარი.

ალ. კუპცოვს მიესაჯა გადაიხადოს ქალის სასარგებლოდ 90 მანეთი 4 თვის განმავლობაში და აგრეთვე დაუბრუნოს მას ყველა ნივთები.

თ.

ხულიგანი

— მე კი ჩემს სიცოცხლეში დიდი ხანია ვმღერი. აი, თუნდაც ეხლაც, როცა ჯიბეში თავები დაბრახუნობენ და როცა უკანასკნელი კაპეიკიც ღვინოში მივეცი.

ეს სიტყვები წარმოსთქვა მთვრალმა ანტონ დიანოზის ძე გიუნაშვილმა და „მშვენიერი" სიმღერა შემოსძახა. ეს მოხდა პლეხანოვის პროსპექტზე.

გაისმის გუშაგ მილიციელის სტვენა.

მთვრალმა გიუნაშვილმა გაუხვია ლოტოს კლუბისაკენ.

კლუბში მისი გამოჩენა და ხალხის არევ-დარევა ერთი იყო. „ქმა-ბიჭმა" სტაცა ხელი მაგიდას და გადაატრიალა. ქალებმა მორთეს კივილი. მამაკაცებმა უკმაყოფილო თვალებით ახედ-დახედეს „სტუმარს".

ერთ-ერთმა მოქალაქემ წესიერებისაკენ მოუწოდა გიუნაშვილს. ლაპარაკი არ დაემთავრებინა მოქალაქეს, რომ გიუნაშვილი სწვდა მას საყელოში და დაუწყო ბიძგება. პანღურის კვრით უნდოდა მისი გამოგდება კლუბიდან, მაგრამ მოქალაქე გაუსხლტა ხელიდან. გიუნაშვილი ეხლა ფრანგული წესით დაეძგერა მგზავრს. ასტყდა ხმაურობა. მოცვივდნენ მილიციელები.

— არ გაბედოთ ახლო მოსვლა, თორემ დაგახრჩობთ წიწილივით,—ღრიალებდა „მამაცი" გიუნაშვილი.

შემდეგ ამოიღო დანა, მაგრამ მალე განიარაღებული იქნა.

დიდის ვაი-ვაგლახით ხულიგანი მიიყვანეს კომისარიატში და მოათავსეს საპატიმრო ოთახში.

გიუნაშვილის საქმე გუშინ გაირჩა სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით.

სასამართლომ გიუნაშვილი ორი კვირით გაგზავნა გამასწორებელ სახლში.

ჭ.

„ზედმეტათ დატვირთული"

მოქ. ვლადიმერ ბესარიონის ძე ღულაძე 1923 წ.—26 წლამდე მუშაობდა სახელგამში. ის იყო მოლარე, ბუღალტერი, საქმეთა მმართველი და ინკასატორი.

ერთი სიტყვით, მეტი „დატვირთვა" შეუძლებელია.

ღულაძეს დააკლდა 3.630 მანეთის საბუთები, რისთვისაც იგი მოხსნეს სამსახურიდან და პასუხისგებაში მისცეს.

ღულაძის საქმე გუშინ გაირჩა თბილისის სამაზრო სასამართლოში მ. კაჭარავას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ალხაზაშვილის და ბაბუციძის, პროკურორ ლორთქიფანიძის და მცველ იაშვილის მონაწილეობით.

მოწმეების ჩვენებით და საქმეში არსებულ მასალების მიხედვით აშკარა გახდა, რომ 3.630 მანეთის საბუთები ღულაძემ დაჰკარგა თავისი დაუდევრობით.

ასე შეასრულა ღულაძემ 5 თანამდებობა.

— მე რა შუაში ვარ, გაიძვერებიან შტატი და ყველაფერი რიგზე იქნებოდა,—უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკობდა სასამართლოში ბრალდებული. გთხოვთ ლმობიერად მომეპყრათ.

ღულაძეს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამნისტიის ძალით სოციალური დაცვის ღონისძიებისაგან განთავისუფლებული იქნა.

ჰ.

სასამართლოს თავმჯდომარის შეურაცხყოფა

გასული წლის 21 ნოემბერს, სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით ირჩეოდა სიმონ ბორდოს საქმე.

ბორდოს ბრალდებოდა ხულიგნობა.

როცა სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. გაბუნიამ დაამთავრა განაჩენის კითხვა—ასეთი შეკითხვით მიმართა მსჯავრდადებულს: გაიგე თუ არა განაჩენი?

ამ შეკითხვის გაგონებისთანავე ბორდომ დაიწყო ჩოჩქოლი, ყვირილი და გინება.

ბორდომ სასამართლოს თავმჯდომარეს დაუძახა: „აქ მოდი, თუ ვაჟკაცი ხარო". შემდეგ მან დაიკაპიწა ხელები და თმაში ჩაავლო ხელი თავმჯდომარეს.

ი. გაბუნიას მიეშველა სახალხო მსაჯული კორძაძე. ბორდომ სილა გააწნა ამ უკანასკნელს. შემდეგ მას მუშტი ჰკრა ცხვირში და სისხლი ადინა.

დიდის ვაი-ვაგლახით ბორდო მიაბრძანეს კომისარიატში.

ეს საქმე გუშინ გაირჩა პირველი უბნის სახალხო სასამართლოში.

ბორდოს მიესაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდადებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი გაუნახევრა.

მუშათა ცხოვრება

ჩავრიცხოთ პროფკავშირში

საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თბილისში მცხოვრებ მცირე ერთა წარმომადგენლების მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა-განმტკიცებას. ასეთები კი თბილისში ძალიან ბევრი არიან, მაგ. ქურთები, რომლებიც კუჩის ქვეშ მუშაობენ. დღემდე ეს ეზიდები არავითარ ორგანიზაციაში არ იყვნენ გაერთიანებული. 1924 წ. ხელისუფლების დახმარებით ჩარიცხულ იქნენ ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში. ამჟამად ეზიდები არიან დაზღვეულები და სარგებლობენ ყოველგვარ შეღავათებით, როგორც კავშირის წევრები.

მაგრამ თბილისში არიან კიდევ ქვაბების მკალავი ლეკები, რომლებიც დღემდე არ არიან გაერთიანებული პროფკავშირში და მუშაობენ ყოვლად ანტიჰიგიენიურ პირობებში. მათთვის არ არსებობს არც შრომის კანონი, არც კვირა უქმე დღე, არც პროფესიონალური და კოლექტიური მუშაობა და არც სხვა რაიმე შეღავათები.

დროა ჩვენმა პროფკავშირებმა და შრომის დაცვის ორგანოებმა გადადგან ნაბიჯი ამ ლეკების პროფკავშირში გასაერთიანებლად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ აღნიშნული მკალავები ხშირად დაქირავებულ შრომითაც სარგებლობენ. ჩვენის აზრით საჭიროა დაარსებულ იქნეს მკალავთა შრომითი კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან ყველა მკალავები. ასეთ პირობებში მათი ჩარიცხვა პროფკავშირში უფრო გაადვილდება.

მუშკორი ფაზოლი.

—:—

როდის დაამთავრებს

(ტყიბულის მაღაროები)

გასულ წელს ტყიბულის მაღაროების ადმინისტრაცია შეუდგა მუშების საცხოვრებელ ბინების აშენებას. პირველ ხანებში საამშენებლო მუშაობას ხელმძღვანელობდა მოქ. ნ. ნაკაიძე, მაგრამ მის ხელში მუშაობა ნელი ნაბიჯით მიმდინარეობდა. ამიტომ ბინების აშენება მიანდვეს ინჟ. ვ. მოლჩანოვს, რომელმაც პირობა მისცა მუშებს, რომ 15 ნოემბრისათვის შენობები მზად იქნებოდა.

მაგრამ ვერც მოლჩანოვმა შეასრულა თავის პირობა. სახლები დღესაც დაუმთავრებელია. მოლჩანოვმა ერთი პატარა შენობაც კი, რომელშიც უნდა მოწყობილიყო მუშებისათვის აბანო, ვერ დაამთავრა.

დროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და მოლჩანოვს მოეთხოვოს პასუხი პირობების შეუსრულებლობის გამო.

გულწითელა.

საბინაო ამხანაგობა მუშაობს

ორი წელიწადია, რაც დაარსდა საბინაო ამხანაგობა № 208, მაგრამ ამხანაგობის წევრების თანხმობით და გამგეობის ნაყოფიერი მუშაობით საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა ამ მცირე ხნის განმავლობაში.

ამხანაგობამ საფუძვლიანად შეაკეთა სახლი. კულტურულ დარგშიაც დიდი მიღწევები აქვს. საბინაო კოოპერაციის გამგეობასთან დაარსდა კულტურული კომისია, რომელმაც თავის მოქმედების ხნის განმავლობაში სამჯერ გამართა საღამო-წარმოდგენები, რომელსაც ესწრებოდნენ მეზობელ საბინაო ამხანაგობათა წევრები.

წარმოდგენის წინ წაკითხული იქნა მთელი რიგი მოხსენებებისა, როგორიცაა: ამხ. ი. ობოლაძის მოხსენება — კოოპერაცია და მისი მნიშვნელობის შესახებ, სამომხმარებლო კოოპერაციის და ბინების კოოპერაციის შესახებ. ამხ. მოკვარიანის მოხსენება: რელიგია და მეცნიერების შესახებ და სხვ. საღამო-წარმოდგენები შესაფერი პროგრამით, რითაც დამსწრენი კმაყოფილი დარჩნენ.

კულტ. საღამო-წარმოდგენები ძლიერ უწყობს ხელს სხვადასხვა საბინაო ამხანაგობათა წევრების ერთიმანეთთან დაახლოვებას და მათ კულტურული დონის აწევას.

წევრი

— რატომ არ დააზღვევენ? უკვე სამი თვეა, რაც აღმშენებელ მუშათა კლუბში (ავლაბარი) მუშაობს ერთი ქალი, მაგრამ დღემდე იგი არ არის დაზღვეული. კლუბის გამგეობა, რატომ არ დააზღვევ თანამშრომელს?

ცმუვი.

აირჩიეთ რწმუნებულები

(აღმასკომი)

26 იანვარს შესდგა აღმასკომის თანამშრომელ მუშკოოპის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო მუშკოოპის წარმომადგენლის მოხსენება და რწმუნებულთა არჩევნები.

მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ობოლაძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მუშკოოპის გამგეობას საანგარიშო ხნის განმავლობაში დიდი მიღწევები ჰქონია: საქონლის 92 პროცენტი შესყიდული ყოფილა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან. წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაზრდილა, სავაჭრო წერტილები გამრავლებულა 550-დე, სანგარიშო ნაწილების ხარჯები შემცირებულა 50 პროცენტით, თანამშრომლებს მოემატებათ ჯამაგირი და სხვ.

მოხსენების მიმართ მრავალი შეკითხვა, რომელსაც ამხ. ობოლაძემ მისცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ კოოპერატივის, როგორც ნაკლს, ისე მიღწევებს. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს მუშკოოპის გამგეობის მუშაობას და საჭიროდ სცნობს საპაიო გადასახადის გადიდებას 15 მანეთამდე.

მუშკოოპის რწმუნებულებათ კრებამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: ბოლქვაძე, გოგობერიძე, ალითოვი, კალანდაძე, ჯიქიძე და ნინა ხოფერია. კანდიდატებათ სავიცკი და ნ. გრიგორაშვილი.

ნიკო მკერვალი.

—:—

განათლების მუშაკთა შორის

26 იანვარს, განათლების მუშაკთა სახლში შესდგა განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომების კონფერენცია, რომელზედაც ადგილკომების გადარჩევის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პოლოსოვმა.

მომხსენებლის სიტყვით თბილისის ფარგლებში წელს 56 ადგილკომების რიცხვი დავიდა 65-მდი. გასულ წელს კი 74 ადგილკომი იყო. ადგილკომების რიცხვის შემცირება გამოწვეულია ზოგიერთ დაწესებულების გაუქმებით და მათი დაწესებულებით სხვა რაიონებში.

წევრთა დასწრება ადგილკომების კრებებზე გამოიხატება 54 პროც., რაც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. შარშანდელთან შედარებით წელს ადგილკომების გადარჩევა უფრო გაცხოველებით ჩატარდა. ამ კრებებზე აღძრულ იქნა მრავალი ორგანიზაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხები. განზრახული იყო გადარჩევის დროს ადგილკომების განახლება 50 პროცენტით, მაგრამ ფაქტიურად 54 პროც. განახლდა. ადგილკომებში ახალ წევრებად ჩაბმული იქნენ არა გამოუცდელი პირნი, არამედ გამოცდილნი, ადგილკომთან არსებულ სხვადასხვა კომისიებში მომუშავენი. ამას გარდა ახალ წევრებად არჩეულ იქნენ ქალები, რომლებთაც ჰქონდათ თეორეტიული პროფგანათლება.

დასასრულ მომხსენებელი ეხება ადგილკომების შემადგენლობას და აღნიშნა, რომ ადგილკომების წევრთა რიცხვი უდრის 269. ამათგან 176 მამაკაცია, 93 დიაკაცი.

ადგილკომების მუშაობის გაცხოველებისათვის კავშირს შემუშავებული აქვს ღონისძიებები, რომლის ძალით მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნეს, რაც შეიძლება, განათლების მუშაკთა მეტი წევრი.

ჭალარა.

—:—

კულტმუშაობა გამოცოცხლდა

(შავი ზღვის რკინისგზა)

სად. ზუგდიდის მუშებში კულტმუშაობა მოისუსტებდა. ამჟამად ეს ნაკლი გამოსწორებულია. კულტმუშაობა თავის დონეზე სდგას. მუშებში ვრცელდება ჟურნალ-გაზეთები, პარაკებში ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები, სწარმოებს გაზეთების ხმამაღლა კითხვა, ეწყობა თვეში ერთხელ ლექციები და სხვ.

გამოდის აგრეთვე ორკვირეული კედლის გაზეთი, რომელშიაც შუქდება ადგილობრივი მუშების ყოფა-ცხოვრება. კედლის გაზეთთან ჩამოყალიბებულია მუშკორთა წრე, რომლის მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად. ამ წესით სად. ზუგდიდის მუშებში კულტმუშაობა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში უფრო გაცხოველდება ეს მუშაობა.

ნ. შეროზია

დასახიჩრების მიზეზები

(რკინის გზის მთავარი სახელოსნო)

მთ. სახელოსნოს სადურგლო საამქროში ხშირია მუშების დასახიჩრების შემთხვევები, მაგრამ დასახიჩრების მიზეზს დეტალურად არავინ იკვლევს. შეადგენენ ოქმს დასახიჩრების შესახებ და მორჩა და გათავდა. რად მოხდა ის, რამ გამოიწვია უბედური შემთხვევა, ამას არავინ დაეძებს. ეს გარემოება კი ხელს უშლის ძალიან ხშირად უბედური შემთხვევის თავიდან აცილებას.

ადმინისტრაცია უბედურ შემთხვევას ხშირად მუშის გაუფრთხილებლობას აწერს. ეს ასე არ არის, უბედური შემთხვევების მთავარი მიზეზია დაზგების და მანქანების ტექნიკურად მოუწყობლობა.

ამ ბოლო ხანებში ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია ზოგიერთ საჭირო დაზგების გაუმჯობესებას. ამ მიზნით სახელოსნოების ტექნიკურმა განყოფილებამ ორ რანდის სახერხ მანქანას № 672, 676 ზევიდან დაადგეს რაღაც იარაღები, რაშიაც დაიხარჯა დაახლოებით 500 მანეთი, მაგრამ ეს მოწყობილობა სრულიად უვარგისი გამოდგა. ერთი უკვე მოხსნეს და მეორესაც ალბად მალე მოხსნიან. უნდა ითქვას, რომ აქ ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს და ნაწილობრივ უგულო მუშაობას. ეს გარემოება კი ხელს უწყობს უბედურ შემთხვევებს და მუშის დასახიჩრებას. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც მთ. სახელოსნოს ადმინისტრაციამ, ისე რკინის გზის გამგეობამაც.

დ. ტ—ლი

—:—

მუშკორთა წერილებიდან

გაგვაგებინეთ რადიოს ხმა. თბილისის საუბნო კომიტეტმა სად. გურჯაანში მოაწყო რადიო მიმღები აპარატი, მაგრამ დღემდე მის ამუშავებას საშველი არ დაადგა. საუბნო კომიტეტო, გამოგვიგზავნე რადიო ინსტრუქტორი და გაგვაგებინე რადიოს ხმა.

ხლდოპიტი.

შეაკეთეთ ეს ქუჩაც. რამოდენიმე წელია სოფ. ფილოდოსიევის ქუჩა არ შეკეთებულა. ქუჩა იმდენად დაზიანებულია, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება გავლა. აღმასკომო, შეაკეთე აღნიშნული ქუჩაც და დაიხსენი მცხოვრებლები აუტანელ მდგომარეობიდან.

ა. ნოდია.

დავზოგოთ სახაზინო ქონება. თბილისის მექანიკურ ქარხნის ეზოში აყარებელი ძველი რკინები და „გამოუსადეგარი" მასალა ყრია, რომლების გამოყენება შესაძლებელია. ქარხნის ადმინისტრაციავ, დაზოგე სახაზინო ქონება და აღნიშნული ძველი რკინები გამოიყენე წარმოებაში.

მუშა ბიჭი.

ფულად ვაქციოთ. რკ.-გზის მთ. საწყობის ეზოში აყარებელი [illegible] და ხის ტარები ყრია ღია ცის ქვეშ და ლპება. ურიგო არ იქნება, რომ ადმინისტრაცია გაჰყიდდეს მას და უნაყოფო მასალას ფულად აქცევდეს. ეს საკმაო შემოსავალს მისცემდა რკ.-გზას.

დ. გვაზაური.

—:—

ჩვენს მუშკორებს

— ნ. მიქაშავიძეს. „უწყლობა გვაწუხებს" არ დაიბეჭდება. ამ საკითხის მოგვარება ადგილობრივადაც შეიძლება.

მასვე. „ბელადის ხსოვნის საღამო" არ დაიბეჭდება. დაგვიანებულია.

ფირფიტას. (ბორჯომი) თქვენი წერილი „ძველი ტოქაულები" არ დაიბეჭდება. საამქროს გამგე მოვალეა აცნობოს თავის უფროსს ამა თუ იმ მუშის სამუშაოზე დაგვიანების შესახებ.

— აჭარ მუშას. ლექსი „საწყობის მუშებს" არ დაიბეჭდება.

— გ. გ-ს. „ყურები აუწიეთ ბიუროკრატს" უსაბუთოა, არ დაიბეჭდება.

— ჩხარელს. „ღვინით ვაჭრობს" არ დაიბეჭდება. ამის შესახებ თბილისის საუბნო კომიტეტს უკვე დაეგზავნა ცნობა.

— ქალარა მემანქანეს. უპატრონო ბავშვების შესახებ არ დაიბეჭდება. ამაზე ბევრი ეწერა.

შემთხვევით დამსწრეს. რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების მუშების საერთო კრების არაწესიერად ჩატარების შესახებ ეცნობა თბ. საუბნო კომიტეტს. შედეგს გაცნობებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

პროფ. მელიქიშვილის ძეგლი

განათლების კომისარიატმა დაადგინა აგოს პროფ. მელიქიშვილის ძეგლი. ძეგლის ასაგებათ განათ. კომისარიატის კოლეგიამ დაარსა კომისია შემდეგი შემადგენლობით: დ. კანდელაკი, ი. ზაუტაშვილი და თ. ღლონტი.

მანუფაქტურის განაწილება

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება 275 ვაგონი მანუფაქტურა. ამ რაოდენობიდან საქართველოსთვის გამოყოფილია 110,8 ვაგონი.

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის დადგენილებით, მეორე კვარტალში შემოზიდული მანუფაქტურა განაწილებული იქნება შემდეგნაირად: თბილის—27,14 ვაგონი, პროვინციის ქალაქებს — 20,16 ვაგონი და სოფლებს — 63,5 ვაგონი.

ორგანიზაციათა შორის განაწილება მოხდება შემდეგნაირად: ცეკავშირს — 53,25 ვაგონი (ამ რაოდენობიდან 5 ვაგონი აჭარისტანის და 1,5 ვაგონი სამხრეთ - ოსეთისთვის), აფხაზეთის კოოპ. კავშირს — 6 ვაგონი, „ზაკვოენპო“-ს — 5 ვაგონი, „ზაკტპო“-ს — 6 ვაგონი, მუშკოოპს — 16 ვაგონი; საქართველოს სახ. ვაჭრობას — 10 ვაგონი, საფეიქრო სინდიკატს —9 ვაგონი, აჭარვაჭრობას — 1 ვაგონი, აფხაზეთის სახ. ვაჭრობას — 2 ვაგონი, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს — 1 ვაგონი და სამკერვალო მრეწველობას 1,5 ვაგონი.

ჩვენი ექსპორტი ევროპის ბაზარზე

უკანასკნელ დროის განმავლობაში ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მრავალი წინადადებები მოსდის სხვადასხვა ქვეყნებიდან ღვინის ექსპორტის შესახებ. ღვინის პირველი პარტია 10.000 ვედროს რაოდენობით ახლო ხანში გაიგზავნება გერმანიაში. მზადდება გასატანად კონიაკის, ლიკიორის და კონიაკის სპირტის პარტია.

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში ამიერ - კავკასიიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გატანილია (მარგანეცის და ნავთის პროდუქტების გარდა) 2.630.700 მანეთის საქონელი.

ამ თანხიდან მეორე ხარისხოვან საქონელზე მოდის 251.000 მანეთი.

94 ვაგონი შაქარი ამ.-კავკასიისათვის

უკრაინიდან მიღებულია ცნობა, რომ სადვგერხაზში და ბორონოვიცში ამჟამად თავმოყრილია ამიერ-კავკასიისათვის გამოსაგზავნი — 94 ვაგონი შაქარი.

სამხრეთ - დასავლეთის რკინის გზების გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტმა გასცა განკარგულება ამ შაქრის სასწრაფოდ გადაგზავნის შესახებ დანიშნულებისამებრ.

იურისკონსულტთა ბიურო

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსდა სახელმწიფო მრეწველობის იურისკონსულტთა ბიურო. ბიუროს მიზანია უმთავრესად სამრეწველო და სამართლის საკითხების განხილვა და მათი დამუშავება.

ბიუროში შედიან სამრეწველო დაწესებულებათა და წარმოებების იურისკონსულტები და სახ. კომისართა საბჭოს, ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს, პროფკავშირთა საბჭოს, ა. კ. კოოპერატიულ ცენტრების და თბ. აღმასკომის იურისკონსულტები და იუსტიციის კომისარიატის წარმომადგენელი.

ბიუროს ხელმძღვანელობს 3 კაციანი შემდგარი პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი, პ. კურსიკოვი და ს. ჩხეიძე.

თბ. აღმასკომში

◆ „ნაკუწი ჩვრები“ თბ. აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს საზ-ბა „ნაკუწი ჩვრის“ აქციები 10 ათასი მანეთის რაოდენობით.

◆ უძრავ ქონებათა სამმართველოს გამგე ამხ. კალანდაძე განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან. მის ადგილზე დაინიშნა „ტიტტორგის“ გამგე ამხ. პ. ბრიაძე.

◆ აგრონომიულ ორგანიზაციების საჭიროებისათვის გადადებულია 32.513 მანეთი.

◆ ქალაქში ავტომატიურ ტელეფონების მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 100 ათასი მანეთი.

ჯანსახკომში

◆ **ლეპროზორიუმი.** ჯანსახკომის ცნობით წელს აზერბეიჯანში დაიწყება კეთროვანთა ახალშენის მოწყობა.

◆ **ახალი საავადმყოფო.** ცაგერში ახალი საავადმყოფოს მოსაწყობათ ჯანსახკომმა გადასდო 3000 მანეთი.

◆ **თევზის ქონი.** ჯანსახკომი ამ დღეებში მიიღებს თევზის ქონის ახალ პარტიას.

◆ **აბანო.** ლეჩხუმის მაზრის აღმასკომს აბანოს ასაგებათ მიეცა 1500 მანეთი.

პროლეტ. სტუდენტთა ბიუროში

◆ **პროფმოძრაობის კურსები.** პროლეტ-სტუდენტთა აღმასბიუროს მიერ მოწყობილი პროფმოძრაობის შემსწავლელი კურსები დაამთავრა 200 სტუდენტმა.

◆ **საექიმო დახმარების** გასაწევათ და ღარიბ ავადმყოფ სტუდენტთა კურორტებზე გასაგზავნათ გასულ წელს აღმასბიურომ დახარჯა 16.874 მანეთი.

◆ **სტუდენტთა რაოდენობა.** აღმასბიუროს ცნობით სახ. უნივერსიტეტში ამჟამად ითვლება 7301 სტუდენტი, მათ შორის 1.533 ქალია.

სხვადასხვა

◆ **მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევა.** დღეს, საღამოს 6 საათზე თბ. აღმასკომის დარბაზში შესდგება ქალაქის რაიონის მუშკოოპის წევრ დიასახლისთა კრება მუშკოოპის რწმუნებულთა გადასარჩევად.

კრებები და მოხსენებები

◆ **კვირას, 5 თებერვალს** დილის 11 საათზე დანიშნულია საქართველოს დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში: პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება.

◆ **პლენუმი.** პარასკევს, 3 იანვარს, დღის 12 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფსექციათა აღმასბიუროს პლენუმი.

◆ **დღეს, საღამოს სრულ შვიდ საათზე** ქართული ენის კაბინეტში (მე-14 შრ. სკ., გ. მახარაძის ქ. № 4) შესდგება მორიგი მუშაობა გრამატიკის სემინარში. დღის წესრიგი: „ფორმალური გრამატიკის სწავლების საკითხები“.

◆ **თბილისის ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში** ხუთშაბათს, 2 თებერვალს საღამოს 8 ს. 15 წ. სოციალური ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) შესდგება საზოგადოების მორიგი (მეოცდაერთე) კრება, მომხსენებელნი: მ. გიგოლოვი – წვრილ ნაწლავის განმეორებითი ინვაგინაციის კაზუისტიკისათვის, ლ. წერეთელი – ქ. თბილისის სანიტარიისა და კეთილმოწყობის მხრივ.

შემთხვევები

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ტანთსაცმელი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 15.

კაცის დაკარგვა

21 იანვარს უგზო - უკვლოდ დაიკარგა შალვერ გურელი, 20 წლისა.

ხანძარი

გუშინწინ, ღამით ხანძარი გაუჩნდა გურიის შესახვევი № 1 მდებარე სახლს. ხანძარი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა 10 წუთის განმავლობაში.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მიხეილ ვასილის ძე მგელაძე, ივანე კარაპეტის ძე თუმანოვი, არამ მნაცაკანის ძე შახბაზოვი, სუქიას ანდრიას ძე შეკოვი და ყარამან გუხოს ძე შამოიანცი.

ხსენებულ პირებს ბრალდება ჯიბგირობა და ქურდობა.

ქურდობა

გუშინ, დღისით პოკლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ნადია ბავდაშოვას ბინა (ნიკოლოზის ქ. № 9); წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

ხელოვნება

პროლეტარულ მწერალთა შორის

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის პირველმა პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი სამდივნო და სარედაქციო კოლეგია. პრეზიდიუმში შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: ბუაჩიძე ბენიტო, ვართანიანი აგასი, ეული ალექსანდრო, მაშაშვილი ალიო, მარტინი, მამედოვი, ლეარსამიძე ვალერიან, ნავთლუღელი შაქრო, თოდრია სილვა, რონდელი დავით, კრეიტანი გიორგი; სამდივნოში: ბ. ბუაჩიძე, ს. ეული, ა. ვართანიანი; ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობას“ სარედაქციო კოლეგიაში: ბ. ბუაჩიძე, ი. ვაკელი, ა. მაშაშვილი, ვ. ლეარსამიძე, დ. რონდელი და შალვა რადიანი. რედაქტორად—რონდელი დავით.

ამიერ-კავკასიის პროლეტ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის პირველმა პლენუმმა გამოჰყო სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ვ. სუტირინი, ბ. ბუაჩიძე, (საქ. პროლეტ. მწ. ასოციაცია) თეიმურ გუსეინოვი, (აზერბეიჯანის პრ. მწ. ას.). ალაზიანი (სომხეთის პრ. მწ. ასოც.) და იურინი მიხ.

პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ყრილობა გაიხსნება ა. წ. 15 მარტს. ამიერ-კავკასიის დელეგატები ქ. მოსკოვში გაემგზავრებიან 10 მარტს.

მომღერალთა გუნდების აღრიცხვა

სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმმართველობის დადგენილებით, ახლო ხანში დაიწყება რესპუბლიკაში არსებულ ყველა მომღერალთა გუნდების აღრიცხვა და მათი მუსიკალურ - მხატვრული საქმიანობის შემოწმება.

შემოწმების შემდეგ უვარგისი გუნდები დაშლილი იქნება.

მომღერალთა გუნდების შემოწმების დროს მოხდება აგრეთვე მათი სასიმღერო რეპერტუარის გადასინჯვა. რის შემდეგაც აიკრძალება ისეთი სიმღერების შესრულება, რომლებიც მიუღებელია იდეოლოგიური თვალსაზრისით და მოკლებულია მუსიკალურ ღირებულებას.

ამასთან ერთად ხელოვნების მთავარ მმართველობამ დაადგინა დაავალოს სახელმწიფო აკადემიურ გუნდს თავის მომღერალთაგან გამოჰყოს ორი გუნდი. ერთი მათგანი შეასრულებს აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებს, ხოლო მეორე კი იმერულ - გურულ - მეგრულ ხალხურ სიმღერებს.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ლატავრა“.** 20 თებერვალს ოპერის თეატრში პირველად წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „ლატავრა“.

◆ **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რაზლომი“.

◆ **ცირკში** დღეს გაიმართება დუროვის პირველი გასტროლი.

◆ **„ასე იყო“.** საქართველოს გასაბჭოების დღეს, 25 თებერვალს მუშათა თეატრის ქართული სექტორი დგამს გ. ბუხნიკაშვილის პიესას: „ასე იყო“.

◆ **„ჯანყი გურიაში“.** მარტის პირველ რიცხვებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი: „ჯანყი გურიაში“.

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღის დგ. დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ხუთი წუთი“.

ბიბლიოგრაფია

„გრდემლი“ — ლიტერატურულ პოლიტიკური ალმანახი. ქუთაისი 1927 წ.

საიუბილეო

ქ. ქუთაისში გამოდის ალმანახი „გრდემლი“, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე გამოვიდა მისი მორიგი ნომერი, რომელშიაც წარმოდგენილია შედეგი იმ აღმშენებლობითი მუშაობისა, რომელიც დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ფართოდ გაიშალა ქუთაისის მაზრაში. ეს შეეხება მუშაობის როგორც მეურნეობის სფეროს, ისე კულტურულ ფრონტსაც.

ალმანახი „გრდემლი“ იხსნება ამხ. ა. ურუშაძის მოკლე შესავალი წერილით „ლენინი და ოქტომბერი“, სადაც ავტორი არკვევს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას.

შემდეგ მოთავსებულია ამხ. ს. მინდაძის წერილი იმავე თემაზე. წერილის ზოგ ადგილას იგი ვარდება პათეტიურ ტონში, რაიც მის მიერ წამოყენებულ სწორ დებულებებს ერთგვარ სერიოზულობის იერს უკარგავს.

პოეზიის განყოფილება იწყება **ანაზარდის** ლექსით „ოქტომბერი“, რომელიც მიძღვნილია ოქტომბრის ბელადებისადმი. ლექსი დაწერილია „იავ-ნანას“ ტონით, რაიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მის მიერ აღებულ თემას. მაგ.:

ვინძლო, ეგებ გვიქადის ეხლაც სისხლის ღვარები.
ძუხანათურ ფარდებით ძრწოდეს შავი მახვილი.
ერთად, მწყობრად გადავკრათ რიერაჟოვან სამყაროს;
ოქტომბერმა ნეტარი მეათეჯერ დარეკა“

შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ეს „ნეტარი მეათეჯერ“ თითქოს ეკლესიაში დარეკა.

მეტად სუსტია **ვიქტორ გაბესკირიას** ლექსიც. აი მაგალითები:

„ის ჩემ წინ მაშინ აღებს ფანჯარას,
როცა ოთახი ფიქრით ივსება
ის თითქოს დღეებს ატარებს უქმად,
თითქოს სურს თვალი მზეში გარიოს“.

ხუ თუ შეიძლება იმ კაცზე, რომელიც დღეებს „უქმად ატარებს“ ფიქრით „აავსოს“ ოთახი და ისიც ისე, რომ საჭირო შეიქნეს „ფანჯრის გაღება“ ლექსი დაწერილია ძველი მეტრით. არის ისეთი პრიმიტიული რითმები, როგორიც: „გარეკა—ფარაჯა, ფანჯარას—ფარაჯას“ და სხვა ლექსის თითოეულ სტრიქონს პროვინციალიზმის სუნი ასდის.

რაც შეეხება დანარჩენ ავტორებს: **ბონდო კეშელავა, ვალ. ლალიაშვილი, ა. ფარული და აკაკი ჩიჩუა**, მათზე ყურადღების შეჩერება არ ღირს. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, თუ რა საზომით ხელმძღვანელობდა რედაქცია როცა ასეთ ლექსებს ადგილი დაუთმო ჟურნალის ფურცლებზე.

არც პროზის განყოფილება სტოვებს საიმედო შთაბეჭდილებას.

ლადო ბზვანელის ესკიზი „ათი წლის გმირი“ ამის საუკეთესო ილუსტრაციაა.

„ახლ დაბადებული **უდღეური**,—მტრების საშუხაროდ,—აღარ შეიქნა.. ჩორჩ ახალგაზრდას ძუძუ აწოვა გამობრძმედილმა რევოლიუციამ... გამოუჩნდა მას გმირი ხელმძღვანელი.. რომელმაც მონათლა იგი და სახელად უწოდა „წითელი ოქტომბერი“.

როგორც ამ ტაეპიდან სჩანს ავტორს მგონი რევოლიუციონურ „ნათვლაზე“ უნდა ჰქონდეს ლაპარაკი. ვინ არის ეს „უდღეური“, (!?) რომელსაც „ძუძუ აწოვეს“. შემდეგ „მონათლეს“ და სახელად დაარქვეს „წითელი ოქტომბერი“ ასეთია ბზვანელის გაგება ოქტომბრის რევოლიუციისა.

შემდეგ მიდის **ევგენი ფურცხვანიძის** „ლენინი და ოქტომბერი“ ფურცხვანიძეს რევოლიუციის გაგების ეს ვერსია სახარებიდან უნდა ჰქონდეს აღებული.

„ქვეყნის გაჩენას თან მოჰყვა დრო-ჟამთა ჭკვლელობა“—ფილოსოფოსობს ფურცხვანიძე. „წელმა წარმოშვა თორმეტი ვაჟი. ვაჟი ჭაბუკი“ (მგონი ქრისტეს თორმეტ მოციქულზე უნდა იყოს ლაპარაკი).

„თითეულ საზეს საკუთარი სახელი ერქვა. საკუთარი სახელწოდება...“ ღაღადებს ავტორი.

„და დაბადება—სიცოცხლესთან თან ატარებდენ სახელწოდებას“.

უდავოა, რომ ასე რევოლიუციის შესახებ მხოლოდ მღვდელს, „ქრისტეს მოციქულს“ თუ შეეძლო სწერა.

ჯაჯუ ჯორჯიკიას „სამ პირამიდასაც“—ასეთივე რელიგიური გადახრა ახასიათებს.

„**ნაზარეველო, ბუდა, კონფუცი და მოჰამედი** დასაბამიდან კაცობრიობას ტანჯულ ნაწილსა ხომ აღუთქვამდენ ქვეყნის მოწყობას“.. და სხ. ასეთია ჯაჯუ ჯორჯიკიას პარალელები.

ჯაჯუ ჯორჯიკიები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ძველ დახავსებულ შეხედულებათაგან.

დია ჩიანელის „საოქტომბრო ნიუანსები“ (რომანიდან „თურგული“) ასეთივე არქაიზმის სულით არის გაჟღენთილი. ალმანახში მოთავსებულია შესავალი—„**უვერტიურა**“

„სიმდიდრე და ქონება დაორსულდა და მუცელს გადაყვა“.

თუ ზემოხსენებულ მწერლებს რელიგიური გადახრა ახასიათებთ, დია ჩიანელს ეს „გინეკოლოგიურ“ თვალსაზრისზე შეუცვლია —„ქონების დაორსულება და მუცლის გადაყოლა“.

ასეთი სიურპრიზებით გვიმასპინძლდება ალმანახი „გრდემლი“ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

ალმანახში აღსანიშნავია ცალკე განყოფილება „ქუთაისი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე“. ამ განყოფილებაში წარმოდგენილი წერილები ნათლად გვისურათებენ იმ ინტენსიურ მუშაობას, რომელიც სწარმოებს სხვადასხვა დარგში.

ეს შეეხება, როგორც სამეურნეო მშენებლობას, ისე სახალხო განათლების საქმის დაყენებას ქუთაისის მაზრაში.

სხვა წერილებს შორის კიდევ აღსანიშნავია **ფ. შავგულიძის** წერილი „ფურცლები პროლეტარულ პოეზიიდან“ წერილის წაკითხვა უეჭველად მკითხველს (თუ მოწყენილი არის) მხიარულ გუნებაზე დააყენებს. მოვიყვან რამოდენიმე ადგილს:

„არა ვამბობთ ჩვენ და ეს თქმა უკვე შეიცავს პროლეტარულ შემოქმედების დამტკიცებას, მის სრულუფლებიანობას“—ამბობს შავგულიძე.

იგი თურმე ისეთი ზეშთაგონებით (ალბათ ესეც რელიგიური ხასიათის) ძალით ყოფილა აღჭურვილი, რომ საკმარისია სთქვას „არა“ და ამ „არაში“ მოცემული იყოს მთელი პროლეტარული შემოქმედების დამტკიცება, მისი სრულუფლებიანობა.

ქ. ქუთაისში ყოფილა პოეტი ანაზარდი,—მოგვითხრობს შავგულიძე თავის „ფურცლებში“, რომელიც ოქტომბრის წინა დროზე „გაკაეებით“ სწერდა:

„ღამე შავი, ლამე ბნელი... სისხლის ღვარები, გზა ეკლიანი ცეცხლის გუბე შურის თარეშში ხრიოკ დროით უნდა ბედათ გამწარება“...

შემდეგ გამოჩენილია ფ. შავგულიძე, ასე როგორც ზღაპრულ თქმულებებშია, უთქვამს „არა“ და ყველაფერი შეცვლილა.

ანაზარდი ეხლა უკვე სწერს:

„აჰა აჰქდა ხეჭეზიდის ელვის ხალარა!...
დედამიწას შემოუხია შავი არშია“ და სხვა.

„ბნელეთის დამარცხება, ძველი სამყაროს განიავება კუნთმაგარი მუშის საქმე იყო“—ჰვიხსნის შავგულიძე. კომენტარიები ზედმეტია.

ალმანახში მოთავსებულია „**აჭაურის**“ ბიბლიოგრაფია ამხ. ურუშაძის წიგნის შესახებ „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1918 წლებში“.

ეს ბიბლიოგრაფია არის მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა დაიწეროს საერთოდ ბიბლიოგრაფია. ყოვლად მიუღებელია ის ტონი, რომელიც აძლია რეცენზენტს. ეს ტონი ყალბია თავიდან ბოლომდე. ასეთი მანერა წერის უნდა განიდევნოს ჩვენი პრესიდან. მას არავითარი საერთო საბჭოთა პრესასთან არა აქვს. რაც შეეხება თვით ამხ. ურუშაძის წიგნს, უნდა ითქვას, რომ ავტორი თუმცა სამართლიანად ახასიათებს ქართული უკლონიზმის ბელადებს, როგორც წვრილ-ბურჟუაზიული გავლენის მატარებელთ, რომ ის შეცდომები, რომელთაც დღეს სჩადიან ტროცკისტულ-უკლონისტური მიმდინარეობის წარმომადგენლები შემთხვევითი ხასიათი არ არის; რომ მას თავისი ძირები ისტორიულ წარსულში აქვს და სხვა. მაგრამ ის ფაქტი, რომ 1918 წელში ამიერ-კავკასიაში კომუნისტებმა ძალა-უფლება ხელში ვერ აიღეს, წინააღმდეგ ამხ. ურუშაძის მოსაზრებისა, აიხსნება უფრო ღრმა მიზეზებით.

აი რას ამბობს ამის შესახებ ამხ. **მ. ორახელაშვილი** თავის წიგნში: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წ.“. (იხ. გვ. 55-56). „ამიერ-კავკასიის ოქტომბრის მშობიარობის ტკივილები გაჭიანურდა. ბოლშევიზმმა, ნაკლებ ინდუსტრიალურ და ნაციონალურად აჭრელებულ ამიერ-კავკასიის პირობებში, მესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარი საშუალება იხმარა, რათა გაემარჯვებია პროლეტარულ რევოლიუციას—შეცდომებზე სწავლით, მასებთან დაახლოვებით; **მაგრამ, რევოლიუციის სასარგებლოდ მან ვერ შესძლო შეეცვალა ძალთა განწყობილება აღნიშნული ეტაპის განსწვრივ**“ (ხაზი ჩვენია).

მაშასადამე, აქედან ლოგიურად ის აზრი გამომდინარეობს, რომ „ძალთა განწყობილება“, ე. ი. ობიექტიური პირობები შეუძლებელს ხდიდა აღლოთ მაშინ ბოლშევიკებს ძალა-უფლება ხელში. მთელ ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში.

„**ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, რომ არც ერთი პოლიტიკური და ტაქტიური შეცდომა** არ დაეშვათ, განაგრძობს ცოტა ქვევით ამხ. ორახელაშვილი. **მაშინაც კი ვერ უზრუნველყოფდენ ამიერ-კავკასიის პირობებში ოქტომბრის გამარჯვების შეუჩერებლივ მსვლელობას**“ (ხაზი აქაც ჩვენია).

ამხ. ურუშაძე კი იმ ფაქტს, რომ ბოლშევიკებმა მაშინ ვერ შესძლეს ძალა-უფლების ხელში აღება, ხსნის პარტიის ცალკე წევრთა პოლიტიკურ თუ ტაქტიკურ შეცდომებით რა თქმა უნდა ამხ. ორახელაშვილის მოსაზრება ამ საკითხზე უფრო სწორი და საფუძვლიანია.

საერთოდ ალმანახი „გრდემლი“ მეტად უარყოფით შთაბეჭდილებას სტოვებს. მას აკლია ხელმძღვანელობა, რაიც თავის დაღს ასვამს მის თვით საიუბილეო ნომერსაც, რომელიც ოქტომბრის ათი წლის თავზე გამოვიდა.

დ. მ-ძე.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

მეორე ტირაჟი

ინდუსტრიალიზაციის სესხის პირველი ტირაჟი დანიშნული იყო გასული წლის დეკემბრისათვის, მაგრამ, ვინაიდან იმ დროისთვის ვერ მოხერხდა ხელის მომწერლებისათვის ობლიგაციების ჩაბარება, პირველი ტირაჟი გადმოტანილი იქნა იანვარში.

მეორე ტირაჟი დანიშნულია 20 თებერვლისათვის.

მეორე ტირაჟი ჩატარებული იქნება ქალაქ ბრიანსკში.

მოთხოვნილება სესხზე იზრდება

ინდუსტრიალიზაციის სესხის პირველ ტირაჟში მოგებათა მეტი წილი ხვდა კოლექტიურ ხელის მომწერლებს. ამ გარემოებამ მუშა-მოსამსახურეებში გააძლიერა ინტერესი ინდუსტრიალიზაციის სესხისადმი. მუშა - მოსამსახურეები სესხის ობლიგაციებს ამჟამად კოლექტიურად იძენენ ნაღდ ფულზე. დღითი-დღე მატულობს ობლიგაციის შეძენის მსურველთა რიცხვი.

რკინის გზებზე

აცილებული მარცხი

სადგ. საჯევახოში სახალხო მატარებელი № 6-თ დაკავებულ ხაზზე შეცდომით მიიღეს საბარგო მატარებელი. მოსალოდნელი იყო კატასტროფა. მაგრამ მემანქანის ვლ. **სახოკიას** მიერ სასწრაფოდ მიღებული ზომებით კატასტროფა აცილებული იქნა.

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ **სახოკიას** გამოუცხადა მადლობა.

ხელსაწყოები საციებლებისათვის

გზათა კომისარიატმა ნება დართო ა.-კ. რკ. გზას, სამტრედიის და ნავთლუღის საციებლებისათვის საჭირო ელექტრომოწყობილობები დაუკვეთოს სახელმწიფო ელექტროტრესტს და საკონცესიო ფირმა „ასეას“.

დაკვეთა მიეცემა იმ ორგანიზაციას, ვინც უფრო ხელსაყრელ პირობებს წაუყენებს გზას.

დღიურების გაცემის წესი

გზის მუშა-მოსამსახურეების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის დროს მათთვის დღიურების გაცემა, გზათა კომისარიატის წინადადებით, იწარმოებს ფაქტიური თვიური ჯამაგირების ერთი მეოცდაათედის ანგარიშით. (ნაცვლად ერთი მეოცდაოთხედისა)

ყველა შემთხვევაში დღიურების რაოდენობა არ უნდა იყოს 2 მან. 50 კაპ. ნაკლები და 10 მანეთზე მეტი.

ნარევი

დირიჟაბლი-სანატორიუმი

მთის ჰაერის მეტად სასარგებლო გავლენა ზოგიერთ ავადმყოფობათა (მაგ. ჭლექის, სისუსტის და სხვ.) მიმდინარეობაზე უკვე დიდი ხანია ცნობილია. მთელ რიგ კურორტებზე (მაგ. შვეიცარიაში) ფართოდ სარგებლობენ მთის ჰაერით სამკურნალო მიზნებისათვის. მთის ჰაერის სამკურნალო თვისება ემყარება პირველ ყოვლისა მთის ჰაერის სიწმინდეზე და სიმშრალეზე და მზის ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენაზე, რაც განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს დიდ სიმაღლეზე.

გერმანელებმა ამ რამდენიმე ხნის წინად ასეთი გეგმა შეიმუშავეს: მთის ჰაერის სამკურნალო თვისებები დიდი თანხების და შორეულ კურორტებზე მოგზაურობის დროის დაუხარჯავათ გამოვიყენოთო ამ მიზნით გერმანელი ექიმების აზრით, აგებული უნდა იქნეს სპეციალური დირიჟაბლები—სანატორიუმები. ასეთი დირიჟაბლი ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ კორპუსის ზედა ნაწილზე მოწყობილი იქნება სოლიარიუმი (მოედანი მზის ვანების მისაღებათ). დირიჟაბლი დაიტევს 100 ავადმყოფს და საჭირო საექიმო პერსონალს. პროექტის ავტორების აზრით, ასეთი დირიჟაბლები უნდა მოიპოვებოდეს ყველა ქალაქების კლინიკების და საავადმყოფოების განკარგულებაში. ყოველდღე 2—3 საათის განმავლობაში 1 ნახ —2 კილომეტრის სიმაღლეზე. ავადმყოფები გაივლიან მთის ჰაერით მკურნალობის კურსს ისე, რომ არ დასტოვებენ თავის საცხოვრებელ ადგილს.

ჭადრაკი

თბილისის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

მერვე ტური

ებრალიძე—გოგლიძე. მეთორმეტე სვლის შემდეგ ებრალიძის ავადმყოფობის გამო, პარტია გადაიდო დაახლოებით თანასწორ მდგომარეობაში.

ტალვიკ—კასპარიან (ინდიური დაცვა). კასპარიანმა დასაწყისში ვე გააკეთა სუსტი სვლა პაიკებით, რითაც მეფის ფლანგზე დაასუსტა პაიკთა პოზიცია მეთორმეტე სვლაზე ტალვიკმა ხაზი გაუხსნა თავის ეტლს და ძლიერ იერიშებზე გადავიდა. მე-23-ე სვლაზე კასპარიანმა გააკეთა ის მნიშვნელოვანი შეცდომა. პაიკის აღების მაგივრად რაშით დაიხია უკან, ჩავარდა უიმედო მდგომარეობაში და დანებდა მოპირდაპირეს შამათის მუქარის ქვეშ.

მალუნცევ—კარლინსკი (ფილიდორის დაცვა). მე-8-ე სვლაზე პარტია თანასწორ მდგომარეობაში იყო, მაგრამ შემდეგ პოზიცია შეიცვალა მალუნცევის სასარგებლოთ. კარლინსკიმ ზედიზედ დაუშვა შეცდომები, წააგო პაიკთა [illegible] წყება, რის შემდეგ ამ თამაშის შედეგი იჭვს აღარ იწვევდა მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა. მალუნცევმა, ალბად კარლინსკის ცუდი თამაშის ზეგავლენით თვითონ დაიწყო მეტად სუსტად თამაში, დამთავრდა ყაიმით.

საროკინ—მარტიროსოვ (ფრანგული პარტია). ამ პარტიაში საროკინმა დაიწყო რკუს ფლანგური განვითარება. შავებმა სავსებით ვერ შეათარეს პოზიცია. მეფის თლახზე დაასუსტეს შავი უჯრედები და თავისი მხედარი ჩააგდეს მოპირდაპირის პოზიციაში. საროკინის მიერ განუწყვეტელი შეტევის გამო, მარტიროსოვი იძულებული შეიქნა დანებებულიყო.

ტარაიან—დანილოვ (ესპანიური პარტია) ამ პარტიაში დანილოვმა სრულიად უბრძოლველად დაუთმო თავის მოპირდაპირეს ცენტრი. მთელი პარტიის განმავლობაში თამაშობდა სრულიად უგეგმოთ. მე-23-ე სვლაზე მან დაკარგა პაიკი, რამდენიმე სვლის შემდეგ კი უკომპენსაციოთ დაკარგა ფიგურა და დანებდა.

მერვე ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: **გოგლიძე**+5 და 1 დაუმთ., **ტალვიკ**+4 ნახ და 3 დაუმთ.: **ებრალიძე, საროკინ**+3 ნახ. და 3 დაუმთ.; **მალუნცევ**+3 ნახ. და 1 დაუმთ.; **მარტიროსოვ**+3 ნახ: **ტარაიან**+3 და 1 დაუმთავრებელი **კასპარიან**+2 და 2 დაუმ.: **კარლინსკი**+2 ნახ. და 1 დაუმთ.; **დანილოვი**+1 და 1 დაუმთ.

ტურნირის გათავების შემდეგ შესდგება ამხანაგური ჭადრაკის მატჩი ტურნირის მონაწილეთა და თბილისის უძლიერეს მოთამაშეთა შორის. მატჩი შესდგება ათ დაფაზე.

მატჩში მონაწილეობას მიიღებენ: მაისტრო **სმაროდსკი, აგამალიანი, ასოვსკი, ვეიზერი, მირზაევი, ერისთავი, მკირტუმოვი, იცკოვიჩი, გეიმანი და რაკანტი**

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი. 2 თებერვალი

დღეს რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, რადიო-გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 3 თებერვალი

3 თებერვალს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება: კავკასიის წითელდროშოვან არმიის ბრძოლის გზა—თურქულ ენაზე.

მეცხოველეობის და ტეხნიკის მიღწევები — ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე — რუსულ ენაზე.

როგორი უნდა იყოს ადამიანის საცხოვრებელი ბინა და ტანთსაცმელი — თურქულ ენაზე.

საგლეხო სესხის მნიშვნელობა გლეხთა მეურნეობისათვის — ქართულ და რუსულ ენებზე.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის ბრძოლის გზა—სომხურ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები — რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 2 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში **შესდგება საერთო კრება საქარ. კომპარტიის ყველა იმ უმუშევარ წევრთა და კანდიდატთა, რომლებიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი შრომის ბირჟაში.** ზემოხსენებულთა თავის დროზე დასწრება აუცილებელია.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ხვალ 3 თებერვალს დილის 10 საათზე ცენტრ. საკონტრ. კომისიაში ამხ. ფირცხალავასთან: კალისა თვარაძე, სტეფანე ხახანოვი, ალექსანდრე მოდებაძე, ალექსანდრე რობაქიძე, ვლადიმერ ხუტაშვილი და გზიავა; 4 თებერვალს, დილის 10 საათზე უნდა გამოცხადდენ: ეკატერინა ლაპგარტ, ერნა სპიდიანი, ალექსანდრე ბეჟანოვი, სევერიან ბზეკალავა, ჰეჩიკო ვერულაშვილი და ამბროსი ცხოიძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის მორიგი კრება შესდგება დღეს, 2 თებერვალს, სრულ 5 საათზე. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. უნდა გამოცხადდენ აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთაც განცხადებები აქვთ შემოტანილი

სახ. უნივერსიტეტის პედაგ. ფაკულტ. არსებული ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა მოწვეულია დღეს 2 თებერვალს დღის 1-ლ საათზე, ბიუროს წევრ-კანდიდატთა გარდა ბიუროს სხდომაზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: მარგარიტა გვიშიანი, ნადია გორდელაძე, ეკატერინე ქურიძე, მარიამ კალანდარიშვილი, ნინო ჩიხლაძე, ანა მიმინოშვილი ვახტანგი გვასალია, ნიკოლოზ კირთაძე, პლატონ სილაქაძე, არჩილ გიორგაძე, აკაკი კობახიძე, ივანე კაკაბაძე, მიხეილ სიმონია და ფილიპე ნარიკაშვილი.

—:—

დღე 2 თებ. საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულ 1-ლი და მე-2-ე კურსთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედის კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება აუცილებელია.

—:—

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულ. პარტკოლექტივის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 2 თებერვალს დღის 12 საათზე, მოწვეულია პარტკოლექტივისა და კომკავშირის ბიუროთა სხდომა განათლების პროფკომის ფრაქციასთან ერთად.

საღამოს 6 საათზე კი ამავე ფაკულტეტის (კომუჯრედის) პარტკოლექტივის და კომკავშირის გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, ხუთშაბათს, 2 თებერვალს თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ადოლფ მაიერი, ალექსანდრე მაისურიანი, არამ ბანდარიანი, ნოე აკოფაშვილი, ოლღა ტატიშვილი, სურენ ნაზაროვი, ვართან ტერ-პოსესოვი, ბახშო დანდუროვი, სუკიას აივაზოვი, პეტრეს იზრაელოვი, გალაქტიონ ბაკურაძე და ნიკოლოზ კიკნაძე.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: მელიტონ ქესხიშვილი, კონსტანტინე ჩხაიძე, მარია როჰანოვი, მარია პაშკოვსკაია, ანტანინა აზაროვა, ერვანდ პეტროსოვი, არამ ჯოთლიბი, ბაგრატ შახაბაზოვი, სარქის უზბაშევი, ჰაიკ თადევოზოვი, ანდრო არაქელოვი.

საგარანტიო სექციიდან: იულია გაფშენკო-დუმბაძე, კონსტანტინე მინდიაშვილი, ლიუდმილა რომანიშვილი, მარია ათაევი, ნინა კაბუნია, ალექსანდრე გაგუა, ერმილე ასრახაძე, მარგარიტა, კარახანი—ალშევსკაია. ალექსანდრე ქემხაძე, ანნა ისაკოვი, ელისაბედ გუდფოვსკაია, დავით მურადოვი, ოლღა ვარდანაშვილი, ელენე ბულიაშვილი, ეკატერინე ყუფიანი, გრიგოლ ზუბუნკო, ვახტანგ ანიშჩუკი, გიორგი მასხულია, თამარა კალანდარიშვილი, იპოლიტე ათაბეგოვი, ვერა ელიავა.

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული საგარანტიო სექცია აცხადებს საქართველოს სახელმწიფო დაზღვევაში ჩატარებული უმუშევრების საყურადღებოდ, რომ ის უმუშევრები, რომლებიც დღემდე არ გამოცხადებულან სექციაში აღსარიცხავად, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ორი კვირის განმავლობაში.

შრომის ბირჟის მედსექციაში მიღებულია დამატებითი მოთხოვნილება რუსეთიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან. მსურველი დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა გამოცხადდეს შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. **გოგეშვილთან.** განჯაში რკინის გზის მე-12 საექიმო უბანზე საჭიროა ფარმაცევტი—ასისტენტი, ჯამაგირი—85 მანეთი (უფასო მგზავრობა).

იურიდიული დახმარება

ამხ. გრიგოლ ჯანაშიას

კითხვა:

ვარ რკინისგზის პენსიონერი, ვღებულობ პენსიას 29 მან. 85 კაპ. მაწერენ ყოველგვარ გადასახადებს. ვალდებული ვარ თუ არა ვიხადო გადასახადები.

პასუხი:

თქვენი შეკითხვიდან არ სჩანს, რა გადასახადებს გაწერენ. თუ პენსიის გარდა სხვა რამე შემოსავალი არ გაქვთ, თქვენ თავისუფალი ხართ გადასახადებისაგან. მაგრამ თუ გადასახადი თქვენ სთვლით წყლის, ელექტრ. და სხვ. სასყიდელს, იმ შემთხვევაში ვალდებული ხართ გადიხადოთ.

მოწაფე შალვა შუბლაძეს

კითხვა.

ორ ამხანაგს საბურთალოზე გვიჭირავს ერთი ოთახი. სივრცით 20 კვადრატიული არშინი, ვართ მოსწავლეები, ღარიბი გლეხის შვილები, უმუშევარნი. დღემდი სახლის პატრონს ვაძლევდით თვეში 6 მანეთს. დღეს არ შეგვიძლიან ამდენის გადახდა. გთხოვთ გაგვიმარტოთ, რამდენი ერგება სახლის პატრონს ბინის ქირა და ვის უნდა ვაძლიოთ—იგი თუ სახლის პატრონი არ მიიღებს.

პასუხი:

თუ თქვენ იმყოფებით მშობლების ან სხვა პირების ხარჯზე, როგორც ქალაქის განაპირა უბანი, უნდა იხადოთ ათ-ათი კაპ. თვითეულ კვადრატიულ მეტრზე, მთელ ოთახზე კი თვეში ერთი მანეთი.

უკეთუ თქვენ—როგორც უმუშევარს — გაქვთ უფლება სოციალურ დაზღვევაზე, ნიხრის 8 მუხლის თანახმად უნდა იხადოთ ორ-ორი კაპ. კვადრატიულ მეტრზე. თუ სახლის პატრონი არ მიიღებს ქირას თქვენგან, ფული შეგიძლიათ შეიტანოთ ხაზინაში ნოტარიუსის დეპოზიტად და ნოტარიუსს წარუდგინოთ ქვითარი და ითხოვოთ, რათა ფული ჩაბარდეს სახლის პატრონს.

ღრმად დამწუხრებული შვილები: ლადო, აკაკი, რძლები: თამარა, თამარა, შვილისშვილები: ვახტანგი, გოგია, გუგულია, მედია და ნოდარი კასაბაშვილები ამით აცნობებენ ყველა ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი დედა

ნატალია ეგნატეს ასული კასაბაშვილი

საშოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოში, დაკრძალვა 2 თებერვალს, 3 საათზე, გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 1269 2 2

ღრმად დამწუხრებულნი: და ეკატერინე გრიგოლის ასული მესხისა, ძმისწული მარიამ სტეფანეს ასული ამირეჯიბისა ქმრით და ძმისწულის შვილი ნატალია აუწყებენ საზოგადოებას, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 30 იანვარს, გარდაიცვალა

იოსებ გრიგოლის-ძე მელიქიშვილი

პანაშვიდები ყოველდღე საათის 6-ზე, ალექსანდრეს საავადმყოფოში, კამოს ქ. № 103. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება. 1279

ღრმად დამწუხრებულნი მარიამ როსტომის ასული ორჯონიკიძისა შვილებით: ყარამან, პავლე, თამარი, გიორგი და შიო, რძლები: პელო, ტასო, სალომე და თეკლე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 31 იანვარს, დილის 5 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი პირველის მული და მეორეთა ძვირფასი მამიდა

ნინა ალექსის ასული ქურდევანიძისა

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, ახალი ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება—კამოს საავადმყოფოდან. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი გამზრდელები ბიძა ერმილე კოსტასძე და ბიცოლა თეოდორა გერასიმეს ასული, ბიძაშვილები: სიმონ, მიშა და აბესალომ კეკელიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა მუდამ დაუვიწყარი და საყვარელი პირველთა გაზრდილი და დანარჩენების ბიძაშვილი თბილისის მე-30 შრომის სკოლის მე-6 ჯგუფის მოწაფე

მაკარი ბართლომეს ძე კეკელიძე

რომლის ცხედარი შაბათს, 4 თებერვ. დილის 10 საათზე ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან გადატანილი იქნება საკუთარ ბინაზე (დურგლის ქ. № 97) საიდანაც 4 საათზე გაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. 1285

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონ
პროლეტარი (ავლაბარში)

სახკინმრეწვის თეატრები

მსოფლიო ფილმი
სვლა ცხენით
გრანდიოზული დადგა 10.000 მონაწ. მალე საუკეთესო სურათი
„მოჯადოებული კუნძული“

პრემიერა
50.000 ფრანკი
მთავარ როლებში გიუზეტა დიუვლო, სესიუ ხაიაკავა
მალე მსოფლიო შედევრი „მეორე ქორწინება“

3 და 4 სერია
ჰარი პილის
უთავო მხედარი მონაწილეობით

უკანასკნელად თბილისში
„კ უ ლ ი ს ე ბ შ ი“
მთავარ როლში მარჩელა ალბანი და ვ. კრაუსი.

ამ დღეებში კინო თეატრის გახსნა კაპიტალურ რემონტის შემდეგ.

მზადდება დასადგმელად „ქალი ბაზრობიდან“ საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმოები



სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები

სუხომლინი — როგორ მოქმედებენ ჯავშნიანი მატარებლები და ჯავშნოსნები. გვ. 82, ფასი—20 კაპ.
ბანევიჩი და ფადეევი — სავალდებულო სამხედრო სამსახური. ფასი— 20 კაპ.
ფელიქს კონი — ახალი ომის საფრთხე. გვ. 24, ფასი—10 კაპ.
ლესევიცკი — როგორ უნდა ისწავლო კარგი ცხენოსნობა. გვ. 40, ფასი—20 კაპ.
ფარსიშვილი—ცხენის მოვლა. გვ. 48. ფასი—80 კაპ.

ნ. 429
25—22

დავკარგე: საბინაო წიგნი დათიკო მურჯიკნელის სახელის, მდებარე რკინის გზის გადაღმა, ახალიუბნის ქ. № 6. მე-8 უბანი. ჩ. გ. 1276

დავკარგე: სამხ. სააღრიცხვო ბარათი № 941, მოცემული მე-8 უბნის სამხ. მაგიდიდან არჩილ საბასძე დავითულიანის სახელზე. ჩ. გ 1278

დავკარგე ზაკტპოს საწევრო წიგნაკი № 26916, პიროდობის მოწმობა № 477, პარტბილეთი № 0853897 და კავშირის წიგნაკი—მინა ივაჟესძე ჩიქვილაძეს სახელზე. ჩ. გ 128

კომუნისტი
დიდი პოლიტიკური გაზეთი
საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტის, თბ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო
მიიღება ხელის მოწერა 1928 წლისათვის
გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მ. — კ.	7 თვით	6 მ. 70 კ.
2 „	2 „ — „	8 „	7 „ 65 „
3 „	2 „ 90 „	9 „	8 „ 60 „
4 „	3 „ 85 „	10 „	9 „ 55 „
5 „	4 „ 80 „	11 „	10 „ 50 „
6 „	5 „ 75 „	ერთი წლით	11 „ 50 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის.

1 თვით	1 მ. 30 კ.	7 თვით	8 მ. 80
2 „	2 „ 60 „	8 „	10 „ — „
3 „	3 „ 80 „	9 „	11 „ 30 „
4 „	5 „ — „	10 „	12 „ 60 „
5 „	6 „ 25 „	11 „	13 „ 80 „
6 „	7 „ 55 „	ერთი წლით	15 „ — „

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში		საზღვარ-გარეთ	
1 თვით.	1 მან. 50 კ.	1 თვით	1 ნახ დოლარი
1 წლით	18 მანეთი	3 „	4 „
		6 „	8 „
		1 წლით	16 „

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 34
0—3

31 იანვარს, მუშკოოპის საცხობებში ჩამოვლის დროს პურის გადასაფასებლათ 1-ლ თებერვლისათვის, **დავკარგე** პორტფელი სხვადასხვა საბუთებით, რაც გამოუსადეგარია სხვისათვის. მპოვნელს ვსთხოვ ხელწერილები და სხვა საბუთები გადმოგზავნოს მუშკოოპის პურის განყოფილებაში. კაციტაძეს სახელზე. 1275

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—15

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—7

პარასკევს, ა. წ. 3 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის გარაჟში, ტროცკის ქუჩაზე № 18,
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა
ხელმეორე საჯარო ვაჭრობა
40 ცხენის ძალიანი, რვა ცილინდრიანი „კადილაკ“-ის სისტემის
მსუბუქი ავტომობილის
და მისი ზოგიერთი დამატებითი ნაწილების გასასყიდათ
ვისაც სურს ხელმეორე ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ვაჭრობის დაწყებამდე უნდა შემოიტანონ გირაოდ ასი მანეთი.
ნ. 567. ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატი.

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 12, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. კონსტანტინე ნიკოლოზისძე ნერსესოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ახალ გვარ „სინოჟენსკის“-ზე გამოცვლის შესახებ.
საერთო და სადმ. ქ | განყ. უფროსი ჯავახიშვილი
მმაჩის ბიუროს გამგე შარაშენიძე
1274

კბილის ტეხნიკოსის წოდება მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით. რომლის მიღება შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.
კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
25—18 ზ. მ. მუხაძე

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისხლიანი, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე 13—13

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, სოლოლაკის ქ. № 20 25—4

ე ქ ი მ ი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
ღებულობს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით. მიღება საღამოს 5—8 საათამდის. 25—22

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
ღებულობს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კ ა მ ო ს ქუ № 72 (ყოფილი დიდმთავრის ქ.) 25—18

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ ყოფ. „ნოეს“ კიროვაკირ ჩოდრიშვილის შესახვევი. ყ. პლეხანოვის მოსახვევი № 3.

იონა გაბიჩვაძე
პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65. ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები. დილით 7—8 ნახ. ს. საღ. 5—8 ს. 25—21

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ე ქ ი მ ი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე
რაზიკაშვილი
კბილების და პირის სნეულება, პლომბები და ყოველგვარი ხელოვნური კბილები ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთველის და ლენინის მოედანის კუთხე.

ექიმი ს. ი. ანდრეევა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელმშენი 11—78

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე საღამოთი 5—8 ს-დი. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—16

დავკარგე: საკავშირო მანდატი საქ. აზ. ლ.კ.კ. № 1690—აკაკი დახსალიას სახელზე, ჩ. გ. 1283

დავკარგე მზეჭდავთა კავშირის წიგნაკი ვარლამ იოსების-ძე ბრეგაძის სახელზე, ჩ. გ. 1280

დავკარგე სამხედრო მოწმობა ფორმა № 4 ვარლამ რობაქიძეს სახელზე, ჩ. გ. 1282

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 30986, ჩ. გ. 1277